

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლიდა ობოლაძე

**წინადადების სტრუქტურის კონსტრუქციული ანალიზი
სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიასთან კავშირში**

10.02.04 - გერმანიკული ენები

**ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი**

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **მადონა მეგრელიშვილი**

ქუთაისი
2011

შინაარსი

შესავალი	3
თავი I. კომუნიკაციური ლინგვისტიკა და წინადადების ტექსტოცენტრ- რისტული ხელვა როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემა	
§1. თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკა (ტრადიციული ლინგვისტიკიდან კომუნიკაციურ ლინგვისტიკამდე) და ამ დინამიკის ფუძემდებელი პრინციპი: ახალი პარადიგმა უნდა წარმოადგენდეს წინა პარადიგმის მონაცემთა ახლებურ ინტერპრეტაციას.	19
§2. კომუნიკაციური პარადიგმა და ტექსტოცენტრიზმი: წინადადება და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა ტექსტოცენტრისტული თვალსაზრისით.	23
§3. წინადადება ტრადიციული და ლინგვისემიოტიკური თვალსაზრისით: პრედიკაციული სინტაგმის, პროპოზიციისა და წინადადების სემანტიკური ტიპის ცნებები.	28
§4. „სიტუაცია“ როგორც წინადადების სიგნიფიკატი და როგორც წინადადების სემანტიკური ტიპოლოგიზაციის საფუძველი.	37
პირველი თავის დასკვნები	44
თავი II. სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია: მის ზოგადლოგიკურ და ლინგვოსემიოტიკურ ასპექტთა ურთიერთმიმართება	
§1. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის როგორც ტექსტობრივი ფენომენის თეორიულ-მეთოდოლოგიური განხილვის წინა პირობები.	46
§2. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა როგორც ენობრივ-კომუნიკაციური ერთეული: არსებული თეორიის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები.	50
§3. „შეტყობინება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა.	61
§4. „აღწერა“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა: „საგნის აღწერა“.	65
§5. „აღწერა“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა: „პროცესის აღწერა“.. . . .	71
§6. „დახასიათება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა	73
§7. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „მსჯელობა (განმარტება)“	77
მეორე თავის დასკვნები.	82
თავი III. ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურა და წინადადების სტრუქტურის კონსტრუქციული ანალიზი	
§1. სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია და ტექსტის ლინგვისტური თეორია: სამეტყველო-კომპოზიციური ფორმისა და ტექსტის ცნებათა ურთიერთმიმართების პრობლემა.	84
§2. ტექსტის ლინგვისტური თეორია: პრინციპები და ფუნდამენტური ცნებები	91
§3. ტექსტი: მისი ლინგვოსემიოტიკა და კომუნიკაციური სტრუქტურა.	99
§4. ვერბოცენტრიზმი როგორც პრინციპი და ტექსტის დიქტომიური სტრუქტურა: ტექსტის თემა და ტექსტის კომპოზიცია	106
ზოგადი დასკვნები.	158
ბიბლიოგრაფია.	162

შესავალი

1. კვლევის თემა, პრობლემა და მიზანი

წინამდებარე სადისერტაციო კვლევის მიზანია თემატურად და, რაც მთავარია, პრობლემურად დაუკავშიროს ერთმანეთს ენობრივი სისტემის ისეთი ორი ერთეული, როგორცაა ერთის მხრივ წინადადება, მეორეს მხრივ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა. ნათქვამის შესაბამისად აუცილებლად მიგვაჩნია გამოვეყნოთ კვლევის ხსენებულ მიზანთან დაკავშირებული შემდეგი სამი კვლევითი ასპექტი – **თემა, პრობლემა და საკუთრივ მიზანი**, (იგულისხმება, რომ ზემოთ მხოლოდ ზოგადად ხსენებული მიზანი მაქსიმალურად დაკონკრეტდება იმის შემდეგ, როცა განსაზღვრული გვექნება თემა და, რაც მთავარია პრობლემა).

როგორც უკვე ითქვა, ჩვენი კვლევის თემას წარმოადგენს წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის, როგორც ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართება, მაგრამ რა თქმა უნდა, გადამწყვეტი უნდა იყოს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად წარმოადგენს ხსენებული ურთიერთმიმართება პრობლემას თანამედროვე ლინგვისტური აზროვნებისთვის. კითხვაზე პასუხის გაცემა კი, ჩვენი აზრით, შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად გათვალისწინებული იქნება ზემოთ ხსენებული აზროვნების შემდეგი ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი – ენობრივი სისტემის **დონეებრივი სტრუქტურა** და ის **პარადიგმული სიტუაცია**, რომელშიც იმყოფება თანამედროვე ლინგვისტიკა, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ ორი ასპექტის უბრალო დასახელებით ჯერ კიდევ ვერ იქნება – თუნდაც ძალიან ზოგადი ფორმით – მინიშნებული ჩვენი კვლევის ძირითადი პრობლემა. ამ თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას ლინგვისტური კვლევის დონეებრივ და პარადიგმულ ასპექტთა შორის მიმართების ცენტრალურ მომენტს – სახელდობრ იმ ფაქტს, რომ რაც არ უნდა თავისთავად მნიშვნელოვანი იყოს დონეებრივი ასპექტი, მისი აღქმისა და გააზრების მოდუსი დამოკიდებული იქნება ზემოთ ხსენებულ პარადიგმულ სიტუაციაზე; რომელია ის კვლევითი პარადიგმა, რომელიც დომინირებს დღეისთვის ლინგვისტურ აზროვნებაში და როგორ უნდა განისაზღვროს ამ, ანუ დღეისთვის დომინანტური პარადიგმის მიმართება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების წინა პარადიგმებთან? ეს სწორედ ის კითხვაა, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა დაისვას ყველა იმ შემთხვევაში, როცა გვსურს კვლევის ობიექტად ვაქციოთ არა უბრალოდ ესა თუ ის ცალკეული ენობრივი ფენომენი, არამედ ორ ან ორზე მეტ ფენომენტთა შორის სტრუქტურ-

რულ-ფუნქციური მიმართება. ჩვენი აზრით, ამგვარი, ანუ პარადიგმული მიდგომა ენობრივ ფენომენტა, პირველ რიგში კი ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების საკითხისადმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგ შემთხვევაში: როცა საქმე ეხება ისეთ ერთეულებს, რომელთა შორის ორგანულ-შინაგანი კავშირი ცხადია ინტუიტურ დონეზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ არ ქცეულა კვლევის ობიექტად, ვფიქრობთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში: როგორც მთელი ჩვენი შემდგომი მსჯელობიდან და, რაც მთავარია მთელი თანამედროვე ლინგვისტიკის კვლევის პრაქტიკიდან ერთნიშნად გამომდინარეობს, კავშირი წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა შორის ატარებს, თუ შეიძლება ასე ითქვას **"ეგზისტენციალურ"** ხასიათს, რადგან შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამ ორი ენობრივი ერთეულის არსებობა ერთიმეორის გარეშე როგორც სტრუქტურული ისე ფუნქციური თვალსაზრისით. მაგრამ ამავე დროს – და ამას გვეუბნება როგორც ინტუიცია, ისე კვლევითი პრაქტიკაც – ზემოთ ხსენებული ურთიერთდამოკიდებულება მეტნაკლები სიციხადით გამოკვეთილად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ ვილაპარაკებთ იმის თაობაზე, თუ რამდენად არის დამოკიდებული სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა წინადადებაზე, რადგან ცხადია, რომ სამეტყველო კომპოზიციური ფორმა, ერთის მხრივ, აღემატება წინადადებას, მეორეს მხრივ კი დეფინიციის მიხედვით, რომელიც იძლევა სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას, იგი გარდუვალად უნდა შედგებოდეს წინადადებებისგან, ე.ი. უნდა წარმოადგენდეს წინადადებათა გარკვეული სემანტიკის ერთობლიობას. მაგრამ, ჩვენი აზრით, არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ხსენებული ურთიერთმიმართების მეორე მხარესაც და ეს მნიშვნელობა გამოიხატება შემდეგი კითხვით: ახდენს თუ არა გავლენას წინადადებაზე – სახელდობრ მის ფუნქციურ-სემანტიკურ ასპექტზე და მის ტიპოლოგიაზე – ის ფაქტი თუ გარემოება, რომ იგი, როგორც წესი, ფუნქციონირებს ამა თუ იმ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ფარგლებში, ანუ როგორც ამას გულისხმობს ენობრივი სისტემის თანამედროვე დონეებრივი მოდელი, წარმოადგენს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტს? ვფიქრობთ, გვაქვს სრული საფუძველი მივიჩნიოთ: ეს სწორედ ის კითხვაა, რომელზეც თანამედროვე ლინგვისტიკას არა აქვს ადეკვატური პასუხი თუნდაც იმის გამო, რომ იგი (ეს კითხვა ექსპლიციტური სახით) ჯერ კიდევ არ დასმულა; და ეს სწორედ ის გარემოებაა, რომელიც, ჩვენი აზრით, საფუძველად უდევს ჩვენი თავად სადისერტაციო თემის

ფორმულირებას: წინადადების სტრუქტურა – თუ, რა თქმა უნდა ამ სტრუქტურას დავინახავთ არა აბსტრაქტულად, არამედ წინადადების კონკრეტული ფუნქციონირების კონტექსტში – ვერ იქნება დამოუკიდებელი იმ კონკრეტული სამეტყველო-კომპოზიციური ფორმისაგან, რომლის ინტეგრანტადაც იგი გვევლინება დისკურსის მოცემულ ასპექტში თუ მონაკვეთში.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ ნათქვამი იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთმნიშვნელოვნად დავუკავშიროთ ერთმანეთს ნებისმიერი კვლევისთვის და, ბუნებრივია, ჩვენთვისაც რელევანტური სამი შემდეგი კვლევითი მომენტი - **თემა, პრობლემა და მიზანი**. კვლევის თემას, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ის მიმართება, რომელიც უნდა არსებობდეს და არსებობს კიდევ ისეთ ორ ენობრივ ერთეულს შორის, როგორცაა წინადადება და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა (როგორც ზემოთ ითქვა, ამგვარი მიმართების არსებობა ჩვენთვის ცხადია როგორც ინტუიტურ, ისე პრაქტიკულ დონეზე, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ექსპლიციტურად გააზრებული და სწორედ ეს ამართლებს მის ჩვენს მიერ თემად ქცევას); **პრობლემად** კი, როგორც უკვე ითქვა, უნდა მივიჩნიოთ ხსენებული მიმართების კოცეპტუალიზაცია იმ ფორმით და შინაარსით, რომლითაც ამას მოითხოვს ლინგვისტური აზროვნების თანამედროვე პარადიგმული სიტუაცია (ამით კი იმის თქმა გვსურს, რომ ნებისმიერი კვლევითი პრობლემა უნდა გაგებულ იქნას არა აბსტრაქტულად, არამედ იმ პარადიგმული სიტუაციის საფუძველზე, რომელიც არსებობს შესაბამის მეცნიერებაში მოცემული მომენტისთვის); ნათქვამის შესაბამისად, ჩვენი მიზანი იქნება წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების ისეთი კონცეფციის აგება, რომელიც თანმიმდევრულად იქნება დაფუძნებული თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ სიტუაციაზე და ამავე დროს მოახდენს ხსენებულ ერთეულთა (ანუ წინადადებასა და კომპოზიციურ ფორმათა) და ირგვლივ არსებულ კონცეფციათა სინთეზს.

2. პრობლემის აქტუალურობა.

ვფიქრობთ, პრობლემის აქტუალურობა უკვე მთელი სიცხადით გამომდინარეობს ზემოთ ნათქვამიდან: ჩვენს მიერ ფორმულირებული პრობლემა აქტუალურია უკვე იმიტომ, რომ იგი ეხება თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა ისეთ ფართო სპექტრს, რომლის გაშლილი სახით ჩვენებას შევეცდებით ნაშრომის პირველ თავში, ამ ეტაპზე კი შეგვიძლია ვთქვათ: წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმარ-

თების კონცეპტუალიზაცია შეუძლებელი იქნება, თუ ერთდროულად და, რაც მთავარია, ორგანულ ურთიერთკავშირში არ განვიხილავთ ენობრივი სისტემისა და დისკურსის, ფუნქციურ სტილთა და დისკურსის, დისკურსისა და ტექსტის, პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის კომუნიკაციური თვალსაზრისით რელევანტურ ასპექტებს – რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ ფორმულირებულ პრობლემასთან მიმართებაში.

როგორც თავიდანვე ითქვა, ჩვენი კვლევა მის პრობლემურ და მიზნობრივ ასპექტებში ეფუძნება თანამედროვე ლინგვისტიკის ორ პარადიგმულ ასპექტს – პარადიგმულ სიტუაციასა და იმ პარადიგმულ პრინციპს, რომელიც გულისხმობს ენის როგორც ფენომენის მაკონსტიტუირებელ ერთეულებს შორის იერარქიულ-დონეებრივ ურთიერთმიმართებას. ვფიქრობთ, აუცილებელი იქნება – თუ გვსურს ადეკვატურად განვსაზღვროთ მიმართება წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის – განვიხილოთ ეს ორი ხსენებული პარადიგმული მომენტი სინთეზურად, ანუ ისეთ ურთიერთდამოკიდებულებაში, რომელიც მთლიანად გამოავლენდა ჩვენი პრობლემის კვლევისათვის აუცილებელ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს, მაგრამ იმისთვის, რომ ბოლომდე ნათელი გახდეს ჩვენი მსჯელობის ლოგიკური არსი და, რაც მთავარია მისი მიმართება ჩვენი კვლევის აქტუალურობასთან, საჭიროდ მიგვაჩნია განვსაზღვროთ, უპირველეს ყოვლისა ხსენებული პარადიგმული სიტუაციის არსი, შემდეგ დავაკონკრეტოთ მისი მიმართება დონეებრივ პრინციპთან და ბოლოს, რა თქმა უნდა ამ დაკონკრეტების მნიშვნელობა ჩვენი კვლევითი მიზნისთვის.

იმისათვის, რომ შევასრულოთ ზემოთ ფორმულირებული ამოცანა, განვსაზღვროთ „პარადიგმული სიტუაციით“, როგორც ტერმინით ნაგულისხმევი შინაარსი: იგი გულისხმობს იმაზე მითითებას, თუ თანამედროვე ლინგვისტიკური აზროვნების რომელი პარადიგმა დომინირებს მოცემულ ეტაპზე. როგორც ცნობილია, ეს არის **კომუნიკაციური პარადიგმა** და ამით იგულისხმება, რომ ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში ექცევა არა იმდენად ენის როგორც ფენომენის სისტემური, არამედ მისი როგორც **კომუნიკაციური** ქმედების ასპექტი. ეს კი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ჩვენი კვლევის ორივე „ფიგურანტი“ – როგორც წინადადება, ისე სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა – უნდა დანახულ იქნას კომუნიკაციური თვალსაზრისით და, როგორც შემდგომ ჩვენს მიერ განმარტებული იქნება, იმ ორი ლინგვისტიკური დისციპლინის პრინციპთა მიხედვით, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ კომუნიკაციური პარადიგმის არსს – ვგულისხმობთ

ლინგვისტურ პრაგმატიკასა და ტექსტის ლინგვისტურ თეორიას. მაგრამ პარადიგმული სიტუაციის ცნება გულისხმობს იმ ფაქტსაც, რომ მას როგორც ამგვარად, ანუ კომუნიკაციურად განსაზღვრულ სიტუაციას წინ უძღოდა განსხვავებული სიტუაცია – სიტუაცია, რომლის ფარგლებში დომინირებდა არა კომუნიკაციური, არამედ სისტემური პარადიგმა. სისტემური პარადიგმა როგორც ცნობილია, სწორედ ის პარადიგმაა, რომელმაც შეიმუშავა ენობრივი სისტემის **დონეებრივი მოდელი**. ამ მოდელის ფუნქციური არსისა და სტრუქტურის ჩვენს კვლევით მიზნებთან დაკავშირებული დაკონკრეტება მოგვიხდება ჩვენი ნაშრომის პირველ თავში, ამ ეტაპზე კი, ჩვენის აზრით, საკმარისია ითქვას შემდეგი: როგორც ცნობილია, ლინგვისტიკაში, ისე როგორც ზოგადად ჰუმანიტარულ აზროვნებაში, კვლევით პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ „უქმდება“ წინა პარადიგმის მიერ შეიმუშავებული პრინციპები და ამ პრინციპთა საშუალებით მიღებული შედეგები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კვლევის ორივე ურთიერთდამოკიდებული ობიექტი, ანუ წინადადება და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ისე, როგორც ამას მოითხოვს კომუნიკაციური ლინგვისტიკა, არამედ ენის დონეებრივ მოდელთა სრულ შესაბამისობაშიც: წინადადება უნდა მივიხილოთ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის როგორც ტექსტობრივი ერთეულის **ინტეგრანტად** და, შესაბამისად, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნას გადააზრებული წინადადებასთან დაკავშირებული მთელი ტრადიციულად არსებული პრობლემატიკა. როგორც უკვე ითქვა, ამგვარი მიდგომა ხსენებული ორი ობიექტის – წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების პრობლემაში არა მხოლოდ გულისხმობს ორი ლინგვისტური პარადიგმის, ანუ სისტემურისა და კომუნიკაციურის პრინციპთა სინთეზს; იგი გულისხმობს იმასაც, რომ ამგვარი, ანუ პარადიგმული თვალსაზრისით სინთეზური მიდგომა მოცემულ შემთხვევაში ჯერ არ ყოფილა განხორციელებული.

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ საკვლევე პრობლემის აქტუალურობის საკითხი, თავისი შინაარსით სცილდება საკუთრივ ორი ერთეულის – წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის – ურთიერთმიმართების შედარებით ვიწრო კონტექსტს და გულისხმობს მთელი იმ პარადიგმული დინამიკის კვლევაში „ჩართვას“, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე ლინგვისტიკა. მიგვაჩნია, რომ კვლევითი კონტექსტის ამგვარი გაფართოების აუცილებლობა სულაც არ არის შემთხვევითი და მთლიანად აიხსნება იმ ფუძემდებლური მნიშვნე-

ლობით, რომლითაც ხასიათდება ლინგვისტური აზროვნების ჩვენი კვლევის ორივე ობიექტი – როგორც წინადადება, ისევე ტექსტი (რადგან, როგორც უკვე ხაზგასმით ითქვა, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა უნდა განიხილებოდეს ტექსტობრიობის ელემენტარულ, ანუ ფუძემდებლურ გამოვლინებად).

3. პრობლემასთან დაკავშირებულ ამოცანათა ერთობლიობა

პრობლემის აქტუალურობიდან, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, გამომდინარეობს იმ კონკრეტულ ამოცანათა ერთობლიობის განსაზღვრის აუცილებლობა, რომელთა თანმიმდევრული ფორმულირების გარეშე ვერ იქნება ადეკვატურად დასმული და გადაჭრილი ზემოთ ფორმულირებული პრობლემა.

შევეცადოთ განვახორციელოთ იმ ამოცანათა თანმიმდევრული ფორმულირება, რომლებიც გარდუვალად უნდა იდგნენ ჩვენს წინაშე კვლევის პროცესში. ეს პრობლემებია:

ა) იქიდან გამომდინარე, რომ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართებას ვხედავთ ერთდროულად ლინგვისტიკის როგორც სისტემურ, ისე კომუნიკაციურ პარადიგმაზე დაყრდნობით, აუცილებლად მიგვაჩნია იმის განსაზღვრა, თუ რა მიმართებაშია **სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ცნება ტექსტის ცნებასთან**. როგორც წინა პარაგრაფში ითქვა, სწორედ ტექსტის ლინგვისტიკა პრაგმატიკასთან ერთად წარმოადგენს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითად სტრუქტურულ ელემენტს. მაგრამ როგორია სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის საკუთრივ ტექსტობრივი სტატუსი? ბუნებრივია, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაიცეს ტექსტის ლინგვისტური თეორიის მაკონსტიტუირებელ პრინციპზე დაყრდნობით;

ბ) ის ფაქტი, რომ ვცდილობთ დავადგინოთ ფუნქციურ-სტრუქტურული კავშირი წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის, მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ დავადგინოთ არსებითი კავშირი ამ ორი ენობრივი ერთეულის დეფინიციებს შორის. წინადადებისა და კომპოზიციური ფორმის ის დეფინიციები, რომლებიც არსებობენ თანამედროვე ლინგვისტიკაში, ფორმულირებულნი არიან, როგორც წესი, ხსენებული ურთიერთმიმართების გათვალისწინების გარეშე. ამ თვალსაზრისით, ჩვენის აზრით, აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა: როგორც ცნობილია, წინადადების მაკონსტიტუირებელ ნიშნად სახელდება **პრედიკაციულობა**, მაგრამ, თუ წინადადებას მივიჩნევთ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტად, მაშინ უნდა დაისვას კითხვა: რა მიმართებაა

პრედიკაციულობასა და თვით სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის მაკონსტიტუირებელ ნიშანს შორის? როგორც ცნობილია, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, წმინდა სტრუქტურული თვალსაზრისით ემთხვევა ისეთ ტექსტობრივ სეგმენტებს, როგორიცაა მიკროტექსტი და ზეფრაზობრივი ერთიანობა. მაგრამ, ჩვენის აზრით, რომ სწორედ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა წარმოადგენს იმ ტექსტობრივ კონცეპტს, რომელსაც პირველ რიგში უნდა დაუკავშირდეს იერარქიული თვალსაზრისით წინადადება;

გ) წინა ამოცანიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა არსებულ თეორიაზე დაყრდნობით განვსაზღვროთ თვით ამ ერთეულის მაკონსტიტუირებელი ნიშანი, მაგრამ უკვე ისე, რომ გამოიკვეთოს უშუალოდ არსებითი კავშირი, ერთის მხრივ, ამ მაკონსტიტუირებელ ნიშანსა და მეორეს მხრივ, პრედიკაციულობას როგორც წინადადების მაკონსტიტუირებელ ნიშანს შორის. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ამოცანის დასახვის გარეშე შეუძლებელია ჩაეყაროს სერიოზული საფუძველი ამ ორი ენობრივი ერთეულის ადეკვატურ კვლევას. როგორც უკვე ითქვა, ადეკვატური კვლევა ამ შემთხვევაში ერთდროულად უნდა ეფუძნებოდეს როგორც სისტემურ-დონეებრივ, ისე კომუნიკაციურობის პრინციპს;

დ) იმდენად, რამდენადაც წინადადება და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა განიხილება როგორც ენობრივი ერთეულები, აუცილებელი უნდა იყოს მათი სტრუქტურულ-ფუნქციური ხედვა როგორც პარადიგმატულ ისე სინტაგმატურ დონეებზე. მაგრამ, ამავე დროს, რა თქმა უნდა, ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებასაც: ლინგვისტურ ლიტერატურაში ძირითადად განსაზღვრულია წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართება პარადიგმატიკაში, რითაც ელემენტარულად იგულისხმება, რომ ერთი წარმოადგენს მეორის ინტეგრანტს, მაგრამ როგორია ეს მიმართება სინტაგმატიკაში, თუ თვით სინტაგმატიკას დავინახავთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ანუ როგორც ისეთ ურთიერთმიმართებას, რომლის ფუნქციური არსი უნდა დაკონკრეტდეს, ერთობლივად ტექსტის ლინგვისტიკისა და პრაგმატიკის პრინციპებზე დაყრდნობით;

ე) მიგვაჩნია, რომ ზემოთ ნათქვამიდან უშუალოდ გამომდინარეობს შემდეგი კითხვის (და რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე პასუხის) აუცილებლობა: ხომ არ არსებობს – როგორც პარადიგმატულ ისე სინტაგმატურ დონეზე – ურთიერთდამოკიდებულება ისეთ ორ ტიპოლოგიას შორის, როგორიცაა, ერთის მხრივ, წინადა-

დების ტიპოლოგია და, მეორეს მხრივ, სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგია. ჩვენის აზრით, ეს არა მხოლოდ ის ამოცანაა, რომელიც ჯერ არ დასმულა ლინგვისტური კვლევის პრაქტიკაში, არამედ ჩვენი კვლევის ცენტრალური ამოცანაც: უნდა დავინახოთ და განვსაზღვროთ წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა შორის მიმართება არა მხოლოდ ამ ერთეულთა დეფინიციის, არამედ ტიპოლოგიზაციის დონეზეც: უნდა ითქვას, თუ როგორია არსებითი კავშირი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ტიპებს შორის (როგორც ცნობილია, გამოიყოფა ძირითადად "შეტყობინების", "აღწერისა" და "მსჯელობის" ტიპები) და წინადადების იმ ქრესტომათიულ ტიპოლოგიას შორის, რომლის მიხედვით უნდა გამოიყოს პირველ რიგში, მარტივ და რთულ წინადადებათა ტიპები;

ვ) ის ფაქტი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში წინადადება (რომელი ტიპისაც არ უნდა იყოს იგი) უნდა დავინახოთ როგორც ტექსტის ინტეგრანტი, გულისხმობს ამგვარად ხაზგასმული ამოცანის უფრო ფართო და უფრო ღრმად დასახვის შესაძლებლობას. როგორც ცნობილია, სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტი შეიძლება გამოხატულ იქნას როგორც მაქსიმალურად გაშლილი, ისე მაქსიმალურად „შეკუმშული“ ფორმით და გამოხატულების ფორმათა შორის ამგვარი სხვაობაც უნდა ექვემდებარებოდეს ერთის მხრივ ჩვენს კომუნიკაციურ ინტენციას, მეორეს მხრივ კი ტექსტის იმ ტიპს, რომელსაც „ეკისრება“ ამ ინტენციის რეალიზაცია. ტექსტის ამგვარ ტიპად კი, პირველ რიგში წარმოგვიდგება სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა.

4. პრობლემის კვლევის ისტორია და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის სავარაუდო შედეგები

როგორც წინა პარაგრაფებში ითქვა, ჩვენთვის კვლევის პრობლემას წარმოადგენს ორი ენობრივი ერთეულის – წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის მიმართების დადგენა იმ პარადიგმული სიტუაციის საფუძველზე, რომელიც აღინიშნება თანამედროვე ლინგვისტიკაში, კვლევის მიზანს კი უნდა წარმოადგენდეს ისეთი სინტაქსური კონცეფციის აგება, რომლის ფარგლებში სინთეზირებული იქნებოდა წინადადებასა და სამეტყველო კომპოზიციური ფორმის არსებული თეორიები. შესაბამისად, პრობლემის კვლევის ისტორიის განხილვისას მართებულად მიგვაჩნია მიუუთითოთ არა უშუალოდ იმაზე, თუ როგორ ხდებოდა ამ ორ ერთეულს შორის მიმართების კვლევა (როგორც ითქვა, ექსპლიციტური სახით და თანმიმდევრულად ასეთი კვლევა არ ჩატარებულა) –,

არამედ იმაზე, თუ რა ეტაპები გაიარა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთის მხრივ, წინადადება, მეორეს მხრივ კი სამეტყველო კომპოზიციურმა ფორმამ. თუმცა ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევის ისტორიის ამ ორ სფეროს შორის შეუძლებელია არსებობდეს სიმეტრიული ურთიერთმიმართება: წინადადების კვლევა ხორციელდებოდა უკვე ანტიკურ ხანაში, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის კვლევის პერიოდი კი მიეკუთვნება ლინგვისტიკის ისტორიის უახლეს ეტაპს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია შევეხოთ – როგორც წინადადებასთან, ისე კომპოზიციურ ფორმასთან დაკავშირებით – მხოლოდ კვლევის იმ ეტაპებს, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ჩვენს მიერ ფორმულირებული პრობლემის თვალსაზრისით. მიუხედავად სტრუქტურული სახით ამ ეტაპებზე ჯერ წინადადებასთან, შემდეგ კი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმასთან მიმართებაში. ორივე შემთხვევაში ჩვენთვის ფუძემდებელი იქნება ამ ეტაპთა შინაგანი კავშირი თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ ისტორიასთან.

წინადადების კვლევის ის ეტაპები, რომლებიც რელევანტურია ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით

ა) როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკის პირველ და ამავე დროს, ფუძემდებელ პარადიგმად მიჩნეულია **სისტემურ-სემიოტიკური** პარადიგმა. ამ პარადიგმის ფარგლებში, ჩვენის აზრით, უნდა გამოიყოს ჩვენი კვლევითი პრობლემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის შემდეგი ეტაპი: ნიშნის ცნება უკვე ამ პარადიგმის ფარგლებში გავრცელდა წინადადებაზეც და გამოიყო ნიშნის ორი დონეებრივი ტიპი - არასრული ნიშანი ანუ **სიტყვა** და სრული ნიშანი ანუ **წინადადება**. ნიშნის ცნების წინადადების დონეზე გადატანის (ტრანსპოზიციის) ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ კონცეპტუალური თვალსაზრისით წინადადებასაც შეიძინა ნომინაციის ფუნქცია, ხოლო თვით ნომინაციის ფარგლებში გამოიყო ორი დონე - **ლექსიკური** და **სინტაქსური ნომინაცია**. წინადადების კვლევის ხსენებულ ეტაპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმიტომ, რომ შემდგომ, ანუ ტექსტის ლინგვისტიკის აღმოცენებისა და განვითარების ეტაპზე, მაქსიმალურად სრული ნიშნის სტატუსი მიენიჭა უკვე ტექსტს. როგორც უკვე ვიცით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას განვიხილავთ როგორც ტექსტობრივ ერთეულს, და, შესაბამისად, უნდა გავცეს პასუხი კითხვაზე: თუ წინადადება მოიაზრება ზოგადად ტექსტის, უშუალოდ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტად,

მაშინ როგორ უნდა განისაზღვროს მიმართება ნომინაციის ისეთ დონეებს შორის, როგორცაა სინტაქსურ (ამ ტერმინის ტრადიციული გაგებით) და ტექსტობრივ ნომინაციებს შორის;

ბ) როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკის მეორე პარადიგმულ ეტაპად განიხილება **ანთროპოცენტრისტულ** კომუნიკაციათა პარადიგმა, რომლის ფარგლებში წამყვან კონცეპტებად იქცა პრაგმატიკის, დისკურსისა და ტექსტის ცნებები. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა (და ამჟამადაც აქვს ადგილი) ენობრივ ერთეულთა ისეთ კვლევას, როცა ეს კვლევა მიეკუთვნება ნებისმიერ ერთეულთა ნომინაციურ-სემანტიკური შინაარსის პრაგმატიკულ ინტერპრეტაციას. როგორც ზემოთ ითქვა, ამ ეტაპზე ხდება ნიშნის ცნების ტრანსპოზიცია უკვე ტექსტის დონეზე, ხოლო ტექსტის, როგორც სრული ენობრივი ნიშნის ფარგლებში გარდუვალად უნდა გამოყოფილიყოს მისი სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული განზომილებები. მაგრამ ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას გაგებულნი ფუნქციური და სტრუქტურული თვალსაზრისით ერთის მხრივ ტექსტსა, მეორეს მხრივ კი, წინადადების (როგორც ტექსტის ინტეგრანტის) და თვით ტექსტის განზომილებათა ურთიერთმიმართება?

გ) როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის უშუალო მნიშვნელობა აქვს წინადადების თანამედროვე კვლევის იმ ეტაპს, რომლის ფარგლებში წინადადებას - ისევე, როგორც სიტყვას - მიენიჭა **ნიშნის** სტატუსი, მაგრამ ითქვა ისიც, რომ ნიშნობრიობის ის ხსენებული შეჭრა-ქსპანსია არ შეჩერებულა წინადადების დონეზე - იგი გავრცელდა ტექსტზეც, და შესაბამისად, სწორედ ტექსტს მიენიჭა პრიორიტეტულად **სრული** ნიშნის სტატუსი. სწორედ ლინგვოსემიოტიკის განვითარების ეს ეტაპია ჩვენთვის რელევანტური შემდეგი მოსაზრების გამო: თუ სრულ ნიშნად მიიჩნევა ტექსტი და არა წინადადება, მაშინ თვით წინადადება უნდა იქნეს მიჩნეული ტექსტის ინტეგრანტად. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, არსებობს ტექსტთა ობიექტური იერარქია (მიკრო-, მაკრო-, და მეგატექსტი) და, შესაბამისად ისმის კითხვა: რომელია ტექსტობრიობის ის დონე, რომლის უშუალო ინტეგრანტად უნდა მივიჩნიოთ წინადადება? რაკი ტექსტობრიობის ასეთ დონედ შეიძლება იყოს მხოლოდ მიკროდონე, ამიტომ ჩვენი საკვლევი პრობლემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სამეტყველო-კომპოზიციური თეორიის განვითარებამ;

დ) რაც შეეხება პრობლემის კვლევის იმ ეტაპს, რომელიც უკავშირდება სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ფენომენს:

როგორც უკვე ითქვა, ჯერ არ დასმულა – ყოველ შემთხვევაში ექსპლიციტური ფორმით – ის კითხვა, რომელზე პასუხსაც უნდა წარმოადგენდეს მთელი ჩვენი კითხვა, ანუ კითხვა იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაა, ერთის მხრივ, სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმასა, მეორეს მხრივ კი მის უშუალო ინტეგრანტს, ანუ წინადადებას შორის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მიგვაჩნია, რომ თვით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის ჩამოყალიბების ისტორია უნდა მივიჩნიოთ ჩვენი პრობლემის კვლევის ერთ-ერთ ეტაპად. შეიძლება გამოიყოს ამ ეტაპის შემდეგი ასპექტები:

1) განისაზღვრა ის განსხვავება, რომელიც არსებობს (წმინდა კონცეპტუალური თვალსაზრისით) ისეთ სინტაქსურ ერთეულებს შორის, როგორცაა, ერთის მხრივ, **ზეფრაზობრივი** ერთიანობა, მეორეს მხრივ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას მიენიჭა სინამდვილის დისკურსული ფორმით ასახვის ფუნქცია და სტატუსი და სწორედ ამ საფუძველზე მოხდა სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიზაცია სამი ძირითადი ტიპის გამოყოფის ფორმით ("შეტვობინება"/"აღწერა"/"მსჯელობა").

2) ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დღეისთვის პრობლემური რჩება ისეთი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა გამოყენის საკითხი, როგორცაა "აღწერა" და "დახასიათება".

ე) იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომის პირველ თავში ბევრად უფრო საფუძვლიანად შევეხებით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიას, ამ ეტაპზე საკმარისად მიგვაჩნია მხოლოდ იმაზე მითითება, თუ კვლევის რა ეტაპები გაიარა ჩვენთვის მნიშვნელოვანმა ორმა ლინგვისტურმა კონცეპტმა - წინადადებად და სამეტყველო-კომპოზიციურმა ფორმამ. მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს კითხვა: როგორ უნდა იქნას ინტეგრირებული ჩვენი საკუთარი კვლევა წინადადებისა და სამეტყველო კომპოზიციური ფორმის კვლევის ისტორიაში? როგორც აღნიშნულ იქნა პრობლემის აქტუალურობაზე მსჯელობისას, გვაქვს საფუძველი მივიჩნიოთ ჩვენი კვლევა ამ ისტორიის სრულიად **ახალ ეტაპად**.

ზემოთ ნათქვამიდან უნდა გამომდინარეობდეს მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **სავარაუდო შედეგი**: მთავარ ასეთ შედეგად უნდა მივიჩნიოთ იმის ექსპლიციტური სახით გამოვლენა, თუ რა შინაგანი კავშირი არსებობს ისეთ ორ ტიპოლოგიას შორის, როგორცაა,

ერთის მხრივ წინადადების, მეორეს მხრივ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ტიპოლოგია, თუმცა, ამავე დროს იგულისხმება იმ სავარაუდო შედეგთა ერთობლიობაც, რომლებიც უშუალოდ დაუკავშირდებიან ხსენებულ მთავარ შედეგს.

5. კვლევის სიახლე

ფიქრობთ, თვით კვლევის პრობლემისა და მიზნის ფორმულირებიდან უშუალოდ უნდა გამომდინარეობდეს კვლევის სიახლაც. ჩვენის აზრით, სიახლეა უკვე ის, რომ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის დომინირების ეტაპზე ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაა ტექსტობრივ-სინტაგმატურ პლანში ისეთ ერთეულებს შორის, როგორცაა წინადადება და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა. მაგრამ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ყველა ის კვლევითი მომენტი, რომელიც ბუნებრივად თან უნდა ახლდეს ხსენებულ მთავარ სიახლეს.

6. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენი კვლევის თეორიული მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს მასთან დაკავშირებული შემდეგი პრობლემური ასპექტებით:

ა) თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ენობრივ ერთეულთა შორის ურთიერთმიმართებას, რომლებიც თავისი დეფინიციითა და ფორმულირებით ეკუთვნიან ლინგვისტური აზროვნების წინა პარადიგმებს. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ **"ახლებურად"** სრულიად ახალ პარადიგმულ სიტუაციაში განსაკუთრებული თეორიული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ლინგვისტურ ცნებათა ურთიერთმიმართების კომუნიკაციურ-დისკურსული თვალსაზრისით გააზრებას, რომლებიც თავისი გენეზისით და ფორმულირებით ეკუთვნიან ლინგვისტური აზროვნების სისტემურ პარადიგმას. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტექსტის ლინგვისტიკა; ბ) სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა კი უნდა მივიჩნიოთ სწორედ ტექსტობრიობის იმ ელემენტარულ გამოვლინებად, რომლის ფარგლებში ინტეგრანტის სტატუსით ფუნქციონირებს წინადადება.

რაც შეეხება ნაშრომის **პრაქტიკულ მნიშვნელობას**, ჩვენს მიერ მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ზოგადი ლინგვისტიკის, ისე ლინგვისტური ანგლისტიკის თეორიულ კურსებში და ამ კურსებთან დაკავშირებულ სემინარებზე.

7. საკვლევი მასალის ზოგადი დახასიათება

კვლევის მიზანი განსაზღვრავს იმ ენობრივი მასალის ხასიათსაც, რომლის ანალიზმა უნდა დაგვარწმუნოს ჩვენს მიერ ზემოთ ფორმულირებულ კვლევით პრინციპთა ადეკვატურობაში. იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ენობრივი მასალა ეკუთვნის არა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ ენას, არამედ აგრეთვე მოცემული ენის ამა თუ იმ ფუნქციურ სტილსაც, აუცილებლად თავიდანვე მისაღებია გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელ ფუნქციურ სტილთან გვექნება საქმე კვლევის პროცესში. მაგრამ, ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ნებისმიერი ფუნქციური სტილიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია ჟანრთა მთელი შესაძლო სპექტრით, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების მიღებას. საბოლოო ანგარიშში კი ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული კითხვა ჩვენს შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში, როცა ვიკვლევთ წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის მიმართებათა ერთობლიობას, იღებს შემდეგ სახეს: თანამედროვე ინგლისური ენის რომელ ფუნქციურ სტილთან, და შესაბამისად, ამ სტილის რომელ ჟანრთან უნდა იყოს ფუნქციურად და სტრუქტურულად დაკავშირებული ის ენობრივ-ტექსტობრივი კორპუსი, რომელზე დაყრდნობითაც უნდა წარიმართოს ჩვენი კვლევა?

ვფიქრობთ, ზემოთ დასმულ კითხვაზე უნდა გავცეს შემდეგი პასუხი: იქიდან გამომდინარე, რომ, ერთის მხრივ, ჩვენ მოგვიხდება წერილობითი სახით დაფიქსირებული ენობრივი მასალის კვლევა, მეორეს მხრივ კი ჩვენს მიერ დასმული კვლევითი პრობლემა ატარებს - და ამის შესახებ უკვე საკმარისად ითქვა - ზოგადთეორიულ ხასიათს, ჩვენი საკვლევი ენობრივი მასალა წარმოდგენილ იქნება თანამედროვე ინგლისური ენის მხატვრულ-ლიტერატურული ფუნქციური სტილით. ამ არჩევანის ადეკვატურობას, ჩვენი აზრით, განაპირობებს მხატვრულ-ლიტერატურული ფუნქციური სტილის შემდეგი თავისებურება: იგი, როგორც არა ერთხელ აღნიშნულია სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურაში, მაქსიმალური სისრულით წარმოადგენს ნებისმიერ კონკრეტულ ენას როგორც ფუნქციური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. მაგრამ, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: როგორც ნებისმიერი ფუნქციური სტილი, დასახელებული სტილიც ხასიათდება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით და, შესაბამისად, საკვლევი ენობრივი კორპუსის შერჩევის პრობლემა შეიცავს შემდეგ ასპექტსაც: უნდა შევჩერდეთ მხატვრულ-ლიტერატურული სტილის იმ ჟანრზე (ამ ტერმინის

ფართო გაგებით), რომელიც წმინდა ენობრივი თვალსაზრისით, მაქსიმალური სისრულით წარმოადგენს მოცემულ ფუნქციურ სტილს. სწორედ ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ ჩვენს მიერ საკვლევი ენობრივ-ტექსტობრივი კორპუსი უნდა ეკუთვნოდეს ნარატივის როგორც ჟანრს. უფრო დაკონკრეტებული სახით კი – ისეთ ტექსტობრივ მასალას, რომელიც შეიცავს თხრობას. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამგვარად მიღებული გადაწყვეტილება მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას, რადგან მხატვრული ნარატივიც წმინდა ლინგვისტური გაგებით შეიძლება წარმოდგენილ იქნას ტექსტობრივი იერარქიის ნებისმიერი დონით - როგორც მიკრო, ისე მაკრო და მეგადონით. სწორედ ამიტომ, ვირჩევთ მხატვრული ნარატივის ტერმინ „მაკროტექსტით“ წარმოდგენილ ნარატივის ტიპს. ვფიქრობთ, ასეთ ნარატივს როგორც ტიპოლოგიური, ისე იერარქიული თვალსაზრისით წარმოადგენს ე.წ. "short stories". მიგვაჩნია, რომ სწორედ ამგვარი ნარატიული ფორმა იძლევა იმის მაქსიმალურად სრულ საშუალებას, რომ შედარებით მოკლე ტექსტობრივ სივრცეში დანახულ იქნას წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის შესაძლო მიმართებათა მთელი სპექტრი.

8. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და ზოგადი დასკვნებისგან.

რაც შეეხება „შესავალს“: იგი უკვე წარმოდგენილია ჩვენს მიერ შესაბამისი სტრუქტურით.

რაც შეეხება ნაშრომის ძირითად ნაწილს, იგი შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

ნაშრომის **პირველ თავში**, რომლის სათაურია „კომუნიკაციური ლინგვისტიკა და წინადადების ტექტოცენტრისტული ხედვა როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემა“, გაშლილი სახით რეალიზებულია მოსაზრებათა ის სპექტრი, რომელსაც უკვე დაეთმო „შესავლის“ შინაარსი. სხვანაირად რომ ვთქვათ, პირველ თავში ხდება იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველთა თანმიმდევრული ჩამოყალიბება, რომელთა ფონზე და რომელთა გათვალისწინებით უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: როგორ უნდა განისაზღვროს წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის ურთიერთმიმართება, თუ ამ მიმართების განსაზღვრის პარადიგმულ საფუძველად მივიჩნევთ, ერთის მხრივ, დღეისთვის დომინანტურ კომუნიკაციურ პარადიგმას, მეორეს მხრივ კი ენობრივი სისტემის იერარქიულ-დონეობრივ მოდელს, შემუშავებულს თანამედროვე ლინგვის-

ტიკის სისტემური პარადიგმის მიერ. თუ გავაერთიანებთ ამ ორი ხსენებული პარადიგმით ნაგულისხმევ თეორიულ ხედვებს, მაშინ მივიღებთ იმ სინთეზურ ხედვას, რომელიც ჩვენი კვლევითი მიზნის შესაბამისად ფორმულირებული იქნება როგორც წინადადების ტექსტოცენტრისტული ხედვა. მოცემულ თავში წარმოდგენილ პარაგრაფთა თანმიმდევრობა უნდა ასახავდეს იმ თეორიულ-მეთოდოლოგიური გზის ეტაპებს, რომლებიც უნდა გავიაროთ ხსენებული სინთეზური ხედვის მისაღწევად.

ნაშრომის **მეორე თავში**, რომლის სათაურია „სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია: მის ზოგადლოგიკურ და ლინგვოსემიოტიკურ ასპექტთა ურთიერთმიმართება“, განხორციელებულია „შესავალში“ და პირველ თავში წარმოდგენილ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ამოცანათა ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა დღეისთვის არსებული თეორიის ტექსტოცენტრისტულ ინტერპრეტაციას. მაგრამ, ამავე დროს და ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზნის თანახმად, იგივე ტექსტოცენტრისტული მიდგომა განხორციელებულია წინადადების მიმართ.

ნაშრომის **მესამე თავში**, რომლის სათაურია "ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურა და წინადადების სტრუქტურის კონსტრუქციული ანალიზი", სამეტყველო-კომპოზიციური ფორმისა და წინადადების მიმართებათა ტექსტოცენტრისტული ანალიზი იქნის **ტიპოლოგიურ** მიმართულებას. მოცემულ თავში გადამწვევტ მნიშვნელობას იქნის ის ფაქტი, რომ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, ისე წინადადება არსებობენ ტიპოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებული სტრუქტურების სახით, მაგრამ ამავე დროს ფუძემდებლად მიიჩნევა ორივე ამ ენობრივი ერთეულის – სამეტყველო-კომპოზიციური ფორმისა და წინადადების – ურთიერთმიმართების ძირითადი პრინციპი: წინადადება წარმოადგენს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის როგორც ტექსტობრივი ერთეულის ინტეგრანტს. ამავე დროს მიიჩნევა, რომ დასახელებული ძირითადი პრინციპი განსხვავებულად რეალიზდება სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიურად განსხვავებულ სტრუქტურებში. სწორედ განსხვავების ეს კრიტერიუმი ედება საფუძვლად მოცემული თავის დინამიურ-ეტაპობრივ სტრუქტურას: ცალკეული პარაგრაფები ეთმობა იმის განსაზღვრას, თუ როგორ ვლინდება წინადადების ფუნქციურ-სტრუქტურული თავისებურებანი ისეთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებში, როგორიცაა „თხრობა“, „ადწერა“ და „მსჯელობა“. ამასთან იგულისხმება რომ ცალკეული პარაგრაფი და, რაც მთავარია, ცალკეული

მსჯელობა უნდა დაეთმოს იმ მიმართებას, რომელიც არსებობს ისეთ სამეცნიერო-კომპოზიციურ ფორმათა შორის, როგორცაა აღწერა და დახასიათება.

მოცემული თავის დამასრულებელი სეგმენტი უნდა დაეთმოს იმ ტიპოლოგიურ ურთიერთმიმართებას, რომელიც არსებობს (ან უნდა იარსებოს) წინადადების ისეთ ორ ტიპოლოგიას შორის, როგორცაა სისტემის დონეზე გამოვლენილი სინტაქსური პარადიგმატიკა და დისკურსულ და ტექსტობრივ პლანში გამოვლენილ სინტაგმატურ ტიპოლოგიას შორის.

სადისერტაციო ნაშრომი სრულდება ზოგადი დასკვნებით, რომლებშიც უნდა აისახოს კვლევის შედეგად მიღებული შედეგები იმ თეორიული და მეთოდოლოგიური სიახლის გათვალისწინებით, რომელიც თან ახლავს ამ შედეგებს.

თავი I

კომუნიკაციური ლინგვისტიკა და წინადადების ტექსტოცენტრისტული ხედვა როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემა

§1. თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკა (ტრადიციული ლინგვისტიკიდან კომუნიკაციურ ლინგვისტიკამდე) და ამ დინამიკის ფუძემდებელი პრინციპი: ახალი პარადიგმა უნდა წარმოადგენდეს წინა პარადიგმის მონაცემთა ახლებურ ინტერპრეტაციას

როგორც შესავალში ხაზგასმით ითქვა, ჩვენი კვლევის შინაარსისა და მიმართულების წარმმართველად უნდა მივიჩნიოთ ორი შემდეგი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპი - ერთის მხრივ, ის პარადიგმული სიტუაცია, რომელიც გამოიხატება ლინგვისტური აზროვნების ამა თუ იმ პარადიგმის დომინირებით, ხოლო ამავე დროს იმ პრინციპითაც, რომლითაც ზოგადად ხასიათდება ჰუმანიტარული აზროვნების პარადიგმული დინამიკა (ანუ პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობა კვლევის ჰუმანიტარულ სფეროში): ნებისმიერი ახალი პარადიგმა კი არ აუქმებს წინა პარადიგმით მიღებულ კვლევით შედეგებს, არამედ ეყრდნობა მათ და ახდენს მათ ინტეგრირებას საკუთარ კვლევით პროცესში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ მიმართების განსაზღვრა, რომელიც უნდა არსებობდეს წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის და თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღეისთვის დომინირებს ლინგვისტური აზროვნების კომუნიკაციური პარადიგმა, მაშინ ცხადი გახდება ისიც, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი კვლევის მაგისტრალური თეორიულ-მეთოდოლოგიური მიმართულება: საკვლევი პრობლემა, ანუ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართება უნდა განვიხილოთ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ორი პარადიგმის - სისტემურ-სემიოტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმათა - თეორიულ-მეთოდოლოგიური „შეხვედრის“ საფუძველზე. რა თქმა უნდა, თვით ეს „შეხვედრა“ როგორც ისტორიული ფაქტი იძლევა პრობლემათა უაღრესად ფართო სპექტრის განხილვის საშუალებას და ამიტომ - როგორც „შესავალში“ უკვე ითქვა - აუცილებელი ხდება ხსენებული სპექტრიდან იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემათა დასახელება, რომლებიც შინაარსობრივად მაქსიმალურ-

რად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ჩვენთვის აქტუალურ კონკრეტულ პრობლემასთან. სწორედ ამ უკანასკნელის შინაარსობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მთელი ჩვენი კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად უნდა იქცეს ზემოთ ხსენებულ ლინგვისტურ პარადიგმათა ორი პრინციპის, სახელდობრ **დონეებრივი პრინციპისა** და **კომუნიკაციის პრინციპის** სინთეზური შერწყმა, თუმცა ამავე დროს თავიდანვე გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: იქიდან გამომდინარე, რომ ლინგვისტიკის დღევანდელი პარადიგმული სიტუაცია გულისხმობს კომუნიკაციური პარადიგმის დომინირებას, დონეებრივი და კომუნიკაციური პრინციპების ხსენებული სინთეზი უნდა განხორციელდეს კომუნიკაციური პრინციპის პრიმატის საფუძველზე. ქვემოთ, რა თქმა უნდა, დაკონკრეტებული იქნება ის, თუ რას უნდა გულისხმობდეს ეს პრიმატი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მოცემულ პარაგრაფში აუცილებელია განისაზღვროს პრინციპი, რომლის მიმართ კომუნიკაციურმა პრინციპმა უნდა გამოავლინოს თავისი თეორიული და მეთოდოლოგიური უპირატესობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე კვლევის ამ ეტაპზე საჭიროა გვექონდეს დონეებრივი პრინციპის დასაყრდენი ტერმინის, ანუ „**დონის**“ სრული განმარტება. ვფიქრობთ, გამართლებული იქნება, თუ ამ განმარტებას „დავესესხებით“ სისტემურ-სემიოტიკური ლინგვისტიკის ისეთ წარმომადგენელს, როგორცაა ე. ბენვენისტი. ხსენებული ავტორის მიხედვით, „იმის დასადგენად, თუ რას წარმოადგენს ანალიზის პროცედურა (ავტორი, ბუნებრივია გულისხმობს ლინგვისტური ანალიზის პროცედურას - ლ.ო), უნდა განისაზღვროს დონის ცნება. ეს სწორედ ის ცნებაა, რომლის საშუალებით შეგვიძლია ადეკვატურად ავსახოთ ენის ისეთი არსებითი თავისებურება, როგორცაა მისი შინაგანი დანაწევრებულობა და მის ელემენტთა დისკრეტულობა. მხოლოდ დონის ცნებას შეუძლია დაგვეხმაროს იმაში, რომ დავინახოთ ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების თავისებურება“ (2004: 206). როგორ უნდა გავიგოთ ლინგვისტური ანალიზის ბენვენისტის მიერ განსაზღვრული პრინციპის კავშირი ჩვენთვის აქტუალურ პრობლემასთან, ანუ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების განსაზღვრის პრობლემასთან? ვფიქრობთ, ენობრივი დონის ბენვენისტისეული განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს გვექონდეს ამოსავალი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა მიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან წინადადება და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა: ამ მიმართების ცენტრალური მომენტი, რომლის თანახმად წინადადება ჩვენი „შესავლის“ მიხედვით უკვე მივიჩნით სამეტყველო-კომპოზი-

ციური ფორმის ინტეგრანტად, ინტერპრეტირებული უნდა იყოს სწორედ ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელის საფუძველზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ მოდელის მიხედვით წინადადება, ერთის მხრივ, უნდა განვიხილოთ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის **ნაწილი**, მეორე მხრივ კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ფარგლებში ნებისმიერი წინადადება მოცემულია და ფუნქციონირებს როგორც დისკრეტული ელემენტი.

რა თქმა უნდა, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების ზემოთ მოცემული განმარტება ატარებს ძალიან ზოგად და ელემენტარულ ხასიათს და რომ ხსენებული ურთიერთმიმართება უკვე იგულისხმება ისეთი ტერმინის შინაარსით, როგორცაა „ინტეგრანტი“, მაგრამ ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით ამ შთაბეჭდილების ზედაპირულობაში, თუ გავითვალისწინებთ დონის ცნების ბენვენისტისეული განმარტების შემდეგ ასპექტს:

ა) პირველი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ დონის ცნება იმ სახით, რომლითაც იგი განმარტებულია ბენვენისტის მიერ, უნდა აღქმულ იქნას ჩვენს მიერ არა როგორც სისტემურ-სემიოტიკური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ცნება, არამედ როგორც ამ ლინგვისტური პარადიგმის ცენტრალური კონცეპტი - სწორედ ის კონცეპტი, რომელიც თავის თავში ასახავს მთელი პარადიგმის არსს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ გვსურს გაგხადოთ ხსენებული პარადიგმა ჩვენი კვლევის თანამონაწილე, ამ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული დონის ბენვენისტისეული ცნებით ნაგულისხმევ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ნაბიჯთა მთელი სპექტრი. ჩვენს კვლევით კონტექსტში კი ნათქვამი უნდა ნიშნავდეს შემდეგს: უნდა მაქსიმალური სისრულით გაეცეს პასუხი კითხვას იმის თაობაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს წინადადების როგორც **ნაწილის** დისკრეტული სახით მოცემულობა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის როგორც **მთელის** ფარგლებში;

ბ) მეორე ასპექტი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ განმარტავს ბენვენისტი დონეებრივი ანალიზის **მიზანს**. მისი აზრით, „ანალიზის მთელი პროცედურის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გამოვეყოთ **ელემენტები** იმ **მიმართებათა** საფუძველზე, რომლებიც მათ ერთმანეთთან აკავშირებენ. ეს პროცედურა შედგება იმ ორი ურთიერთგანმაპირობებელი ოპერაციისგან, რომელზეც დამოკიდებულია ყველა დანარჩენი ოპერაცია: 1) სეგმენტაციისგან და 2) სუბსტიტუციისგან“ (ibid 2004: 206). ავტორი შემდეგნაირად განმარტავს ამ ორი ურთიერთგანმაპი-

რობებელი ოპერაციის არსს: „ნებისმიერი სიგრძის განსახილველი ტექსტი უნდა იქნას პირველ რიგში სეგმენტირებული სულ უფრო და უფრო წვრილ მონაკვეთებად მანამ, სანამ არ იქნება დაყვანილი არასეგმენტირებად ელემენტებამდე. ამის პარალელურად კი ხდება ელემენტთა იდენტიფიცირება დასაშვებ სუბსტიტუციათა საშუალებით" (ibid 2004: 206-207). ავტორს მოჰყავს ამგვარი ანალიტიკური პროცედურის შემდეგი მაგალითი: „ასე მაგალითად, ფრანგული სიტყვა *raison* „გონება“ - სეგმენტირდება შემდეგნაირად [r] - [] -/z/ - []. შესაბამისად შეიძლება განვახორციელოთ სუბსტიტუციები [s], [z] მაგივრად (=saison, " "); [a], [] მაგივრად (=asons - I პირი, მრავლობითი რიცხვი ზმნისა *raser* „პარსვა“)... (ibid 2004: 207). ავტორი შემდეგნაირად აჯამებს აქ დემონსტრირებული ანალიზის არსს: „ასეთია, მოკლედ თუ ვიტყვით დისტრიბუციული ანალიზის მეთოდი. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი ელემენტის განსაზღვრა ხდება იმ სიმრავლის საშუალებით, რომლის ფარგლებში იგი შეიძლება შეგვხვდეს და, ამავე დროს შემდეგი ორი მიმართების საფუძველზე: პირველია იმ განსხვავებულ ელემენტებთან მიმართება, რომლებიც ერთდროულად წარმოდგენილნი არიან გამონათქვამის იგივე მონაკვეთში (სინტაგმატიკური მიმართებები) და იმ მიმართების საფუძველზე, რომლებიც ამ ელემენტს აკავშირებენ ჩანაცვლებად ელემენტებად (პარადიგმატული მიმართება) (ibid 2004: 207);

გ) ისმის კითხვა: რატომ დაგუჭირდა ცნება „დონის“ და მასთან დაკავშირებული ანალიტიკური პროცედურის ბენვენისტისეული განმარტების და, შესაბამისად, სინტაგმატიკისა და პარადიგმატიკის ცნებათა ბენვენისტისეული განსაზღვრების მეტნაკლებად დეტალიზირებული სახით გადმოცემა? - ეს ხომ სწორედ ის ცნებებია, რომლებმაც უკვე დიდი ხანია მოიპოვეს ქრესტომათიული სტატუსი. საქმე ისაა - და ეს იქნება ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე -, რომ ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელი და, შესაბამისად, ამ მოდელთან დაკავშირებული ანალიტიკური პროცედურა გამომუშავებულ იქნა, როგორც ზემოთ უკვე არის საზგასმული, იმ პარადიგმის საფუძველზე, რომელიც არა მხოლოდ არსებითად განსხვავდებოდა კომუნიკაციური პარადიგმისგან, არამედ არც ოპერირებდა იმ ტექსტობრივი ცნებებით, რომელთა გენეზისი და არსი უკავშირდება ანთროპოცენტრისტულ კომუნიკაციურ პარადიგმას, სხვანაირად რომ ვთქვათ, დონეებრივი მოდელი ჯერ კიდევ შორსაა იმ კვლევითი პრინციპისგან, რომლითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს კვლევაში და რომელიც შინაარსობრი-

ვად არსებითად უკავშირდება კომუნიკაციურ პარადიგმას, ანუ ვგულისხმობთ ტექსტოცენტრიზმს, როგორც კვლევით პრინციპს.

§2. კომუნიკაციური პარადიგმა და ტექსტოცენტრიზმი: წინადადება და სამეტყველო კომპოზიციური ფორმა ტექსტოცენტრისტული თვალსაზრისით

როგორც წინა აბზაცში ითქვა, სწორედ ტექსტოცენტრიზმი წარმოადგენს ჩვენთვის იმ მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების კვლევისას. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ამავე დროს ჩვენს კვლევას საფუძვლად უნდა დაედოს იმ მიმართების გათვალისწინებაც, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ ორ ისეთ მეთოდოლოგიურ კონცეპტს შორის, როგორცაა **პარადიგმა და პრინციპი**: რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ჩვენთვის ტექსტოცენტრიზმის პრინციპი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პრინციპი საბოლოო ანგარიშში ექვემდებარება ლინგვისტური აზროვნების ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმას. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, თავიდანვე გასათვალისწინებელია კვლევის მთელი ის თეორიულ-მეთოდოლოგიური კონტექსტი, რომელსაც შინაარსობრივად გულისხმობს ხსენებული პარადიგმა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოლომდე უნდა იქნას გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ კომუნიკაციური – ლინგვისტიკა ხასიათდება შემდეგი სტრუქტურით: მის უშუალო შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ ლინგვისტური პრაგმატიკა და ტექსტის თეორია. მთელი ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება სწორედ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ამ ორი სტრუქტურული კომპონენტის ურთიერთმიმართებას, ეს ურთიერთმიმართება კი განისაზღვრება შემდეგნაირად: „თუ ამოვალთ ენათმეცნიერების ისტორიიდან, ჩვენ პირველს დავინახავთ პრაგმატიკას - იგი იქნება კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი. მაგრამ მას ვერ დავაცილებთ ტექსტის თეორიას. პრაგმატიკა და ტექსტის თეორია კომუნიკაციური ლინგვისტიკის ბირთვის ორი მხარეა - ორივე ერთადაა ბირთვი" (ლებანიძე 2004: 285). რატომ დაგვჭირდა კომუნიკაციური ლინგვისტიკის ამ ორი ასპექტის ერთდროულად ხაზგასმა, ე.ი. ხაზგასმა ჯერ პრაგმატიკის პრიმატისა, ხოლო შემდეგ კი იმ ფაქტისა, რომ ორივე ხსენებული დარგი - პრაგმატიკაც და ტექსტის თეორიაც - ერთობლივად წარმოადგენენ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბირთვს? იმიტომ, რომ ჩვენი პრობლემის კვლევისას, წინადადების ტექსტოცენტრისტული ხედვა მუდმივად უნდა დაექვემდებაროს მის კომუნიკაციურ

ხედვას; ეს უკანასკნელი კი გულისხმობს როგორც წინადადების, ისე ტექსტის ფარგლებში პრაგმატიკული განზომილების დომინირებას.

თუ მოვინდომებთ ამ პრინციპის შემდგომ გაღრმავებას, მაშინ მივიღებთ კვლევის იმ უფრო გაღრმავებულ პრინციპს, რომელსაც „პარადიგმული სინთეზის“ პრინციპი შეიძლება ვუწოდოთ. რას უნდა ნიშნავდეს ეს პრინციპი იმ შემთხვევაში, როცა ვიკვლევთ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ურთიერთმიმართებას? როგორც უკვე ითქვა, სინთეზი ამ შემთხვევაში უნდა ნიშნავდეს დონეობრიობის და კომუნიკაციურობის პრინციპთა შერწყმას: ის, რომ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, ისე წინადადება წარმოადგენენ კომუნიკაციურ ერთეულებს, არ იწვევს, რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს. მაგრამ იმისთვის, რომ არა მხოლოდ მკაფიოდ გავმიჯნოთ ეს ორი ერთეული, არამედ გამოვაფიქროთ კიდევ მათი დინამიური ურთიერთმიმართების ცენტრალური პრინციპი, აუცილებელია, ჩვენი აზრით, სწორედ დონეებრივ და კომუნიკაციურ პრინციპთა სინთეზი. მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ორივე ხსენებული ერთეული - წინადადებაც და სამეტყველო კომპოზიციური ფორმაც - გამოყოფილ და დახასიათებულ იქნა წინა პარადიგმის დომინირების ფარგლებში, სახელდობრ როგორც ენის პარადიგმატული **განზომილების ერთეულები** (მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე დავრწმუნდით, ამ ერთეულთა დიფერენციალური ნიშნების განსაზღვრა შეუძლებელი იყო სინტაგმატიკის გარეშე, ანუ იმ ენობრივი სფეროს გარეშე, რომელიც შემდგომ გაფორმდა ტექსტის სახით).

რა მნიშვნელობა აქვს წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ზემოთ ნათქვამს, ანუ იმ ფაქტს, რომ ორივე ეს ერთეული - წინადადებაც და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმაც - გამოყოფილი და განსაზღვრული იქნა ძირითადად **სისტემური** პარადიგმის დომინირების ეტაპზე? როცა ამგვარ კითხვას ვსვამთ, უნდა გვახსოვდეს ის მეთოდოლოგიური ფონი, რომელიც უკვე განსაზღვრულ იქნა „შესავალში“: ითქვა, რომ ჩვენი კვლევითი პრინციპი განისაზღვრება როგორც **ტექსტოცენტრიზმი**, რადგან სწორედ ტექსტოცენტრიზმი წარმოადგენს იმ ლინგვისტური პარადიგმის ცენტრალურ პრინციპს, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება ჩვენი კვლევა. მაგრამ ამავე დროს, „შესავალშივე“ იქნა ფორმულირებული კვლევის მეორე პრინციპიც - ის პრინციპი, რომელსაც ვუწოდებთ „პარადიგმული სინთეზის“ პრინციპი. სწორედ ამ მეორე პრინციპის გათვალისწინებით ხაზი უნდა გაესვას

იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის. ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

წინადადება, როგორც ენობრივი ერთეული დიდი ხანია - შეიძლება ითქვას, უკვე ანტიკურობიდან დაწყებული - აღიარებულია და გამოკვლეულია როგორც ენობრივი, სახელდობრ კი როგორც სინტაქსური ერთეული. თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემურმა პარადიგმამ, ერთის მხრივ, მოახდინა წინადადების ტრადიციული ცნების ინტეგრირება ენის სემიოტიკურად გაგებულ სისტემაში, მეორეს მხრივ კი განახორციელა ამ სინტაქსური ერთეულის ახლებური, სახელდობრ კი **ლინგვოსემიოტიკური** ინტერპრეტაცია, რაც ნიშნავდა შემდეგს: წინადადება ისევე იქნა აღქმული და გააზრებული ენობრივ ნიშნად, როგორც სიტყვა, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით წინადადებაც აღქმულ იქნა პლანიან ენობრივ ერთეულად. ამავე დროს ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელის თანახმად საჭირო გახდა იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გაგებული წინადადების შინაარსის პლანი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ მისი სემანტიკა. შეიქმნა სინტაქსის სრულიად ახალი დარგი „სინტაქსური სემანტიკის“ სახელწოდებით, რამაც თავის მხრივ აუცილებელი გახდა წინადადებათა სემანტიკური ტიპოლოგიის გაგება.

ყოველივე ის, რაც წინა აბზაცში ითქვა წინადადების ლინგვოსემიოტიკური გააზრების თვალსაზრისით, უფრო საფუძვლიანად იქნება განხილული მოცემული თავის შემდგომ პარაგრაფებში, რადგან ხსენებული პრობლემატიკა უშუალოდ და მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს იმ ძირითად პრობლემასთან, რომელიც გულისხმობს წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის მიმართების გამოვლენას. ამ ეტაპზე კი, ანუ მოცემულ პარაგრაფში, საკმარისად მიგვაჩნია ითქვას შემდეგი: სინტაქსური სემანტიკისა და წინადადებათა სემანტიკური ტიპოლოგიის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენთვის ცენტრალური პრობლემის წარმატებით გადაჭრა, რადგან სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, როგორც ტექსტობრივი ფენომენი ისევე წარმოადგენს ნიშნობრივ მოვლენას, როგორც წინადადება.

ზემოთ ნათქვამის შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემურმა პარადიგმამ, პარადიგმატულ დონეზე გამოიმუშავა არა მხოლოდ სინტაქსური სემანტიკის, არამედ წინადადებათა სემანტიკური ტიპოლოგიის ის პრინციპები, რომლებსაც დავეყრდნობით ჩვენი კვლევის შემდგომ ეტაპებზე. მაგრამ როგორი უნდა იყოს წინადადების ტექსტოცენტრისტული ხედ-

ვა და კვლევა იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ხედვის თანახმად ცენტრალურ კომუნიკაციურ ერთეულად უნდა მიჩნეულ იქნას უკვე არა წინადადება, არამედ **ტექსტი**, ხოლო ტექსტობრიობის უშუალო გამოვლინებად კი მიჩნეულ უნდა იქნას **სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა?** როგორც ზემოთ მინიშნების სახით უკვე ითქვა, სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია თავისი გენეზისისა და შინაარსის თვალსაზრისით გაგებულ უნდა იქნას შემდეგნაირად: იგი წარმოადგენდა, და ფაქტობრივად დღესაც წარმოადგენს, ისეთ ლინგვისტურ კონცეფციას, რომელსაც **შუალედური, გარდამავალი** ადგილი უკავია ლინგვისტიკის სისტემურ და კომუნიკაციურ პარადიგმებს შორის. ერთის მხრივ, ამ თეორიის წარმოშობა და ძირითადი სახით ჩამოყალიბება ხდებოდა იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული კომუნიკაციური ლინგვისტიკის ისეთი დარგი, როგორიცაა ტექსტის ლინგვისტიკა, მეორეს მხრივ კი მთელი თავისი შინაარსით, იგი თავიდანვე წარმოადგენდა ტექსტის ლინგვისტური თეორიის თითქოსდა საწყის ფორმას, რადგან მას უშუალოდ „საქმე ჰქონდა“ არა წინადადებასთან, არამედ წინადადებაზე სტრუქტურულად აღმატებულ ენობრივ ფაქტებთან. მაგრამ, რაკი ობიექტურად და გარდუვალად წინადადება უნდა ყოფილიყო ამ სტრუქტურულად მასზე აღმატებული ენობრივი ფაქტის ინტეგრანტი, ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ წინადადების (ან წინადადებათა) განხილვაც ამგვარი „გარემოცვის“ ფარგლებში უნდა ყოფილიყო ტექსტოცენტრისტული.

ჩვენის აზრით, ზემოთ განვითარებულმა ჩვენმა მსჯელობამ გამოავლინა წინადადების პრობლემასთან დაკავშირებული შემდეგი სამი შინაგანად ურთიერთდაკავშირებული ფაქტი:

ა) წინადადების სემანტიკური პარადიგმატიკა, კერძოდ კი წინადადებათა სემანტიკური ტიპოლოგია უნდა განიხილებოდეს ენობრივი სისტემის იმ ქვესისტემად, რომლის აქტუალიზაცია ხდება სისტემის დისკურსად ტრანსფორმირების შემთხვევაში;

ბ) ზემოთ ნათქვამის შესაბამისად, წინადადების იმ პარადიგმას, რომელიც შემუშავებულ იქნა სისტემურ ლინგვისტიკაში, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში უნდა შეესაბამებოდეს წინადადებათა სინტაგმატიკა, რომლისადმი კვლევითი მიდგომა უნდა იყოს ტექსტოცენტრისტული იმის საფუძველზე, რომ ტექსტი სწორედ ის არის, რაც წარმოდგენილია წინადადებათა სინტაგმატიკური ჯაჭვით;

გ) მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თვით ტექსტი როგორც უმაღლესი რანგის მქონე კომუნიკაციური ერთეული შეიძლება არსებობდეს და ფუნქციონირებდეს იერარქიულად განსხვავებულ დონეებრივ ერთეულებზე (მიკრო, მაკრო და მეგადონეებზე), წინადადების ტექსტოცენტრისტული კვლევა უნდა ნიშნავდეს პირველ რიგში შემდეგს: იგი უნდა განვიხილოთ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტი.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ „შესავალში“, სწორედ წინადადებასთან დაკავშირებული ფაქტი, ანუ მისი ტექსტოცენტრისტულად გაგებული მიმართება სამეტყველო კომპოზიციურ ფორმასთან ფაქტობრივად და ექსპლიციტური სახით ჯერ არ ქცეულა პრობლემური განხილვის ობიექტად. ჩვენი აზრით, ხსენებული ფაქტი, ანუ წინადადების ამგვარი ტექსტოცენტრისტული კვლევის არარსებობა, განპირობებულია სწორედ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა კონცეფციის იმ ჯერ კიდევ თეორიული თვალსაზრისით ორაზროვანი სტატუსით, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ შეუძლებელია განვიხილოთ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართება, თუ ამ განხილვისას არ დავეყრდნობით ორივე ხსენებული ერთეულის ხედვისა და კვლევის **პარადიგმულ საფუძვლებს**. ამგვარი განხილვის აუცილებლობა ჩვენი აზრით, გამომდინარეობს არა მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ ხსენებულ ერთეულთა ურთიერთმიმართება თავისთავად იგულისხმება ენობრივი სისტემის დონეებრივ-იერარქიული სტრუქტურით, არამედ იმ ფაქტითაც, რომლის არსებობა და მნიშვნელობა ხაზგასმული იქნა მოცემული პარაგრაფის წინააღმდეგობით: პარადიგმული თვალსაზრისით სახეზეა ამ ორი ერთეულის ხედვისა და კვლევის აშკარა ასიმეტრია, რომელიც მდგომარეობს შემდგომში: წინადადებას, როგორც სინტაქსურ ერთეულს არა მხოლოდ აქვს კვლევის მრავალსაუკუნოვანი ისტორია – შეიძლება ითქვას, რომ ეს ისტორია ხასიათდება მეტად თუ ნაკლებად მკაფიო პარადიგმულ-ეტაპობრივი სტრუქტურით: როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შეიძლება გამოიყოს წინადადების კვლევის, ერთის მხრივ, ტრადიციული, მორეს მხრივ კი ლინგვისემიოტიკური პარადიგმა; და ასევე მეტნაკლები სიცხადით შეიძლება ითქვას, თუ რით ხასიათდებოდა ეს ორი პარადიგმული ეტაპი. მაგრამ, რაც შეეხება წინადადების იმ ხედვას, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე ლინგვისტიკის კომუნიკაციური პარადიგმა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ხედვა მკაფიოდ და ნათლად გულისხმობს მხოლოდ შემდეგს:

წინადადება აღარ უნდა განვიხილოთ, როგორც უმაღლესი დონის ენობრივი ერთეული - ასეთ ერთეულად უნდა მივიჩნიოთ ტექსტი, წინადადება კი განხილული უნდა იქნას ტექსტის ინტეგრანტად. ხსენებული თეზისი, რა თქმა უნდა, საუბრით შეესაბამება როგორც ენის დონობრივ მოდელს, ისე კომუნიკაციური პარადიგმის მოთხოვნებს, მაგრამ ისმის კითხვა: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ამ შემთხვევაში წინადადების ირგვლივ არსებულ იმ კონცეპტუალურ შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც შემუშავებულ იქნა წინა პარადიგმათა ფარგლებში? ეს, ჩვენი აზრით, ის ზოგადი სახის ფუნდამენტური კითხვაა, რომელიც შეიძლება დაკონკრეტებულ იქნას კითხვათა მთელი „ჯაჭვით“: თუ წინადადება ტექსტის, პირველ რიგში კი ამა თუ იმ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტია, მაშინ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ მიმართება წინადადებასთან დაკავშირებულ ისეთ ცნებებს შორის, როგორიცაა, ერთის მხრივ პროპოზიციულობა, პრედიკაციულობა და მოდალურობა, მეორეს მხრივ კი იმ ცნებით მახასიათებლებს შორის, რომლებიც უკავშირდება სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებს; და თუ წინადადება სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტია, რა მიმართებაა წინადადების ტიპოლოგიასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიას შორის? თუმცა, ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეისთვის არსებობს წინადადების ორი ტიპოლოგია – ტრადიციული და ლინგვოსემიოტიკური ტიპები. შესაბამისად კი ეს უნდა ნიშნავდეს ზემოთ დასმული კითხვის მრავალასპექტოვნობას.

როგორც ვხედავთ, წინადადების ლინგვისტური კვლევა ხასიათდება მეტნაკლები პარადიგმული გამჭვირვალობით: წინა კვლევითმა პარადიგმებმა შესძლეს შეექმნათ ამ ერთეულის სისტემატიზირებული კონცეპტუალური ხატი, თუმცა დღეისთვის აქტუალურ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ტრანსფორმირდეს ეს ხატი მისადმი ტექსტოცენტრისტული მიდგომის შემთხვევაში.

§3. წინადადება ტრადიციული და ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით: პრედიკაციული სინტაგმის, პროპოზიციისა და წინადადების სემანტიკური ტიპის ცნებები

როგორც წინა პარაგრაფებში ითქვა, ჩვენი ძირითადი კვლევითი მიზნის, ანუ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ტექსტოცენტრისტულად განსაზღვრის მიღწევა გვსურს იმ მეთოდოლოგიურ პრინციპზე

დაყრდნობით, რომელსაც „**პარადიგმული სინთეზის**“ პრინციპი ვუწოდეთ. ამავე დროს აღინიშნა ისიც, რომ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის კვლევისგან განსხვავებით წინადადების კვლევა აღინიშნება არა მხოლოდ დიდი და უწყვეტი ტრადიციით, არამედ – და მოცემულ პარაგრაფში ამ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას – **პარადიგმული სინთეზის** გარკვეული ელემენტების არსებობითაც. იქიდან გამომდინარე, რომ როგორც უკვე ითქვა, ჩვენ გვსურს ხსენებული პრინციპის სრული რეალიზაცია, შევეცადოთ იმის განსაზღვრას, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ზემოთ ნათქვამი – ის, რომ, ჩვენის აზრით, პარადიგმული სინთეზის პრინციპი გარკვეული თვალსაზრისით რეალიზებულ იქნა წინადადების როგორც ენობრივი ერთეულის კვლევის პროცესში.

წინა აბზაცში გამოთქმული აზრის ადეკვატურობას დავასაბუთებთ წინადადებასთან დაკავშირებული შემდეგი სამი ლინგვისტური ცნების იმ ურთიერთმიმართების განხილვით, რომელიც იკვეთებოდა თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმის დომინირების ეტაპზე. როგორც მოცემული პარაგრაფის სათაურითაა მინიშნებული, ეს ცნებებია: **პრედიკაცია**, **პროპოზიცია** და **წინადადების სემანტიკური ტიპი**. გვსურს კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვთქვათ: ჩვენი მიზანია იმ თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის მომზადება, რომელზე დაფუძნებით გააზრებული უნდა იქნას წინადადების სრულიად ახალი, სახელდობრ **კომუნიკაციურ-ტექსტოცენტრისტული** ხედვა. სწორედ ამიტომაც, რომ აუცილებლად მივიჩნიეთ იმის გააზრებაც, თუ როგორ ხდებოდა წინა პარადიგმის ფარგლებში წინადადების ძირითად ასპექტთა კონცეპტუალიზაცია.

გვსურს გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან წინადადების სისტემურ-სემიოტიკური კვლევის ორი ძირეულად ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს ეტაპობრივადაც და კონცეპტუალურადაც ერთმანეთისაგან ორი განსხვავებული სფერო – ა) კვლევის ის სფერო, რომელიც უკავშირდება ორი სინტაქსური ცნების, სახელდობრ **პრედიკაციისა** და **პროპოზიციულობის** ურთიერთმიმართებას და ბ) იმ სფეროს, რომელიც უკავშირდება წინადადების, როგორც ენობრივი ფენომენის ხაზგასმით **ნიშნობრივ** გააზრებას, ანუ მასზე ლინგვოსემიოტიკური ხედვის თანმიმდევრულ გავრცელებას. ეს სწორედ ის კვლევითი პროცესია, რომელმაც ლინგვისტური აზროვნება მიიყვანა წინადადების **სემანტიკურ ტიპოლოგიზაციამდე**, ანუ ამ ენობრივი ერთეულის სემანტიკური ტიპების გამოყოფამდე. იქიდან გამომდინარე, რომ ვაპირებთ თანმიმდევრულად დავაკავშიროთ ერთმანეთთან ლინგვოსემიოტიკური ტიპოლოგიის ეს ორი სფერო, ანუ წი-

ნადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სემანტიკური ტიპოლოგია, გასაგები უნდა იყოს ის მნიშვნელობაც, რომელიც ჩვენი კვლევის ფარგლებში ენიჭება წინადადების ლინგვოსემიოტიკურ ხედვას.

პრედიკაცია და პროპოზიცია: წინადადების ტრადიციული და სისტემურ-სემიოტიკურ ხედვათა სინთეზი

როგორც ზემოთ ითქვა, თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების იმ ეტაპზე, რომელიც სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმის ეტაპად იგულისხმება, მოხდა, ჩვენის აზრით, წინადადების ტრადიციული ხედვის კონცეპტუალური ათვისება". რა უნდა ვიგულისხმეთ ათვისების ამ პროცესად? სახელდობრ ის, რომ მოხდა წინადადების ისეთი ტრადიციულად ქცეული ნიშან-თვისებისა, როგორცაა **პრედიკაციულობა**, და ისეთი ახალი ცნების ერთიან კვლევით კონტექსტში გაერთიანება, როგორცაა **პროპოზიცია**. იმისთვის, რომ ბოლომდე გასაგები გახდეს პარადიგმული სინთეზის ამ ნიმუშის არსი (და ის მნიშვნელობაც, რომელიც მას მიენიჭება ჩვენს მთელს შემდგომ მსჯელობაში), შევჩერდეთ ორივე ამ ლინგვისტური ცნების მნიშვნელობაზე.

რაც შეეხება **პრედიკაციას**: სანამ ვილაპარაკებდეთ საკუთრივ პრედიკაციაზე და, რაც მთავარია, შევეხებოდეთ მის სიღრმისეულ კავშირს პროპოზიციასთან, განვსაზღვროთ **პრედიკაციულობა**, როგორც წინადადების სინტაქსური ნიშან-თვისება: როგორც „ლინგვისტურ ენციკლოპედიაში“ აღინიშნება, „პრედიკაციულობა ის სინტაქსური კატეგორიაა, რომელიც განსაზღვრავს სინტაქსის ძირითადი ერთეულის – წინადადების ფუნქციურ სპეციფიკას: ეს წინადადების ის ძირითადი მაკონსტიტუირებელი ნიშან-თვისებაა, რომლის წყალობით, წინადადებით გამოხატული ინფორმაცია უკავშირდება სინამდვილეს და სწორედ ამით ხდება საკუთრივ კომუნიკაციური ერთეულის ფორმულირება" (1990: 392). ციტირებული ავტორის აზრით, სწორედ პრედიკაციულობა არის ის კატეგორია, „რომლითაც წინადადება უპირისპირდება ყველა იმ ერთეულს, რომლებსაც იკვლევს სინტაქსი" (ibid 1990: 392). როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, პრედიკაციულობა უნდა გავიგოთ არა მხოლოდ როგორც წინადადების კატეგორიალური, არამედ ასევე როგორც მისი **სტატიკური** ნიშანიც: ეს ის ნიშან-თვისებაა, რომელიც ან არის, ან არ არის, რომელიც ან თან ახლავს, ან არ ახლავს თან მოცემულ სინტაქსურ ერთეულს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **პრედიკაციულობას**, როგორც წინადადების სტატიკურ ნიშან-თვისებას უპირისპირდება **პრე-**

ლიკაცია – ის სინტაქსური კატეგორია, რომელიც მიუთითებს უკვე არა სტატიკურად მოცემულ ნიშან-თვისებაზე, არამედ იმ პროცესზე, რომლის შედეგად უნდა მივიჩნიოთ პრედიკაციულობა. სწორედ ამგვარია პრედიკაციის ის განმარტება, რომლითაც პრედიკაცია როგორც დინამიური შინაარსის ტერმინი უპირისპირდება პრედიკაციულობას. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ უნდა განვახორციელოთ წინადადებისადმი ტექსტოცენტრისტული მიდგომა, თავად ტექსტი კი უნდა აღვიქვათ არა სტატიკურად, არამედ პროცესუალურად, აუცილებლად მიგვაჩინა შევჩერდეთ პრედიკაციის როგორც კატეგორიის ამგვარ გაგებაზე. ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ „ლინგვისტურ ენციკლოპედიაში“ პრედიკაციის კატეგორია დახასიათებულია შემდეგი საში ნიშნით:

ა) პირველი ნიშნის მიხედვით პრედიკაცია თავისი მნიშვნელობით უტოლდება ისეთ ენობრივ კატეგორიებს, როგორცაა ნომინაცია და ლოკაცია. „ენციკლოპედიის“ მიხედვით, „პრედიკაცია წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ძირითად ფუნქციათაგანს, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს ენობრივ ერთეულებს – ნომინაცია, ლოკაცია და პრედიკაცია. პრედიკაცია უნდა გავიგოთ როგორც აზროვნების იმ დამოუკიდებელ ობიექტთა ურთიერთდაკავშირების აქტი, რომლებიც გამოსატყლნი არიან დამოუკიდებელი სიტყვებით (როგორც წესი, ეს დამოუკიდებელი სიტყვები გამოსატყვენ პრედიკატს და მის აქტანტებს“ (1990: 393);

ბ) მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ციტირებული სტატიის ავტორი მიუთითებს პრედიკაციის ფუნქციურ დანიშნულებაზეც: მისი მიზანია „ასახოს სინამდვილეში არსებული ფაქტები, ხდომილებები, სიტუაციები (ibid 1990:393);

გ) საბოლოო ანგარიშში კი ნათქვამია, რომ „პრედიკაცია წარმოადგენს პროპოზიციის შექმნის აქტს“ (ibid 1990:393).

სწორედ პრედიკაციისა და პროპოზიციის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით პრედიკაცია როგორც პროცესი „იყოფა ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი (პრედიკაცია ვიწრო გაგებით) მდგომარეობს იმაში, რომ იქმნება პროპოზიცია, ე.ი. ხდება უფრო ელემენტარულ ენობრივ გამოთქმათა მნიშვნელობების გაერთიანება, ანუ ხდება ის, რასაც ავტორი უწოდებს „დაუმთავრებელ პრედიკაციას“;

მეორე ეტაპი კი (ფართოდ გაგებული პრედიკაცია) წარმოადგენს პროპოზიციის მტკიცებას ან უარყოფას, ანუ სინამდვილესთან მიმართებაში მისი ჭეშ-

მარიტებულობის ან სიყალბის მტკიცებას (ibid 1990:393). ავტორის მიხედვით, სწორედ ეს მეორე ეტაპი უნდა გავიგოთ „დამთავრებულ პრედიკაციად“.

ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, თუ როგორ ხასიათდება ციტირებულ სტატიაში პრედიკაციის ეს ორი ეტაპი - დაუმთავრებელი და დამთავრებული პრედიკაცია:

ა) ავტორის მიხედვით, „დაუმთავრებელი პრედიკაცია აისახება ენაში როგორც რამდენიმე ისეთი წინადადების საერთო ნაწილი, რომლებიც მნიშვნელობით ერთმანეთს უკავშირდებიან - იგულისხმება მტკიცებითი, უარყოფითი, კითხვითი და ა.შ. წინადადებები. მაგალითად: „ის მოვიდა“, „არა, ის არ მოსულა“, „მოვიდა ის?“ „ნეტავ, მოვიდეს ის“, „მინდა რომ ის მოვიდეს...“ (ibid 1990:393).

ბ) რაც შეეხება დამთავრებულ პრედიკაციას, „იგი აისახება ენაში სრულდამოუკიდებელ წინადადებათა სახით, მაგალითად ისეთ წინადადებათა სახით, რომლებიც ზემოთ ფიგურირებენ“ (ibid 1990:393).

ყოველი ზემოთ წარმოდგენილი წინადადება უნდა მივიჩნიოთ წინადადებად, სწორედ იმიტომ, რომ იგი არის ისეთი ნიშან-თვისების მატარებელი, როგორცაა პრედიკაციულობა. მაგრამ ამავე დროს დაგრწმუნდით იმაშიც, რომ ეს მაკონსტიტუირებელი ნიშან-თვისება წარმოადგენს იმ შიდა ენობრივი და გარეკვეული ეტაპობრიობის შემცველი პროცესის შედეგს, რომელსაც პრედიკაციულობისგან განსხვავებით უკვე „პრედიკაცია“ უნდა ვუწოდოთ.

მოდალობა და პრედიკაცია

როგორც ვნახეთ, ზემოთ წარმოდგენილი სინტაქსური პოზიციის მიხედვით სწორედ ეს კონცეპტუალური წყვილი - პრედიკაციულობა და პრედიკაცია - უნდა იქნას მიჩნეული წინადადებობრიობის არსებით ნიშნად, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ორ ცნებას შორის მიმართების "მარეგულირებელ" მომენტად გვევლინება პროპოზიცია. ჩვენთვის ბოლომდე გასაგები იქნება წინადადების ამგვარ, ანუ **პროცესუალურ** პლანში განხილვის მნიშვნელობა მაშინ, როცა არსებითად შევხებით ამ ერთეულისადმი მიდგომის კომუნიკაციურ-ტექსტოცენტრისტულ არსს. კვლევის ამ ეტაპზე კი გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი წინადადების როგორც ერთეულის ფუნქციონირების იმ პროცესუალურ ასპექტს, რომელიც, როგორც ვნახეთ, პირდაპირ უკავშირდება პრედიკაციის კატეგორიას.

მაგრამ მთელი ჩვენი შემდგომი კვლევისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს შემდეგი გარემოება: ნებისმიერ შემთხვევაში არა მხოლოდ წინადადების, არამედ ნებისმიერი ენობრივი ერთეულის ტექსტოცენტრისტული განხილვა უნდა უკავშირდებოდეს არა მხოლოდ პროცესუალურობის ზემოთ ხაზგასმულ მომენტს (რადგან ტექსტის ლინგვისტური თეორია ხაზს უსვამს სწორედ ტექსტის პროცესუალურობას), არამედ იმ ფაქტსაც, რომ ტექსტობრიობა ასევე წარმოუდგენელია პროცესუალურობის იმ ფუნქციური ასპექტის გარეშე, რომელსაც **კომუნიკაციურობა** ეწოდება. მაგრამ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ კომუნიკაციის აქტი პროცესუალურობის გარდა გულისხმობს ისეთ ასევე მაკონსტიტუირებელ მომენტსაც, როგორცაა **სუბიექტურობა**: ქვემოთ, როცა უფრო საფუძვლიანად შევხებით წინადადების როგორც ტექსტის ინტეგრანტის ფუნქციურ არსს, დავინახავთ, რომ ჩვენს მიერ განსახილველი პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ენობრივი დისკურსის ისეთ ასპექტს, როგორცაა მისი **ინტერსუბიექტურობა**, ინტერსუბიექტურობა კი თავისთავად და ლოგიკურად გულისხმობს სწორედ **სუბიექტურობას**.

მაგრამ, როგორც წინადადების თანამედროვე კვლევის გამოცდილება გვჩვენებს, ამ სინტაქსური ერთეულის კომუნიკაციურობის ხაზგასმას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი შედეგიც: იმ შემთხვევაშიც კი როცა აღიარებულია პრედიკაციის (პრედიკაციულობის) როგორც კატეგორიის არსებითი როლი, პრედიკაციულობა (და შესაბამისად პრედიკაცია) ექვემდებარება ისეთ კატეგორიას, როგორცაა მოდალობა. როგორც მ. ბლოხი აღნიშნავს, „ნებისმიერი დენოტატის მიმართებას სინამდვილესთან ეწოდება „მოდალურობა“ (1986: 98) როგორც უკვე ითქვა, ამ შემთხვევაში პრედიკაციულობა ექვემდებარება მოდალურობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი განიხილება მოდალურობის ცალკეულ შემთხვევად, უფრო კონკრეტულად კი - მის **სინტაქსურ** ვარიანტად. რამდენადაც ამ შემთხვევაშიც ლაპარაკია ჩვენი საკვლევი პრობლემის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტზე, როგორცაა წინადადების მაკონსტიტუირებელი ნიშან-თვისება, აუცილებლად მიგვაჩნია მოვახდინოთ ავტორის მიერ განხორციელებული მსჯელობის უფრო ვრცელი ციტირება: „როგორც ცნობილია, მოდალურობა არ წარმოადგენს წინადადების სპეციფიკურ კატეგორიას; ეს უფრო იმდენად ფართო კატეგორიაა, რომელიც ასრულებს გარკვეულ როლს როგორც ენის გრამატიკულ, ისე ლექსიკურ-ნომინაციურ სფეროში. ამ თვალსაზრისით ნებისმიერი სიტყვა, რომელიც გამოხატავს მის მიერ ნომინირებული სუბსტანციის რეალობასთან მიმართების

შეფასებას, უნდა მიხნეულ იქნას მოდალურობის გამომხატველად... და რაც შეეხება პრედიკაციულობას, იგი წარმოადგენს სინტაქსურ მოდალურობას, როგორც წინადადების ნიშან-თვისებას, რომელიც გამოხატავს სპეციფიკურ თვისობრივ ნიშან-თვისებას" (ibid 1986: 98). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოდალურობისა და პრედიკაციულობის ურთიერთმიმართების ამგვარად განსაზღვრის შედეგად ავტორი ამბობს: „წინადადება როგორც ენობრივი ერთეული ასრულებს არა ერთ, არამედ ორ მნიშვნელოვან ენობრივ ფუნქციას - ა) საგნობრივ-სახელმდებელ, ანუ ნომინაციურ თვისებას და ბ) შეფასების, ანუ პრედიკაციის ფუნქციას" (ibid 1986: 98).

როგორც ვხედავთ, წინადადების მოდალურობის პრიზმით ხედვა არ უარყოფს პრედიკაციულობის პრიზმით მის ხედვას, თუმცა ამავე დროს ხაზს უსვამს შემდეგ ფაქტს: წინადადება ისევე ასრულებს კომუნიკაციით ნაგულისხმევ სუბიექტურ ფუნქციას, როგორც სიტყვა - თუმცა ამ შემთხვევაში მოდალურობის გამოხატვის ფუნქციის უშუალოდ შემსრულებლის როლში გამოდის პრედიკაციულობა.

ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე გვსურს მივუთითოთ წინადადების ამ კონცეფციის იმ ასპექტსაც, რომელმაც გარკვეული როლი უნდა შეასრულოს ამ ენობრივი ერთეულის ტექსტოცენტრისტული ხედვის ფარგლებში: ეს კონცეფცია ხაზს უსვამს წინადადების ისეთი ორი ფუნქციის განუყოფლობას, როგორცაა **ნომინაციური** და **შეფასებით-პრედიკაციული** ფუნქციები - თუმცა, როგორც უკვე ითქვა, წინადადების ამგვარი ფუნქციური ხედვა ეფუძნება პრედიკაციულობის როლის ახლებურ ინტერპრეტაციას: პრედიკაციულობა ამ კონცეფციის ფარგლებში დაექვემდებარა მოდალობას, რითაც მეტად იქნა აქცენტირებული სუბიექტის როლი კომუნიკაციის პროცესში.

გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი წინადადებასთან დაკავშირებულ იმ ორი კონცეფციის ძირითად ასპექტებს, რომელთა ანალიზიც განვახორციელებთ მოცემულ პარაგრაფში: მართალია, ამ კონცეფციათა ფარგლებში არ ხორციელდება წინადადების ტექსტოცენტრისტული ხედვა, რაც ნათლად მიუთითებს მათ შინაგან კავშირზე ლინგვისტური აზროვნების **სისტემურ** და არა კომუნიკაციურ პარადიგმასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ კონცეფციათა ავტორები ლოგიკურად და ობიექტურად საფუძველს უყრიან წინადადების ახლებურ ხედვას იმით, რომ აქცენტირებას ახდენენ ამ ენობრივი ერთეულის ორ განზომილებაზე - **პროცესუალურ** და **სუბიექტურ** განზომილებებზე. ვფიქრობთ, რომ

ორივე ეს განხომილება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი კვლევის იმ კონკრეტულ ეტაპზე, როცა ვილაპარაკებთ წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის არსებულ ფუნქციურ და სტრუქტურულ კავშირზე.

მაგრამ, მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც უკვე მივანიჭეთ ისეთ წინადადებასთან დაკავშირებულ ისეთ კატეგორიათა შორის კავშირის გაზგასმას, როგორცაა პრედიკაცია-პრედიკაციულობა, პროპოზიცია და მოდალობა, აუცილებლად მიგვაჩნია წინადადების კვლევისასთან დაკავშირებული იმ მომენტის ხაზგასმაც, რომელიც **უშუალოდ** უკავშირდება სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმის არსს - იმ ფაქტს, რომ ტრადიციული პარადიგმისგან განსხვავებით ენა, როგორც ფენომენი დანახულია ნიშნობრივად, ანუ როგორც ნიშანთა სისტემა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ სიტყვა, არამედ წინადადებაც აღქმული უნდა ყოფილიყო როგორც **ნიშანი**. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ძირითადი პრობლემის გადაჭრისას გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს **პარადიგმული სინთეზის** პრინციპმა, აუცილებლად მიგვაჩნია შევჩერდეთ წინადადების ლინგვოსემიოტიკურ ხედვაზე და ამ ხედვის იმ ასპექტზე, რომელსაც „**წინადადების სემანტიკური ტიპოლოგია**“ შეიძლება ვუწოდოთ. რატომ არის მნიშვნელოვანი მთელი ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის ხსენებული ასპექტის ხაზგასმა? იმიტომ, რომ როგორც ჩვენს „შესავალში“ იქნა აღნიშნული, ჩვენი მიზანია ერთმანეთს დაგუკავშიროთ თანამედროვე ლინგვისტური ტიპოლოგიის ისეთი ორი სემენტი, როგორცაა, ერთის მხრივ, წინადადებისა, მეორეს მხრივ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ტიპოლოგია. სხვანაირად რომ ვთქვათ, გვსურს ლოგიკურ ბოლომდე მივიყვანოთ ენის ლინგვოსემიოტიკური ხედვის ის ასპექტი, რომლის ფარგლებში სრულად იქნება წარმოდგენილი როგორც წინადადების, ისე სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ლინგვოსემიოტიკური პარადიგმატიკა. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს წინადადების ლინგვოსემიოტიკური ხედვით ის კონცეფცია, რომელიც მოცემულია გ. ლებანიძის მონოგრაფიაში: „პირველი და ყველაზე უფრო ზოგადი, რაც შეიძლება ითქვას სინტაქსის საგანზე – წინადადებაზე: წინადადება არის ენობრივი ნიშანი. წინადადების ასეთ განსაზღვრას მოითხოვს თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარება“ (ლებანიძე 2004: 144), და სწორედ ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე გვსურს გამოვეყოთ წინადადების ამ ლინგვოსემიოტიკური კონცეფციის ის ასპექტი, რომელსაც ავტორი "ნიშნის ცნების ექსპანსიას" უწოდებს. როგორც ავტორი ამბობს: „ნიშნის ცნების ექსპანსიამ შექმნა ნიშანთა იერარქიული (ვერტიკალუ-

რი) ტიპოლოგია, როცა, პორიზონტალური ტიპოლოგიისგან განსხვავებით, ნიშნის ერთი ტიპი რაღაც თვალსაზრისით აღემატება მეორეს: სრული ნიშანი→არასრული ნიშანი ანუ ის, რაც უნდა იყოს სრული ნიშნის ინტეგრანტი" (ibid 2004: 144).

სწორედ ნიშნის ცნების ზემოთ ხსენებულ „ექსპანსიაზე“ დაყრდნობით ლაპარაკობს ავტორი წინადადების იმ სტატუსზე, რომელიც ფუძემდებელ როლს უნდა ასრულებდეს ჩვენს კვლევაშიც: ერთის მხრივ, წინადადება ასრულებს „სრული ნიშნის“ როლს სიტყვის მიმართ, მაგრამ, მეორეს მხრივ, წინადადებისადმი ლინგვოსემიოტიკური მიდგომის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ თვით წინადადება შეიძლება გამოვიდეს ინტეგრანტის როლში იმ შემთხვევაში, თუ „სრული ნიშნის“ სტატუსს მივანიჭებთ, არა მას, არამედ ტექსტს. შესაბამისად მოვიყვანოთ ავტორისეული მსჯელობის იმ ფრაგმენტს, რომელშიც ასახულია „სრულ ნიშანთან“, როგორც შინაგანად ორაზროვან ცნებასთან დაკავშირებული ვითარება: „ეს ცნებები არ არის აბსოლუტური ნიშანი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სრულად ერთი თვალსაზრისით, შეიძლება აღმოჩნდეს არასრულად სხვა თვალსაზრისით: თუ წინადადებას მივიღებთ სრულ ნიშნად – სიტყვა იქნება არასრული, ხოლო თუ ტექსტსაც ჩავთვლით ნიშნად, მაშინ წინადადება გამოვა არასრული ნიშნის როლში. როდესაც ვლაპარაკობთ წინადადებაზე, უნდა დაავუმატოთ, ნიშანთა რომელ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ იგი – სრულს თუ არასრულს. მაგრამ იმისთვის, რომ ვილაპარაკოთ წინადადების სემანტიკურ ტიპოლოგიაზე და ამით საფუძველი ჩავუყაროთ სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიასთან მისი კავშირის გამოვლენას, საჭიროა, რა თქმა უნდა, გვეჩინდეს სრული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გაგებულნი ზოგადად წინადადების როგორც ნიშნობრივი ერთეულის სიგნიფიკატი, ანუ მისი შინაარსის პლანი? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ემსახურება ავტორის მიერ განხორციელებული შემდეგი მსჯელობა: „მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ნიშანთა ტიპოლოგიის ფარდობით ხასიათს, მაშინ როგორ უნდა განვსაზღვროთ წინადადება სემიოტიკური თვალსაზრისით? ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ მხედველობაში ორი თვალსაზრისი, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყოველი ენობრივი ნიშნის განსაზღვრისას" (ibid 2004:144) ეს ორი თვალსაზრისი გამოხატულია შემდეგნაირად:

„1. რომელ იერარქიულ დონესაც არ უნდა ეკუთვნოდეს ნიშანი, ყოველი ნიშნისთვის მუდამ მთავარი და განმსაზღვრელია ის, თუ სინამდვილის რომელ

ასპექტს ასახავს იგი, უფრო ზუსტად - სინამდვილის რომელ ასპექტს ასახავს ის განზომილება, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ აღსანიშნს;

2. რა იერარქიულ მიმართებაშია ენობრივი ნიშანი სხვა ნიშანთან?" (ibid 2004:144).

როგორც უკვე ვიცით, ჩვენი მსჯელობის მთელი კონტექსტიდან (ვგულისხმობთ მსჯელობას „შესავლიდან“ აქამდე), ზემოთ ფორმულირებულ კითხვაზე ზოგადი პასუხი გამოიყურება შემდეგნაირად: „როგორც სიტყვა არის წინადადების ინტეგრანტი, ისე წინადადება არის ტექსტის ინტეგრანტი" (ibid 2004: 145). მაგრამ, რა თქმა უნდა, ზემოთ ნათქვამი მხოლოდ იძლევა იმის **თეორიულ შესაძლებლობას**, რომ დავასახელოთ წინადადების სიგნიფიკატი. რაც შეეხება თვით სხენებულ სიგნიფიკატს, იგი შეიძლება დასახელდეს მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვისგან განსხვავებით წინადადების სიგნიფიკატი უნდა ასახავდეს სინამდვილის ახალ, არასაგნობრივ (თუ საგნობრიობას ფართოდ გავიგებთ) განზომილებას. სწორედ აქედან გამომდინარე ავტორი ამბობს: „წინადადებაში საგნები და თვისებები მოქცეულია სინამდვილის ახალ განზომილებაში, რომელსაც „სიტუაცია“ ეწოდება: სიტუაცია თავის თავში ამთლიანებს საგნებს, თვისებებს, ფენომენებს" (ibid 2004:145).

როგორც ვხედავთ, წინადადების სიგნიფიკატად უნდა მივიჩნიოთ ის, რასაც ზოგადად „სიტუაცია“ უნდა ეწოდოს.

§4. „სიტუაცია“ როგორც წინადადების სიგნიფიკატი და როგორც წინადადების სემანტიკური ტიპოლოგიზაციის საფუძველი

წინა პარაგრაფში განვითარებულმა მსჯელობამ დაგვანახა, რომ წინადადების როგორც ნიშნის სიგნიფიკატად თანამედროვე ლინგვისტიკაში მიჩნეულია **სიტუაცია**, ანუ სინამდვილის ისეთი ასპექტი, რომელიც პრინციპულად განსხვავდება სიტყვის სიგნიფიკატით ნაგულისხმევი ასპექტისაგან. როგორც უკვე ითქვა, წინადადების ამ სიგნიფიკატის დასახელებას საკვანძო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს (და ექნება კიდევ) მთელი ჩვენი შემდგომი კვლევისთვის და პირველ რიგში იმის დადგენის თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა იქნას გააზრებული ლინგვისტური ტიპოლოგიის ისეთ ორ სფეროს შორის მიმართება, როგორცაა წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ტიპოლოგია. აქედან გამომდინარე მოგვიხდება უფრო საფუძვლიანად შევხერდეთ სიტუაციის ლინგვისტურ ცნებაზე. მაგრამ, სანამ ამ ცნებას ვაქცევთ ჩვენი ყურადღების გან-

საკუთრებულ ობიექტად, აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გაესვას წინადადების სტრუქტურის იმ კონცეფციას, რომელსაც „ვერბოცენტრისტული კონცეფცია“ ეწოდება და რომელიც არსებითადაა დაკავშირებული წინადადების ზემოთ დასახელებულ სიგნიფიკატთან – სიტუაციასთან. ამ კონცეფციის მიხედვით წინადადების სტრუქტურულ ცენტრს წარმოადგენს არა არსებითი სახელით გამოხატული ქვემდებარე, არამედ აქტანტებით გარშემორტყმული **ზმნა**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინადადების მიერ მინიშნებული სიტუაციის რაგვარობა პირველ რიგში უნდა იყვეს დამოკიდებული იმ ზმნის რაგვარობაზე, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გვევლინება წინადადების სტრუქტურულ ცენტრად, მაგრამ, თუ არ დავივიწყებთ იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ჩვენ წინადადებას ვიკვლევთ ტექსტოცენტრისტულად, ე.ი. როგორც ტექსტის ინტეგრანტს, და შესაბამისად, წინადადებაში შემავალი ნებისმიერი ზმნა ამავე დროს გარდუვალად უნდა წარმოადგენდეს ტექსტის კომპონენტს, საჭიროდ უნდა მივიჩნიოთ ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებული შემდეგი ციტატაც ზემოთ ხსენებული მონოგრაფიიდან: „სიტყვათა შორის გვაქვს ისეთი სიტყვა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ყველა სხვა სიტყვისგან და რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია მეტყველების ნაწილთა შორის. ესაა ზმნა, თანამედროვე გაგებით ცენტრალური მეტყველების ნაწილთა შორის. რატომ არის იგი ცენტრალური? თავისი მნიშვნელობით იგი სიტყვათა შორის ყველაზე მეტად უახლოვდება წინადადებას, უახლოვდება იმდენად, რომ შეიძლება ითქვას: ყოველი წინადადება – ეს არის გაშლილი ზმნა, ყოველი ზმნა – ეს არის შეკუმშული წინადადება, ზღვარი იმას შორის, რასაც აღნიშნავს ზმნა და რასაც აღნიშნავს წინადადება, ცხადია, არის, მაგრამ იგი უსასრულოდ მცირდება: ზმნა არის წინადადების სემანტიკური და სტრუქტურული ცენტრი“ (ibid 2004: 145-146).

როგორც ვხედავთ, წინადადების ლინგვოსემიოტიკური განსაზღვრა ხდება ენის დონეებრივი მოდელით ნაგულისხმევ მიმართებათა იმ სისტემის ფარგლებში, რომლის მიხედვით წინადადება, როგორც ნიშნობრივი ერთეული ესაზღვრება ერთის მხრივ **სიტყვას**, მეორეს მხრივ კი – **ტექსტს**. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია დავინახოთ წინადადება ერთდროულად იმ განსხვავების გათვალისწინებით, რომელიც არსებობს, ერთის მხრივ, სიტყვასა და წინადადებას, მეორეს მხრივ კი წინადადებასა და ტექსტს შორის. ეს სწორედ ის განსხვავებაა, რომელიც ხაზგასმულია უკვე ციტირებული ნაშრომის შემდეგ ფრაგმენტში: „როგორც უკვე ითქვა, წინადადება – ეს არის ნიშანი, რო-

მელიც სიტყვისაგან განსხვავებით აღნიშნავს არა სინამდვილის ცალკეულ იზოლირებულ სეგმენტს, არამედ მთლიანურ სიტუაცია-ხდომილებას, ხოლო ტექსტისაგან განსხვავებით აქვს ტენდენცია აღნიშნოს ერთი ცალკეულად აღებული სიტუაცია-ხდომილება და არა მათი თანმიმდევრობა. ამრიგად სიტყვა აღნიშნავს სინამდვილის ერთ რომელიმე სეგმენტს, წინადადება – სიტუაცია-ხდომილებას, ხოლო ტექსტი – სიტუაცია-ხდომილებათა თანმიმდევრობას, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, წინადადება აღნიშნავს რეფერენტულ სიტუაციას, ტექსტი – რეფერენტულ სივრცეს (ibid 2004: 145-146).

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ამ ეტაპზე ჩვენი ანალიზის ობიექტს წარმოადგენს წინადადება, ხოლო არამცთუ სიტყვას, არამედ ტექსტსაც ვეხებით წინადადებასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია მივმართოთ წინსწორების პრინციპს და მივუთითოთ იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას გაგებულნი ზოგადი თვალსაზრისით ტექსტის, როგორც ენობრივი ერთეულის სიგნიფიკატი. სწორედ ამ მიზნით მივმართავთ ნ. დოლინინის მონოგრაფიას (ტექსტის ინტერპრეტაცია), სადაც ნათქვამია: „იმ სიტუაციას, რომელიც აისახება გამონათქვამში (ავტორი გულისხმობს წინადადებას – ლ.ო), ვუწოდებთ **რეფერენტულ სიტუაციას**, ხოლო რეფერენტულ სიტუაციათა იმ ერთობლიობას, რომელიც აისახება მეტად თუ ნაკლებად გაშლილ ტექსტში, ანუ ისეთ ტექსტში, რომელიც შედგება წინადადებათა გარკვეული თანმიმდევრობისგან, ვუწოდებთ **რეფერენტულ სივრცეს**“ (1985: 8).

თუ დავეყრდნობით ზემოთ განვითარებულ მსჯელობას და მასთან დაკავშირებულ ციტატათა ერთობლიობას, სწორედ **სიტუაცია** (უფრო ზუსტად კი – რეფერენტული სიტუაცია) უნდა ვიგულისხმოთ წინადადების, ხოლო **რეფერენტული სივრცე** – ტექსტის სიგნიფიკატად. მაგრამ, რა თქმა უნდა, აქვე ისმის კითხვა, რომელზეც გაშლილი სახით ვუპასუხებთ უკვე შემდგომ თავში, ანუ მაშინ, როცა ასევე საფუძვლიანად შევეხებით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ტექსტოცენტრისტული ინტერპრეტაციის საკითხს: საკმარისია თუ არა „**რეფერენტული სივრცის**“ ცნება იმისთვის, რომ საბოლოოდ და პრინციპულად გადაწყდეს ზოგადად ტექსტის, კერძოდ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სიგნიფიკატის პრობლემა? როგორც უკვე ითქვა, მოცემულ კითხვაზე პასუხს გავცემთ შემდეგ თავში, ამ ეტაპზე კი გვსურს ექსტრალინგვისტური სიტუაციის ცნებაზე დაყრდნობით სქემატურად მაინც მოვხაზოთ კონტურები იმისა, რასაც შეიძლება ვუწოდოთ წინადადების სემანტიკური ტიპოლოგია. რას გულისხმობს

ტერმინი „წინადადებათა სემანტიკური ტიპოლოგია“! გულისხმობს იმას, რაც გამომდინარეობს წინადადების ლინგვოსემიოტიკური კონცეფციიდან: თუ ზოგადად წინადადების სიგნიფიკატად მივიჩნევთ რეფერენტულ სიტუაციას, მაშინ წინადადების ტიპოლოგიზაციაც უნდა მოხდეს იმ რეფერენტულ სიტუაციათა რაგვარობაზე დაყრდნობით, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში ასახელებს და სემანტიკურად ასახავს ესა თუ ის წინადადება.

რა თქმა უნდა, ჩვენ მოგვიხდება დავუბრუნდეთ წინადადების ლინგვოსემიოტიკური განხილვის ამოცანას მაშინ, როცა კონკრეტულად შევუდგებით მის ტექსტოცენტრისტულად მსჯელობას, მაგრამ ამ ეტაპზე გვსურს – თუნდაც წინსწრებით – მივუთითოთ წინადადების სემანტიკური ტიპოლოგიზაციის იმ ნიმუშზე, რომელიც ზოგადად, მაგრამ ამავე დროს ადეკვატურად იძლევა პასუხს ზემოთ დასმულ კითხვაზე. მონოგრაფია, რომელზეც ამ შემთხვევაში გვსურს მივუთითოთ, ეს არის ა. სუპრუნის „მარტივი წინადადების გრამატიკა და სემანტიკა“. ხსენებულ მონოგრაფიაში ჩვენგან განსხვავებით ავტორი ტერმინ „სიგნიფიკატის“ ნაცვლად ხმარობს ტერმინს „წინადადების სემანტიკური ფორმულა“ და ესპანურ ენაზე დაყრდნობით გამოჰყოფს შემდეგ ამგვარ ფორმულებს, ანუ სინტაქსურ სიგნიფიკატებს: „არსებობის, რაიმეს მოცემულობის „ფორმულა“, მაგ. „სოფელში არის რამდენიმე მწვეელი“; საგანთა იდენტიფიკაციის, ამოცნობის, მაგ. „აქ იყო ქუჩა“; ნომინაციური წინადადება, მაგ. „ჩემს მეგობარს ჰქვია პეტრე“, დამახასიათებელი წინადადება, მაგ. „შუქი ინტენსიურია“, „ფილმი სევდიანი იყო“ და ა.შ. (1977: 5).

როგორც მოცემული, ისე წინა პარაგრაფის შინაარსმა დაგვანახა, ალბათ, ისეთ ენობრივ ერთეულთა ფუნქციურ-სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულება, როგორცაა სიტყვა, წინადადება და ტექსტი. მაგრამ ამავე დროს დავინახეთ შემდეგიც: თუ გვსურს განვახორციელოთ წინადადების როგორც ენობრივი ერთეულის ტექსტოცენტრისტული ინტერპრეტაცია, და შესაბამისად, გავიაზროთ წინადადება როგორც ტექსტის ინტეგრანტი, ხოლო ტექსტობრიობის უშუალო „წარმომადგენლად“ მივიჩნიოთ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სიტყვათა მთელი ერთობლიობიდან სრულიად განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს **ზმნას**. როგორც უკვე აღინიშნა, წინადადების თანამედროვე, ანუ ვერბოცენტრისტული კონცეფციის თანახმად სწორედ ზმნა გვევლინება წინადადების სტრუქტურულ ცენტრად, მაგრამ სწორედ ზმნის ამგვარ სტატუსთან დაკავშირებით, ანუ იმის გათვალისწინებით, რომ ასეთია

ზმნის სტატუსი წინადადების ფარგლებში, გარდუვალად ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას ამ შემთხვევაში გაგებული ზმნის როლი და ადგილი იმ ენობრივი ერთეულის ფარგლებში, რომლის ინტეგრანტად უნდა მივიჩნიოთ წინადადება? ხომ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ასეთივეა ზმნის სტატუსი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სტრუქტურაში, ე.ი. ხომ არ წარმოადგენს ზმნა ამ ენობრივი ერთეულის სტრუქტურულ ცენტრსაც". თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში ენიჭება სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას, ჩვენს მიერ დასმულ ამ კითხვებზე არ გაიცემა – ყოველ შემთხვევაში ექსპლიციტური სახით, – პასუხი.

რატომ მივიჩნიეთ აუცილებლად ზმნის სტატუსის ამგვარი ხაზგასმა ჩვენი კვლევის იმ მონაკვეთში, სადაც მთავარ პრობლემად მივიჩნიეთ წინადადების სიგნიფიკატის განსაზღვრა? იმიტომ, რომ ენობრივი სისტემის იერარქიული ანუ დონეებრივი მოდელი აუცილებლად მოითხოვს არა მხოლოდ შესაბამის დონეებრივ ერთეულთა სიგნიფიკატების დადგენას, არამედ ამ სიგნიფიკატებს შორის იმ სიღრმისეული სემანტიკური კავშირის გამოვლენასაც, რომლის გარეშე მთელი ხსენებული მოდელი ვერ იქნება აღქმული როგორც ერთი მთლიანი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით გვსურს კიდევ ერთხელ - და ამჯერადაც წინსწრების პრინციპზე დაყრდნობით – მივეუთითოთ ტექსტის როგორც ენობრივი ერთეულის თეორიული გააზრების იმ ორ ასპექტზე, რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების დადგენისას< ვგულისხმობთ ტექსტის განსაზღვრისა და გაგების ორ ვარიანტს – ფუნქციურსა და სტრუქტურულს, ვფიქრობთ, შეუძლებელი იქნება ჩვენს მიერ დასახული კვლევითი მიზნის მიღწევა ტექსტის ამ ორ გაგებას შორის განსხვავების გათვალისწინების გარეშე, რადგან, როგორც ვნახავთ, ეს განსხვავება გულისხმობს წინადადებისა და ტექსტს შორის მიმართების განსხვავებულ გაგებასაც. როგორც უკვე ციტირებულ მონოგრაფიაშია ნათქვამი, „თანამედროვე ლინგვისტიკაში გვაქვს ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების ორი ძირითადი გაგება. ეს ორი გაგება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს" (ლებანიძე 2004: 277). იმისთვის, რომ ბოლომდე იქნას დანახული ის მნიშვნელობა, რომელიც უნდა ჰქონდეს ტექსტისადმი ზემოთ ხსენებულ ორ მიდგომას ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის, ვნახოთ, თუ როგორია ტექსტის ფუნქციურ და სტრუქტურულ ხედვათა შორის შინაარსობრივი განსხვავება. ამ თვალსაზრისით ხსენებულ მონოგრაფიაში ნათქვამია შემდეგი: „ფუნ-

ქციური გაგება უფრო სრულად და უფრო უშუალოდ ასახავს ტექსტის ცნების თეორიულ ასპექტს, ვიდრე სტრუქტურული. ფუნქციური თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა სტრუქტურული შემადგენლობისაა ის ენობრივი წარმონაქმნი, რომელსაც ლინგვისტური გაგებით „ტექსტს“ ვუწოდებთ. ეს წარმონაქმნი თავისი მოცულობით (სტრუქტურული შემადგენლობით) შეიძლება უდრიდეს ერთ სიტყვას, შეიძლება შედგებოდეს წინადადებათა მთელი თანმიმდევრობისაგან – ამ მხარეს მნიშვნელობა არა აქვს; თუ ენობრივი წარმონაქმნი **ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას** და ასრულებს ისე, რომ პასუხობს კომუნიკაციის ცნების იმ შინაარსს, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, მაშინ ეს ენობრივი წარმონაქმნი წარმოადგენს **ტექსტს**. ტექსტი შეიძლება პოულობდეს რეალიზაციას თუნდაც ერთი წინადადების სახით – თუნდაც ამ ერთ წინადადებას ჰქონდეს მინიმალური – ერთი სიტყვის – მოცულობა" (ibid 2004: 277-278). ვფიქრობთ, ტექსტის ფუნქციური გაგების ზემოთ მოყვანილი განმარტებიდან ცხადი უნდა იყოს ის მნიშვნელობა, რომელსაც ეს განმარტება იძენს ჩვენი კვლევისთვის: თუ, როგორც აქ იყო ნათქვამი, „ტექსტი შეიძლება პოულობდეს რეალიზაციას თუნდაც ერთი წინადადების სახით" და „თუნდაც ამ ერთ წინადადებას ჰქონდეს მინიმალური – ერთი სიტყვის მოცულობა", ამ შემთხვევაში გასაგები უნდა იყოს ისიც, თუ როგორ სტატუსს უნდა იძენდეს ტექსტის ფარგლებში ზმნა როგორც წინადადების სტრუქტურული ცენტრი. ცხადი ხდება, რომ მსგავს შემთხვევაში ზმნა იქცევა ტექსტის სტრუქტურულ ცენტრადაც. რაც შეეხება ტექსტის სტრუქტურულ გაგებას, ციტირებულ მონოგრაფიაში იგი გამოიყურება შემდეგნაირად: „ფუნქციურ თვალსაზრისს უპირისპირდება **სტრუქტურული თვალსაზრისი**. უნდა ითქვას, რომ ტექსტის ფუნქციური გაგება მოგვიანებით გაფორმდა – მაშინ, როცა შინაგანი გაფორმება „დაიწყო“ იმან, რასაც ჩვენ კომუნიკაციური პარადიგმა ვუწოდეთ. ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა და ლინგვისტურ კვლევაში მეტი ხვედრითი წონა მოიპოვა ტექსტის სტრუქტურულმა გაგებამ. ეს გაგება, ასე ვთქვათ, უფრო „რეალისტურია“. მართალია ტექსტი შეიძლება შედგებოდეს ერთი წინადადებისაგან, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში იგი შედგება ერთზე მეტი წინადადებისაგან. ამ შემთხვევაში ტექსტის ლინგვისტური ცნების გენეტიკური ასპექტი თავის გამართლებას პოულობს. მაგრამ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ტექსტზე როგორც წინადადებათა თანამიმდევრობაზე, ამით ფაქტიურად გარკვეულ განუსაზღვრელობას ვანიჭებთ ტექსტის ლინგვისტურ ცნებას" (ibid 2004: 279). და სწორედ ტექსტის ამგვარ, ანუ

სტრუქტურულ გაგებას, ავტორის აზრით ეფუძნება ამ ენობრივი ერთეულის ის განსაზღვრა, რომელიც, შეიძლება ითქვას დომინირებს თანამედროვე ლინგვისტიკაში და რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ტექსტის ინტეგრანტებად უნდა გვევლინებოდეს წინადადებათა გარკვეული თანმიმდევრობა, არამედ იმ პრინციპსაც, რომელიც ამ თანმიმდევრობას ტექსტად აქცევს: ეს არის **თემატურობის პრინციპი**. ამასთან დაკავშირებით ავტორი ამბობს: „ტექსტად ლინგვისტური თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს **თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა**. ის, რაც წინადადებათა თანმიმდევრობას აქცევს ტექსტად, ეს არის სწორედ თემატიკური ურთიერთდაკავშირებული ანუ ტექსტის წინადადებებში ასახული თემის ერთიანობა“ (ibid 2004: 279).

რას გვეუბნება ტექსტის ეს განსაზღვრა, რომელიც შეიძლება ითქვას, ტიპური და დამახასიათებელია ტექსტის მთელი თანამედროვე ლინგვისტური თეორიისთვის თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ერთმნიშვნელოვნად ასახავს როგორც ამ თეორიისთვის, ისე წინადადების ტრადიციული და არსებული თეორიისთვის გადამწყვეტ პრინციპს: ტექსტისა და წინადადების ურთიერთმიმართება უნდა დანახულ იქნას **დონეებრივ პრინციპზე** დაფუძნებით და, ამ პრინციპის თანახმად წინადადება უნდა განიხილებოდეს ტექსტის ინტეგრანტად.

მაგრამ ტექსტის ზემოთ მოცემული განსაზღვრა არა მხოლოდ წარმოადგენს დონეებრივი პრინციპის ამგვარ რეზუმირებას, არამედ, ჩვენი აზრით, შეიცავს აგრეთვე მთელი ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვან იმ პრობლემურ ასპექტს, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად: როგორც ვნახეთ, ლინგვისტიკური თვალსაზრისით ტექსტის დიფერენციალურ ნიშნად, ანუ იმ ნიშნად, რომელიც მას არსებითად განასხვავებს წინადადებისგან, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი როგორც ნიშანი მიუთითებს არა ერთ სიტუაციაზე, არამედ სიტუაციათა გარკვეულ **ერთობლიობაზე**, ანუ, რაც იგივეა, ამა თუ იმ **რეფერენტულ სივრცეზე**. ბუნებრივია, რომ წმინდა ლინგვისტიკური თვალსაზრისით შეუძლებელია არ დავეფუძნოთ ამ დიფერენციალურ ნიშანს, მაგრამ ამავე დროს ვხედავთ იმასაც, რომ ფაქტორი, რომელიც წინადადებათა ერთობლიობას, „ჯაჭვს“, თუ თანმიმდევრობას აქცევს **ტექსტად**, უნდა მივიჩნიოთ **თემატური პრინციპი** (სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა დაგვენახა პრინციპული განსხვავება, მაგალითად სიტყვათა ორ ისეთ „ჯაჭვს“ შორის, როგორცაა „მზე ანათებს. ჩიტები გალობენ“ და „მზე ანათებს. პეტრე მუხუთე კლასშია.“ მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შევუ-

თანხმობით ერთმანეთს ტექსტობრიობასთან დაკავშირებული ეს ორი პრინციპი – **ლინგვოსემიოტიკური**, რომლის მიხედვით ტექსტის სიგნიფიკატს წარმოადგენს სიტუაციათა ერთობლიობა და **საკუთრივ ტექსტობრივი** პრინციპი, რომლის მიხედვით ტექსტობრიობა ეფუძნება **თემატურობას**. ჩვენი შემდგომი კვლევა გვიჩვენებს, რომ, ერთის მხრივ, ა) შეუძლებელია ადეკვატურად განისაზღვროს წინადადებისა და ტექსტის ურთიერთმიმართება ამ ორი პრინციპის ურთიერთმიმართების ბოლომდე ექსპლიციტიზმის გარეშე და ბ) მეორეს მხრივ კი შეგვიძლია წინსწრებით ვთქვათ შემდეგი: შეუძლებელია ხსენებული პრობლემის გადაჭრა, თუ ამ გადაჭრის წინა პირობად არ მივიჩნევთ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ურთიერთმიმართების განხილვას. ვფიქრობთ, შეიძლება მოცემული თეზისის შემდგენაირად ფორმულირებაც: იმისთვის, რომ ტექსტის თეორიის ფარგლებში მოხდეს ზემოთ ხსენებული ორი პრინციპის სრული სინთეზი, საჭიროა სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის სრულად ინტეგრირება ტექსტის თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში, ამ ინტეგრირების ლოგიკურ საფუძვლად კი უნდა მივიჩნიოთ სწორედ იმ პრობლემის გადაჭრა, რომელიც იმყოფება ჩვენი ყურადღების ცენტრში, ანუ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების დადგენის პრობლემა.

პირველი თავის დასკვნები

ვფიქრობთ, მოცემულ თავში განვითარებული მსჯელობის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1) ისეთი ენობრივი ერთეულების ურთიერთმიმართების დადგენა, როგორცაა, ერთის მხრივ, წინადადება, მეორეს მხრივ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა უნდა მოხდეს იმ მეთოდოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „პარადიგმული სინთეზი“. პარადიგმული სინთეზის მეთოდი კი ჩვენს კვლევით კონტექსტში გულისხმობს შემდეგს: უნდა მოხდეს ერთიან თეორიულ სისტემაში გაერთიანება ყოველივე იმისა, რასაც წინადადების შესახებ გვეუბნება ლინგვისტური აზროვნების სამი პარადიგმა – ტრადიციული, სისტემურ-სემიოტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური;

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ ფორმულირებული ამოცანის შესრულება გულისხმობს პირველ რიგში, იმ ფაქტის სრულად გათვალისწინებას, რომ

წინადადება შეიძლება მიხნეულ იქნას სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტად, აუცილებლად მიგვაჩნია წინადადებისადმი თანმიმდევრულად **ტექსტოცენტრისტული** მიდგომის განხორციელება;

3) მაგრამ, ამავე დროს, მოცემულმა კვლევამ აჩვენა, რომ წინადადებისადმი ტექსტოცენტრისტული მიდგომის განხორციელება გულისხმობს ამ ენობრივ ერთეულთან უშუალოდ დაკავშირებულ ისეთ კონცეპტთა ურთიერთმიმართების ახლებურად ურთიერთდაკავშირებას, როგორცაა პრედიკაცია, პროპოზიცია და მოდალურობა;

4) წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა შორის ურთიერთმიმართების დადგენისას აუცილებელი ხდება ორივე ამ ხსენებული ენობრივი ერთეულის **სრული ტიპოლოგიზაცია**, რაც პირველ რიგში გულისხმობს მათ ტიპოლოგიზაციას ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით.

5) წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ურთიერთმიმართების დადგენა გულისხმობს ორი შემდეგი ამოცანის თანმიმდევრულ გადაჭრას:

ა) შესაძლოა განხორციელდეს ტექსტის განსაზღვრის ისეთი ორი პრინციპის სრული სინთეზი, როგორცაა ერთის მხრივ ლინგვოსემიოტიკური, მეორეს მხრივ კი თემატური პრინციპი და ბ) ამ ორი პრინციპის თანმიმდევრული სინთეზირება შეიძლება მოხდეს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში სრული ინტეგრირების გზით.

თავი II

სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია: მის ზოგადლობიკურ და ლინგვოსემიოტიკურ ასპექტთა ურთიერთმიმართება

§1. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის როგორც ტექსტობრივი ფენომენის თეორიულ-მეთოდოლოგიური განხილვის წინა პირობები

თუ ჩვენი კვლევითი მიზნის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტთა ურთიერთმიმართებას გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა არსებობდეს გარკვეული სიმეტრია ნაშრომის პირველ და მეორე თავს შორის. რაკი პირველი თავი დაეთმო წინადადებას – რა თქმა უნდა, კომპოზიციურ ფორმასთან მისი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით – აქედან გამომდინარე მეორე თავი უნდა დაეთმოს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას – მაგრამ ბუნებრივია, ასევე წინადადებასთან მისი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. თუმცა, თუ ბოლომდე გავითვალისწინებთ როგორც ჩვენი კვლევის ზოგად მიზნებს, ისე წინა თავის მარეზუმირებელ დასკვნებს, გასაგები უნდა იყოს, რომ წინადადებასთან ურთიერთმიმართების პრობლემა ვერ იქნება მოცემული თავის ერთადერთი შინაარსობრივი ასპექტი. უნდა მივიჩნიოთ, რომ ძირითადი და ექსპლიციტურად ფორმულირებული მიზანი – ტექსტოცენტრისტული მიდგომის გზით დავადგინოთ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართება – თავის მხრივ დამოკიდებულია იმ პრობლემაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ექსპლიციტური სახით დასმული ტექსტის ლინგვისტიკაში, თუმცა იმპლიციტური სახით ეს პრობლემა არსებობს და შეუძლებელიცაა, რომ არ არსებობდეს: ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ორი ლინგვისტური თეორია, სახელდობრ ტექსტის თეორია და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია, ვითარდებოდა და ფაქტობრივად დღესაც ვითარდება ძირითადად ერთი მეორისგან დამოუკიდებლად, შეიძლება ითქვას – ერთი მეორისგან იზოლირებულადაც კი. და ეს ასეა მიუხედავად იმისა, რომ ისეთი ორი ენობრივი ერთეულის შინაგანი კავშირი – როგორც ფუნქციური ისე სტრუქტურული თვალსაზრისით – ატარებს აქსიომატურად ცხად ხასიათს: ნებისმიერი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა გაიგება როგორც წინადადებას აღმატებული ენობრივი ერთეული, რაც თავისთავად მის ტექსტობრიობაზე მიუთითებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამგვარ პარადოქსულ სიტუაციაზე, ანუ იმ ფაქტზე, რომ არ ხდება ამ ორი თეორიის კონცეპტუალური ურთიერთდაკავშირებულობა, მიუთითებს თუნდაც შემდეგი მხოლოდ ერთი ფორ-

მაღური ფაქტი: იმ მონოგრაფიის სათაური, რომლის ფარგლებში მოცემულია სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია თავისი დღეისთვის მაქსიმალურად განვითარებული ფორმით, გამოიყურება შემდეგნაირად: "Übungsbuch zur Textlinguistic (Einfache Kompositionsformen)". როგორც ვხედავთ, თავისი მიზანდასახულობით – თუ ამის შესახებ სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ – წიგნი უნდა ემსახურებოდეს ტექსტის ლინგვისტიკას, მაგრამ ზემოთ მითითებული პარადოქსი მდგომარეობს შემდეგში: სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია ფორმულირებულია ისე, რომ არ არის არამც თუ გააზრებული, არამედ ნახსენებიც კი ამ თეორიის შინაგანი კავშირი ტექსტის თეორიასთან. შეიძლება, რა თქმა უნდა, ამ პარადოქსის ახსნა იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ეს ორი თეორია – ტექსტის ლინგვისტიკური თეორია და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ლინგვისტიკური თეორია – სხვადასხვა მიზეზის გამო ვითარდებოდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ხსენებული პარადოქსის ისტორიულად განპირობებული საფუძველი, ლოგიკურ-თეორიული თვალსაზრისით პარადოქსი პარადოქსად რჩება: სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა წარმოადგენს ტექსტს (უფრო ზუსტად კი – ტექსტის გარკვეულ დონეს) და, შესაბამისად, მისი გაანალიზება უნდა ხდებოდეს იმ კატეგორიულ აპარატის გამოყენებით, რომელიც შემუშავებული აქვს თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკას.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, ჩვენს წინაშეა ორი ერთნაირად მნიშვნელოვანი და შინაგანად ერთმანეთთან დაკავშირებული ამოცანა: 1) პირველი და ცენტრალური ამოცანა, რომელიც მდგომარეობს შემდგომში: იმ აქსიომატურ ფაქტზე დაყრდნობით, რომლის მიხედვით ესა თუ ის სამეტყველო კომპოზიციური ფორმა სტრუქტურულად აღემატება წინადადებას, აუცილებელი ხდება განვიხილოთ წინადადება სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტად და, შესაბამისად, წინადადებასთან დაკავშირებული მთელი თეორიული პრობლემატიკა დაეუკავშიროთ მის ამგვარ სტატუსს; 2) მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის თანახმად იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის ენობრივი სტრუქტურა აღემატება წინადადებას, მაშინ ეს სტრუქტურა უნდა მივიჩნიოთ ტექსტად, აუცილებელი ხდება თვით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმაზე გავავრცელოთ ტექსტობრიობასთან დაკავშირებული ყველა თეორიული მოსაზრება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდი: სწორედ სამეტყველო-

კომპოზიციური ფორმა წარმოადგენს მიკროტექსტს, ანუ იმ სტრუქტურულ „მინიმუმს“, რომლის სახით ტექსტობრიობა როგორც ენობრივი ფენომენი ჰპოვებს თავის რეალიზაციას და სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე შეგვიძლია თეორიულად დავასაბუთოთ იმ ჩვენი კვლევითი მიზნის გამართლებულობა, რომელიც ფორმულირებული იყო უკვე „შესავალში“: გვსურს განვახორციელოთ წინადადებისადმი ტექსტოცენტრისტული მიდგომა, ამ მიდგომის თეორიულ საფუძვლად კი მივიჩნიოთ სწორედ ის ფაქტი, რომ წინადადება აქსიომატურად წარმოადგენს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტს.

როგორც მოცემული პარაგრაფის დასაწყისშივე ითქვა, ჩვენი ნაშრომის მეორე თავი ისევე უნდა მიექდგნას სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას როგორც პირველი თავი ეძღვნებოდა წინადადებას და სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით იყო ნათქვამი, რომ ეს ორი თავი ერთმანეთთან უნდა იყვნენ გარკვეულ **სიმეტრიულ** დამოკიდებულებაში. ასეთი სიმეტრიულობა, რა თქმა უნდა, გამართლებულია მთელი ჩვენი მიზანდასახულობით, რადგან ჩვენს ძირითად პრობლემას წარმოადგენს სწორედ ამ ორი ენობრივი ერთეულის ურთიერთმიმართების დადგენა. მაგრამ ამავე დროს სწორედ ამგვარად გაგებულ სიმეტრიულობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: მიუხედავად ფორმალური სიმეტრიულობის აუცილებლობისა, შეუძლებელი ხდება დავიცვათ შინაარსობრივი სიმეტრიაც შემდეგი ფაქტის გამო: როგორც ცნობილია და რაც ჩვენს მიერაც იქნა ხაზგასმული, წინადადების კვლევას აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და, გარდა ამისა, თვით თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებშიც ამ ენობრივი ერთეულის კვლევას ჰქონდა შესაბამისი სტადია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ წინადადების ლინგვოსემიოტიკურ კონცეფციაზე, და სწორედ ამიტომ, დასკვნის სახით წინა თავის დასასრულს გამოითქვა აზრი: თუ გვსურს განვახორციელოთ წინადადების მიმართ ტექსტოცენტრისტული მიდგომა, მაშინ ამ მიდგომის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას წინადადების როგორც ტრადიციული ისე თანამედროვე ლინგვოსემიოტიკური ხედვა. მაგრამ სწორედ ფაქტთა ამ ერთობლიობიდან გამომდინარე უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომელიც ზემოთ იქნა ნახსენები: წინადადებისგან განსხვავებით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას არა აქვს ის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომლის გათვალისწინებით შევძლებდით გველაპარაკა ამ ერთეულის ტრადიციულ და თანამედროვე ხედვათა შორის განსხვავებაზე. თამამად შეიძლება ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია იმ-

პლიციტურად მიეკუთვნება ტექსტის ლინგვისტურ თეორიას, თუმცა ეს იმპლიციტურობა ჯერ-ჯერობით მთლიანად და ადეკვატურად არ გადასულა ექსპლიციტურობაში, მაინც უნდა მივიჩნიოთ, რომ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ცნება, ისე ამ ფორმათა არსებული ტიპოლოგია წარმოადგენს კომუნიკაციური ლინგვისტიკის „ნაწილს“ და შეუძლებელი იქნებოდა ენის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ხედვის გარეშე. და ეს სწორედ ის გარემოებაა, რომელსაც ეფუძნება ერთეულად როგორც ზემოთ ხსენებული ასიმეტრიულობის ფაქტი, ისე იმის აუცილებლობაც, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის გაანალიზებისას მთლიანად უნდა დავეყრდნოთ ამ თეორიის დღეისთვის არსებულ „ვარიანტს“.

როგორი უნდა იყოს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის ჩვენს მიერ ჩასატარებელი გააზრების პროცესი, თუ ამ პროცესს საფუძვლად დაუდებთ ჩვენს მიერვე ზემოთ ფორმულირებულ ამოცანათა ერთობლიობას? ვფიქრობთ ამ პროცესს უნდა ჰქონდეს შემდეგი ეტაპობრივი სტრუქტურა:

1. იქიდან გამომდინარე, რომ წინადადების თეორიისგან განსხვავებით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიას არა აქვს გავრცელებულობისა და განვითარების დიდი ხნის ტრადიცია, პირველ ეტაპზე საჭიროდ მიგვაჩნია ამ თეორიის ისეთი რეფერირება, რომლის შედეგად მკაფიოდ გამოიყოფა მისი შემდეგი ასპექტები:

ა) სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის როგორც ენობრივი ერთეულის ზოგადი განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს მთელს თეორიას;

ბ) იმ კრიტერიუმთა ერთობლიობის გამოყოფა, რომელიც საფუძვლად უდევს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა დღეისთვის არსებულ ტიპოლოგიას.

გ) სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა დღეისთვის არსებული ტიპოლოგია, ანუ იმის ნათლად განსაზღვრა, თუ რით (რა დიფერენციალური ნიშნებით) განსხვავდება ერთმანეთისაგან ცალკეული კომპოზიციური ფორმები;

2. მეორე ეტაპზე, რომელსაც უკვე „ანალიტიკური ეტაპი“ შეიძლება ვუწოდოთ, უნდა დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას წარმოდგენილი ლოგიკურ-თეორიული თვალსაზრისით მსგავსება თუ განსხვავება ერთის მხრივ, წინადადების და მეორეს მხრივ, სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის. ამ ეტაპზე უნდა მოიძებნოს შესაძლო პარალელები ერთის მხრივ წინადადებისა და მეორეს მხრივ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის თეორიებს შორის – ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს

იმის დადგენას, თუ რამდენად შეესაბამებიან ერთმანეთს წინადადებისა და კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიზაციის ლინგვოსემიოტიკური კრიტერიუმები;

3. მესამე ეტაპზე უნდა დაისვას კითხვა: როგორ უნდა გამოიყურებოდეს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის ინტეგრირება ტექსტის თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში? ჩვენი აზრით, სწორედ ამ კითხვაზე პასუხს უნდა დაეფუძნოს საბოლოო ანგარიშში ჩვენი კვლევის ძირითადი მიზნის განხორციელება, ანუ წინადადებისადმი ტექსტოცენტრისტული მიდგომის რეალიზაცია. რა თქმა უნდა, ამ ძირითადი ამოცანის ადეკვატური სახით ფორმულირება და განხორციელება მთლიანად დამოკიდებული იქნება იმაზეც, თუ რა შედეგებს მივიღებთ ანალიზის წინა ეტაპებზე.

§2. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა როგორც ენობრივ-კომუნიკაციური ერთეული: არსებული თეორიის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

როგორც წინა პარაგრაფში ითქვა, სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებული თეორიის გააზრების პირველ ეტაპზე უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: რა არის სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა როგორც ენობრივი ერთეული? მაგრამ, როგორც წინა პარაგრაფშივე ითქვა, ხსენებული თეორიის ფორმირება ხდება თანამედროვე ლინგვისტიკის კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა თავიდანვე უნდა გავი-აზროთ როგორც არა მხოლოდ ენობრივი, არამედ აგრეთვე როგორც **კომუნიკაციური** ერთეული და ამით, ჩვენი აზრით, საფუძველი ჩაეყრება წინადადებასთან მისი ფუნქციურ-სტრუქტურული მიმართების კვლევას. თუმცა, ამავე დროს სწორედ წინადადებასთან მისი ამგვარი მიმართების გათვალისწინებით ხაზი უნდა გაესვას სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის – ისევე როგორც თავად წინადადების ორმაგ სტატუსს: ისე, როგორც წინადადება "სეფ" (=სამეტყველო-კომპო-ზიციური ფორმა) წარმოადგენს არა მხოლოდ კომუნიკაციურ ერთეულს, ანუ ისეთ ერთეულს, რომლის საშუალებითაც ხდება ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია, არამედ თვით ამ სისტემის დონეებრივი სტრუქტურის ერთეულსაც. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინადადებასთან ეს პარალელი ქმნის იმის საფუძველსაც, რომ თავიდანვე განვახორციელოთ მის (სეფ-ს) მიმართ ლინგვოსემიოტიკური მიდგომა. რამდენად ხორციელდება არსებულ თეორიაში ამგვარი

მიდგომა? ეს ის კითხვაა, რომლის დასმა საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ არა მხოლოდ ხსენებული თეორიის რეფერირება, არამედ განვახორციელოთ კიდევ მის მიმართ **კრიტიკული** მიდგომაც. ვფიქრობთ, სხვანაირად შეუძლებელი იქნება ყველა იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომლებზე პასუხის გაცემის გარეშე შეუძლებელი იქნება ჩვენი კვლევითი მიზნების მიღწევა.

როგორც უკვე ითქვა, სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებული თეორიის რეფერირებას – რა თქმა უნდა, ამ სიტყვის არა ელემენტარული, არამედ ანალიტიკურ-კრიტიკული გაგებით – განვახორციელებთ ძირითადად ნ. ბესმერტნაიას და ე. ვიტმერსის უკვე ციტირებული ნაშრომის მიხედვით. და იმისთვის, რომ შევძლოთ ამ მიზნის ბოლომდე ადეკვატურად განხორციელება, გვსურს ხაზი გავუსვათ მის (ამ ნაშრომის) იმ ორ შინაარსობრივ თავისებურებას, რომლებსაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მთელი ჩვენი კვლევითი მიზანდასახულობისთვის. ეს თავისებურებებია: ა) მიუხედავად იმისა, რომ ავტორები მათ მიერ წარმოდგენილ თეორიას ექსპლიციტურად და დეკლარაციულად მიაკუთვნებენ ტექსტის ლინგვისტურ თეორიას, არ შეიძლება იმის თქმა, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა მათ მიერ განვითარებული კონცეფცია რეალურად იყოს ინტეგრირებული ტექსტის იმ თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში, რომლებიც წარმოადგენს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ორგანულ ნაწილს. ქვემოთ, როცა მოგვიხდება სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ლინგვისტიკური განხილვა, შევეცდებით უფრო მეტი დასაბუთებულობა შევძინოთ ამ ჩვენს კრიტიკულ შენიშვნას. ამ ეტაპზე კი საკმარისია ითქვას შემდეგი: ხსენებულ ნაშრომში სკფ განიხილება ლოგიკური და არა **ლინგვისტიკური** თვალსაზრისით, იმის გათვალისწინების გარეშე, რომ სკფ - იმდენად რამდენადაც იგი ტექსტობრივი ერთეულია - უნდა აღქმულ იქნას ნიშნობრივად, ანუ ისეთი სამი ნიშნობრივი განზომილების ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, როგორცაა სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ამ ენობრივი ერთეულის (სკფ-ს) ლოგიკური ანალიზი, მაგრამ იგი არ არის საკმარისი ამგვარი ანალიზის შედეგთან ტექსტის ლინგვისტიკაში ინტეგრირებისათვის; ბ) კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გვესახება ხსენებული ნაშრომის შემდეგი თავისებურებაც: თუმცა თავისთავად იგულისხმება, რომ სკფ სტრუქტურულად აღემატება წინადადებას და, შესაბამისად, წინადადება უნდა განიხილებოდეს მის ინტეგრანტად, ამ ორი ერთეულის –

სკფ-ს და წინადადების – ურთიერთმიმართება არ არის გაანალიზებული ისე როგორც ამას მოითხოვს ტექსტის ლინგვისტიკის შინაგანი ლოგიკა.

ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვიხდა ხსენებული ნაშრომის ამგვარი, ანუ ანალიტიკურ-კრიტიკული შეფასების საზღვარს, რადგან, ჩვენის აზრით, ამ საზღვარს ვიქმნით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ლინგვოსემიოტიკურად დაფუძნებული თეორიის აგების წინაპირობას. ბუნებრივია მივიჩნით, რომ ასეთი თეორია არა მხოლოდ უნდა პასუხობდეს ტექსტის თანამედროვე თეორიის მოთხოვნებს, არამედ უნდა წარმოადგენდეს კიდევ წინადადების ლინგვოსემიოტიკური კონცეფციის პარალელს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ხსენებული ნაშრომის ავტორები სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თავიანთი კონცეფციის აგებას იწყებენ „სამუშაო ჰიპოთეზით“ (Arbeitshypothese), რომელიც ეფუძნება ისეთ ფართო კონტექსტს, როგორცაა ადამიანური აზროვნების და სინამდვილის ურთიერთმიმართება და სწორედ ეს თვალსაზრისია, რომელიც შემდგომ საფუძვლად ედება მთელ მათ მსჯელობას. როგორც ისინი ამბობენ, „ადამიანთა ცნობიერება სინამდვილეს ასახავს არა პასიურად, არამედ აქტიურად“, რაც ნიშნავს შემდეგს: „სინამდვილის ფაქტთა გადამუშავება ხდება გარკვეულ პრიზმში და გარკვეული მიზანდასახულობის თანახმად. ადგილი აქვს ამ ფაქტთა აღქმას, შერჩევას და შეფასებას. აღქმა, შერჩევა და შეფასება წარმოადგენს სინამდვილის ასახვის განუყოფლად ურთიერთდაკავშირებულ ასპექტებს“. (Bessmertnaja, Wittmers 1976: 14) ავტორთა აზრით, სწორედ „სინამდვილის ასახვის ამ ასპექტების თანახმად ტექსტის მნიშვნელობა შეიცავს ცნებით-რაციონალურ (შესაბამისად ლოგიკურ-საგნობრივ) და შეფასებით ინფორმაციებს“ (ibid 1976: 14) ავტორთა სიტყვით, „ეს ინფორმაციები ტექსტში გადმოიცემიან ენობრივ-სამეტყველო სისტემის სხვადასხვა ფორმებითა და საშუალებებით და სწორედ მათ რიცხვში გამოიყოფიან კომპოზიციის ფორმები, პირველ რიგში კი ისეთი მარტივი და ზოგადი კომპოზიციური ფორმები, როგორცაა **შეტყობინება, აღწერა და განმარტება**. მიგვაჩნია, რომ სწორედ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც სინამდვილის აღქმისა და წარმოდგენის საშუალებანი (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კომპოზიციური ფორმის დასახელებისას გამოიყენება ხოლმე ისეთი ტერმინიც, როგორცაა თხრობა, რადგან იგულისხმება, რომ რამეს შეტყობინებისას ერთი სუბიექტი მეორეს, როგორც წესი, რაღაცას უყვება და ზუსტად ასევე მესამე კომპოზიციური ფორმის დასახელებისას გამოიყენება ხოლმე ტერმინი „მსჯელობა“ – იქიდან გამომდინა-

რე, რომ რაიმეს განმარტებისას ადამიანს უხდება მიმართოს მსჯელობას როგორც აზროვნების ფორმას).

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ციტირებული ავტორები ხსენებულ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებთან დაკავშირებით გამოთქვამენ აზრს, რომელსაც ამავე დროს „ჰიპოთეზას“ უწოდებენ: მათი აზრით, „შეტყობინება, აღწერა და განმარტება წარმოადგენენ ისეთ ორასპექტოვან წარმონაქმნებს, რომლებიც თავის თავში დიალექტიკურად აერთიანებენ ორი სახის პროცესს - კოგნიტიურ და კომუნიკაციურს. ისინი არიან როგორც აზროვნების ისე ტექსტობრიობის როგორც ფენომენტა მასტრუქტურირებელი ფორმები" (ibid 1976: 14-15). როგორც ჩვენს მიერ უკვე იქნა აღნიშნული, სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებს ავტორები განიხილავენ უაღრესად ფართო კონტექსტში - აზროვნებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით და სწორედ ამგვარი მიდგომა ამ ერთეულების მიმართ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მათი განხილვა ხდება არა ლინგვოსემიოტიკურად, არამედ ზოგადლოგიკურად. ქვემოთ, როცა აუცილებელი გახდება სკეფ-სა და წინადადებას შორის ურთიერთმიმართების დადგენა, დავინახავთ, რომ ასეთ მიდგომას აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტები: **პოზიტიური** იმდენად, რამდენადაც ზოგადლოგიკური კონტექსტი, როგორც წესი, იძლევა განსხვავებულ, მაგრამ ამავე დროს ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთა ერთ გარკვეულ სისტემაში შეყვანის მეტ ლოგიკურ შესაძლებლობას. მაგრამ ამავე დროს უნდა დავინახოთ ამ მიდგომის ნეგატიური მხარეც, ანუ ის მხარე, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება ჩვენი კვლევის ცენტრალური პრობლემა – იმ ურთიერთმიმართების ლინგვოსემიოტიკური და ამავე დროს ტექსტოცენტრისტული განსაზღვრა, რომელიც გარდუვალად უნდა არსებობდეს წინადადებასა და სკეფ-ს შორის. როგორც უკვე ითქვა, ამ პრობლემის დასმაც და გადაჭრაც უნდა მოხდეს ციტირებული ნაშრომის ავტორთა კონცეფციის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტების გათვალისწინების გზით.

ბუნებრივი იქნება, თუ ზემოთ ხსენებულ კონცეფციას პირველ ეტაპზე განვიხილავთ მისი იმ **პოზიტიური** ასპექტის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ზოგადლოგიკური ვუწოდეთ, რადგან, ჩვენის აზრით, მხოლოდ ამ ასპექტის სრულად აღქმისა და გააზრების შემდეგ გვექნება მთლიანად განსახილველ კონცეფციისადმი კრიტიკული მიდგომის შესაძლებლობა იმის გათვალისწინებით, რომ სწო-

რედ სამეცნიერო-კომპოზიციური ფორმებისადმი არალინგვისეოლოგიური მიდგომა წარმოადგენს, ჩვენის აზრით, კონცეფციის ხსენებულ ნეგატიურ ასპექტს.

როგორც ზემოთ ითქვა, სამეცნიერო-კომპოზიციურ ფორმათა დღეისთვის არსებული თეორიის **პოზიტიურ** ასპექტად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ხსენებული ფორმები ამ თეორიის ფარგლებში განიხილებიან უაღრესად ფართო კონტექსტში იმ გაგებით, რომ მათი საშუალებით ხორციელდება ზოგადად სააზროვნო პროცესის სტრუქტურირება იმდენად, რამდენადაც აზროვნება მიიჩნევა სინამდვილის **აქტიურ** ასახვის სფეროდ. ეს კი ნიშნავს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ თავად განსახილველი თეორიის ავტორთა სიტყვით საქმე უნდა ეხებოდეს – როგორც ზემოთ აღინიშნა – ერთდროულად როგორც კოგნიტიურ ისე კომუნიკაციურ ერთეულებს, ამ ერთეულთა სტრუქტურის დადგენა ხდება მხოლოდ **კოგნიტიური** (შემეცნებითი) თვალსაზრისით. ბუნებრივია, ჩვენ ვაპირებთ – და ამის შესახებაც უკვე ითქვა – მოვახდინოთ ავტორთა მიერ ჰიპოთეტურად დადგენილი კოგნიტიური სტრუქტურის ლინგვისეოლოგიური ინტერპრეტაცია. და სწორედ ამიტომ ვსვამთ კითხვას: როგორია, ავტორთა აზრით, ეს კოგნიტიური სტრუქტურა, და როგორ, რა გზით ხდება ამ სტრუქტურის გამოყოფა და დადგენა?

ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას გვსურს მივუთითოთ განსახილველი თეორიის ჩვენს მიერ პოზიტიურად მიჩნეული ასპექტის ნაკლებად თვალში საცემ, იმპლიციტურად არსებულ ისეთ მომენტზე, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდგომ, სკოლ-ს ლინგვისეოლოგიური განხილვის ეტაპზე როგორც „ხიდი“ ამ ერთეულის ზოგადლოგიურ და ლინგვისეოლოგიურ ინტერპრეტაციათა შორის. რაში მდგომარეობს ამგვარი იმპლიციტურად არსებული შესაძლო „ხიდის“ არსი? იგი მდგომარეობს შემდგომში: როგორც გვახსოვს, წინადადების ლინგვისეოლოგიური კონცეფცია ხასიათდება ორი შემდეგი სტრუქტურული დონით: ხდება ზოგადად წინადადების სიგნიფიკატის განსაზღვრა და ეს სიგნიფიკატი განისაზღვრება **სიტუაციის** ცნებაზე დაყრდნობით – იგულისხმება, რომ ნებისმიერი ტიპის წინადადება აღნიშნავს და ასახელებს ამა თუ იმ სიტუაციას და სწორედ სიგნიფიკატის ამ ზოგადლენებრივი განსაზღვრის შემდეგ ხორციელდება წინადადებათა სემანტიკური ტიპოლოგიზაცია იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულად რა ტიპის სიტუაციის აღნიშვნა და დასახელება ხდება წინადადების მოცემული სტრუქტურული ტიპის მიერ. მაგრამ რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ წინადადების ჩვენს მიერ

უკვე განხილული ტიპოლოგიზაცია იძლევა ამ ორ თეორიას შორის იმპლიციტური „ხიდის“ არსებობის ვარაუდის შესაძლებლობას. იმიტომ, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ერთობლიობის კონცეპტუალური გააზრებაც ხდება ორ სტრუქტურულ დონეზე – ჯერ ლაპარაკია ზოგადად სკფ-ს კოგნიტიურ სტრუქტურაზე და სწორედ ამ ზოგადი სტრუქტურის საფუძველზე ხდება სკფ-ს ტიპოლოგიზაცია: ზოგად დონეზე დადგენილი კოგნიტიური **ინვარიანტი** კონკრეტდება იმ **ვარიანტებად**, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ჩვენს მიერ უკვე დასახელებული სამეტყველო-კომპოზიციური ფორმებით – შეტყობინებით, აღწერით და განმარტებით. თუ განვაზოგადებთ ყოველივე ამას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინადადების დღეისთვის არსებული ლინგვოსემიოტიკურ თეორიასა და სკფ-ს დღეისთვის არსებულ კოგნიტიურ თეორიებს შორის აღინიშნება **სტრუქტურული პარალელიზმი**, ანუ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს განსახილველი სუბიექტის კონცეპტუალიზაციის ჯერ ზოგად **ინვარიანტულ** – "შემდეგ" კი – ვარიაციულ-ტიპოლოგიურ დონეებთან. ვფიქრობთ, რომ სწორედ აღნიშნულმა სტრუქტურულმა პარალელიზმმა უნდა შეასრულოს ამ ორ თეორიას შორის ჩვენს მიერ გასაღები „ხიდის“ როლი.

განვიხილოთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა დღეისთვის არსებული თეორია ასპექტთა იმ თანმიმდევრობით, რომელიც იგულისხმება ზემოთ ხსენებული სტრუქტურული პარალელიზმით, რაც უნდა ნიშნავდეს შემდეგს: ვნახოთ პირველ რიგში, თუ როგორ წარმოუდგენიათ უკვე ციტირებულ ავტორებს ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ სკფ-ს „**კოგნიტიური ინვარიანტი**“, შემდეგ კი ვნახოთ, თუ როგორ გამოიყენება ეს ინვარიანტი სკფ-ს ტიპოლოგიზაციისთვის.

სკფ როგორც კოგნიტიურ-ლოგიკური ინვარიანტი

ავტორების აზრით „ფუნდამენტური მნიშვნელობა ძირითად სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა სტრუქტურირებისთვის აქვთ ისეთ კატეგორიებს, როგორცაა დრო, სივრცე და მიზეზობრიობა. სწორედ ეს კატეგორიებია, რომ ქმნიან სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა სტრუქტურას, და შესაბამისად, მათ ენობრივად გამოხატულ შინაარსს“ (ibid 1976: 14-15). ის კომენტარი, რომელსაც ავტორები ურთავენ ამ მათთვის ფუძემდებელ თეზისს, მთლიანად ადასტურებს ყოველივე იმას, რაც ზემოთ ვთქვით განსახილველი თეორიის შესახებ: ეს თეორია ატარებს არა იმდენად ლინგვისტურ, რამდენადაც კოგნიტიურ (შეიძლება

ითქვას – ფილოსოფიურ) ხასიათს. კონკრეტულად კი ისინი ამბობენ შემდეგს: „ეს კატეგორიები ასრულებენ განსაკუთრებულ როლს შემეცნებით პროცესში, რადგან ჩვენი მიმართება სინამდვილესთან, არსებითად განისაზღვრება სწორედ დროით, სივრცით და მიზეზობრიობით" (ibid 1976: 14-15). ავტორთა აზრით, „სწორედ ეს კატეგორიები წარმოადგენენ მარტივ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ლოგიკურ „შინაარსს" (ibid 1976: 14-15).

რადგან, როგორც უკვე ითქვა, ჩვენი შემდგომი მსჯელობის დროს ვაპირებთ შევუპირისპიროთ ერთმანეთს ერთის მხრივ, წინადადების, მეორეს მხრივ კი სეგ-ს ინვარიანტები, აუცილებლად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, თუ როგორ წარმოუდგენიათ ავტორებს ამ კატეგორიათა კონკრეტული მონაწილეობა ჩვენი აზროვნების მიერ სინამდვილის კოგნიტიური და ამავე დროს კომუნიკაციურად განპირობებული ასახვის დროს. ისინი წერენ: „როცა ჩვენ სინამდვილის ამა თუ იმ ფაქტთა შესახებ ვინმეს ვატყობინებთ და ამ ფაქტებს მათ დროით მიმდინარეობაში წარმოვადგენთ, ყურადღებას ვამახვილებთ ფაქტთა ცვალებადობაზე და იმაზე, თუ როგორ უთმობს ერთი ფაქტი მეორეს, მაგრამ თუ ჩვენ საგნებს და მოვლენებს აღვწერთ და მათთვის დამახასიათებელ სივრცითი მიმართებების საფუძველზე წარმოვიდგენთ, ამ შემთხვევაში ხაზს ვუსვამთ მათ უცვლელობას და თვისობრივ გარკვეულობას. როცა კი ჩვენს ფაქტებს განმარტავთ და მათ არსებობას მიზეზობრივი მიმართებების მიხედვით წარმოვიდგენთ, მათი აღქმა ხდება მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებაში" (ibid 1976: 14-15).

იმის შემდეგ, როცა ამგვარად განმარტავენ დასახელებულ სამი კატეგორიის როლს სინამდვილის ჩვენეული აღქმისა და გააზრების პროცესში, ავტორები ამბობენ: „სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ეს აბსტრაქტული განზოგადოებული წარმოდგენები ქმნიან სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა „ლოგიკურ შინაარსს", ანუ, შესაბამისად, მათ „ლოგიკურ ინვარიანტს" (ibid 1976: 14-15).

ამ ზოგადი განმარტებების შემდეგ ავტორები შემდეგნაირად აკონკრეტებენ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა შინაარსობრივ ტიპს:

„ – კომპოზიციური ფორმა „შეტყობინება" = შინაარსის აბსტრაქტული ტიპია „ხდომილება"

– კომპოზიციური ფორმა „აღწერა" = შინაარსის აბსტრაქტული ტიპია „საგანი".

– კომპოზიციური ფორმა „განმარტება" = შინაარსის აბსტრაქტული ტიპია "პრობლემა" (ibid 1976: 16)

ზემოთ ნათქვამის გრაფიკული გამოხატულება გამოიყურება შემდეგნაირად

„მარტივ კომპოზიციურ ფორმათა ძირითადი ნიშნები

მარტივი კომპოზიცი- ური ფორ- მები	ლოგიკური ინვარიანტი			
	შინაარსი აბსტრაქტუ- ლი ტიპი	ფუნქციონალური სტრუქტურული ელემენტები		
		დროითი (დრო)	სივრცითი (სივრცე)	მიზეზობრივი (მიზეზობრიობა)
შეტვობინება	ხდომილება	+	-	-
აღწერა	საგანი	-	+	-
განმარტება	პრობლემა	-	-	+

“

(ibid 1976: 16)

ფიქრობთ, ავტორთა შემდგომ გამონათქვამს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სეფ-სა და წინადადების ურთიერთმიმართების განსაზღვრის შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, ორივე ამ ერთეულს სტრუქტურულად და ფუნქციურად დაუკავშირებთ ტექსტს – ტექსტს როგორც ნიშნობრივ ერთეულს: „ძირითად კომპოზიციურ ფორმათა ლოგიკური ინვარიანტი გადამწყვეტ სემანტიკურ როლს ასრულებს სინამდვილის კონკრეტული შინაარსის სტრუქტურირებისას და იმის რეგულაციებისას, თუ რომელ ენობრივ საშუალებებს მიმართავთ სინამდვილის სტრუქტურირების ამ პროცესში“ (ibid 1976: 16). როგორც ვხედავთ, ავტორები, მართალია, შორს არიან იმისგან, რომ ექსპლიციტურად, განიხილონ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები ლინგვისეპიოტიკურად, მაგრამ ამავე დროს მათ მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ ფორმათა ლოგიკური ინვარიანტი განსაზღვრავს ტექსტის საკუთრივ ენობრივ სტრუქტურას. ეს ის აზრია, რომელიც კონკრეტდება შემდეგნაირად: „იმას, თუ რომელ ელემენტთა ურთიერთდაკავშირების პროცესში გადაწყვეტს სწორედ ხსენებული ლოგიკური ინვარიანტი, სახელდობრ ის, თუ როგორი სემანტიკისა იქნება ეს ენობრივი საშუალებები – ტემპორალური სემანტიკის (შეტვობინებისას), ლოკალურის (აღწერისას) თუ მიზეზობრივი სემანტიკის (განმარტებისას)“ (ibid 1976: 16).

განაზოგადებენ რა კომპოზიციურ ფორმათა როლს სინამდვილის აღქმისა და სტრუქტურირების პროცესში, ავტორები ამბობენ: „სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები წარმოადგენენ სინამდვილის ასახვის განსხვავებულ მოდუსებს, ანუ

სინამდვილის ხედვის იმ განსხვავებულ მოდუსებს, რომელთა საშუალებით სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტი შეიძლება განსხვავებულად იქნეს წარმოდგენილი. ხედვის ეს განსხვავებული მოდუსები წარმოდგენილი არიან ისეთი ენობრივი საშუალებებით, რომლებიც ურთიერთმოქმედებისას ქმნიან **ენობრივ სქემებს** სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების სახით... კომპოზიციური ფორმები არსებობენ როგორც სამეტყველო-სააზროვნო ქმედების აბსტრაქტული სქემები..., კონკრეტულ ტექსტში კი, რომელიც, როგორც წესი, ტექსტის გარკვეულ ტიპს ეკუთვნის, სწორედ ეს ფორმები განსაზღვრავენ ტექსტობრივი სემანტიკის რაციონალურ-კომუნიკაციურ ასპექტს" (ibid 1976: 20).

რა შეიძლება ითქვას იმის შესახებ, თუ როგორ ესმით ავტორებს ისეთ ენობრივ ფენომენტა შორის კავშირი, როგორცაა ერთის მხრივ, „სკფ“, მეორეს მხრივ კი „ტექსტი“ ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობით? ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ციტატები კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ იმის სისწორეში, რაც უკვე ითქვა პარაგრაფის დასაწყისში: მართალია, ავტორები სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებს უკავშირებენ ტექსტს, მაგრამ ეს დაკავშირება ხდება მკაფიოდ გამოხატული და თანმიმდევრული ლინგვოსემიოტიკური მიდგომის გარეშე. ამგვარი მიდგომის არარსებობის უშუალო შედეგად კი უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ორი ფაქტი, რომლებიც ჩვენ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ნეგატიურ ასპექტად მივიჩნიეთ და რომლებიც კიდევ ერთხელ უნდა იქნან შემდეგნაირად ფორმულირებულნი: ა) სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა დაკავშირება ტექსტთან ხდება ამ უკანასკნელის ლინგვოსემიოტიკური გააზრების გარეშე, რის უშუალო შედეგად უნდა მივიჩნიოთ ავტორთა მსჯელობის შემდეგი ასპექტი: ტექსტის როგორც ენობრივი ფენომენტის ყოველი ხსენება მათთან ხდება მხოლოდ წმინდა ლოგიკურ, ან ფართო შემეცნებით კონტექსტში – იმის დანახვისა და ხაზგასმის გარეშე, რომ ტექსტში სინამდვილის სტრუქტურირებას სემიოტიკური თვალსაზრისით თან უნდა ახლდეს სინტაქტიკურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ განზომილებათა ერთობლიობა; ბ) და სწორედ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა სემიოტიკური (ლინგვოსემიოტიკური) გააზრების არარსებობას უნდა მივაწეროთ ის ფაქტიც, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კონცეფციის ფარგლებში არა აქვს ადგილი სკფ-სა და წინადადების ურთიერთმიმართების განხილვას.

შეიძლება ითქვას, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებული თეორიის ჩვენეული ხედვა, კონკრეტულად კი იმის ხაზგასმა, რომ ხსენებულ თეორიაში უგულვებელყოფილია ენობრივ ერთეულთა ნიშნობრივი არსი, ვლინ-

დება არა მხოლოდ კომპოზიციურ ფორმათა ფუნქციის ზემოთ მოყვანილ დეფინიციებში, არამედ იმაშიც, თუ როგორ ხედავენ ამ თეორიის ავტორები სკფ-ს როგორც ენობრივი ერთეულის მიმართებას ისეთი ენობრივი ერთეულის კატეგორიასთან, როგორცაა **შეფასება**.

როგორ ესმით ავტორებს შეფასების კატეგორია? მათი აზრით, „შეფასება მუდამ მჭიდროდაა დაკავშირებული ტექსტის მიზნობრივ ასპექტთან. სწორად შეფასებაზეა დამოკიდებული, თუ სინამდვილის რომელი ასპექტი იქნება ტექსტში ასახული. სწორედ შეფასების საკითხია ის, თუ სინამდვილის რომელი ფაქტი გახდება ტექსტში ასახვის „ღირსი“ და ისიც, თუ როგორ იქნება ეს ფაქტი ასახული... შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეფასებითი თვალსაზრისით მუდამ აქვს მეტყველი პირის სოციალურ როლს და, გარდა ამისა, იგი (შეფასება) დამოკიდებულია სამეტყველო სიტუაციის ტიპზეც“ (ibid 1976; 21-22).

რატომ მივიჩნით აუცილებლად იმის ხაზგასმა, თუ როგორ ესმით ავტორებს ამ ორი ენობრივი ფენომენის - სკფ-ს და შეფასების ურთიერთმიმართება? იმიტომ, რომ სწორედ ხსენებული მიმართების განხილვისას განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდა სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა მათი გაგების ჩვენს მიერ უკვე ხაზგასმული ნეგატიური ასპექტი. ავტორებს რომ დაენახათ სკფ-ს როგორც ენობრივი ერთეულის ლინგვოსემიოტიკური არსი, მაშინ მათთვის აუცილებელი გახდებოდა ამ ერთეულის როგორც **ნიშნის** გააზრება, ეს კი თავის მხრივ შეუძლებელი იქნებოდა იმის გარეშე, რომ არ ელაპარაკათ ამ ერთეულის სემიოტიკურად გაგებულ სამგანზომილებიან სტრუქტურაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელი გახდებოდა, ერთის მხრივ, შეფასების პრაგმატიკული აღქმა, ანუ მისი როგორც ერთ-ერთი პრაგმატიკული კატეგორიის განსაზღვრა, მეორეს მხრივ კი იმის ჩვენებაც, თუ რა კავშირი აქვს შეფასებას როგორც ტექსტობრივი ერთეულის პრაგმატიკულ ასპექტს მის სემანტიკურ ასპექტთან. გარდა ამისა, აუცილებელი გახდებოდა იმის დანახვა და ჩვენებაც, რომ სკფ-ს პრაგმატიკული განზომილება თავის მხრივ უკავშირდება იმ დისკურსის **ინტერსუბიექტურობას**, რომელიც ენობრივი კომუნიკაციის პროცესში უშუალოდ წარმოქმნის სკფ-ს როგორც ტექსტობრივ ერთეულს.

მაგრამ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებული თეორიისადმი ჩვენს კრიტიკულ მიდგომას აქვს, რა თქმა უნდა, უფრო შორს მიმავალი დანიშნულება: გვსურს ამ კრიტიკის საშუალებით უკვე კვლევის ამ ეტაპზე შევქმნათ

სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ის **ლინგვოსემიოტიკური** კონცეფცია, რომელიც ამავე დროს მოგვცემს იმის საშუალებასაც, რომ ბოლომდე ეფექტურად განხორციელდეს წინადადებისადმი ტექსტოცენტრისტული მიდგომა.

როგორც ვხედავთ, ენობრივი ფენომენებისადმი თანმიმდევრულად კომუნიკაციური მიდგომა ამავე დროს გარდუვალად გულისხმობს მათ შორის ისეთი სისტემური ურთიერთმიმართების დადგენას, რომლებიც დაეფუძნებიან ლინგვოსემიოტიკურ პრინციპს.

მოცემულ პარაგრაფში, ჩვენ ხაზი გავესვით იმ სტრუქტურულ **პარალელიზმს**, რომელიც, ჩვენი აზრით, არსებობს, ერთის მხრივ, წინადადების ლინგვოსემიოტიკურ თეორიასა, მეორეს მხრივ კი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ჯერ კიდევ არა ლინგვოსემიოტიკურ და **მხოლოდ** ლოგიკურ-შემეცნებით თეორიას შორის, და ამავე დროს გამოეთქვით მოსაზრებაც, რომ ხსენებული სტრუქტურული პარალელიზმი უნდა მოექცეს ისეთი კონცეპტუალური პარალელიზმის ფარგლებში, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ამ ორი ერთეულის (სეფ-ს და წინადადების) ერთიან ლინგვოსემიოტიკურ სისტემაში მოქცევას. რა თქმა უნდა, სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია იმის თანმიმდევრული განხილვა, თუ როგორ ხდება ციტირებულ ავტორებთან სეფ-ს ჩვენთვის უკვე ცნობილი ლოგიკური ინვარიანტის ვერსიებად ვარირება. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა ვუპასუხოთ კითხვაზე: როგორ გამოიყურება განსახილველი თეორიის ფარგლებში სეფ-ს ტიპოლოგია? რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე დასახელებული გვაქვს სეფ-ს ეს ვერსიები - შეტყობინება, აღწერა, განმარტება. მაგრამ როგორია ყოველი მათგანის შინაგანი ლოგიკური სტრუქტურა და, რაც ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მთავარი და გადამწყვეტია, როგორ შეიძლება დაუკავშიროთ ერთმანეთს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ეს სტრუქტურა წინადადებათა ლინგვოსემიოტიკურ სტრუქტურას?

რა თქმა უნდა, ჩვენ დავსვამთ ამ ბოლო კითხვას, მაგრამ, ბუნებრივია, მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ჩვენს განკარგულებაში გვექნება სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა სრული ტიპოლოგია (ანუ, რაც დენოტატიური თვალსაზრისით იგივეა – სეფ-ს ინვარიანტული სტრუქტურის ვერსია-ვარიანტები). მაგრამ, იმისთვის, რომ შევძლოთ მოცემული კითხვის ადეკვატური სახით დასმა და, რაც მთავარია, მასზე ადეკვატური პასუხის გაცემა, აუცილებელია გავცნოთ ყველა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ლოგიკურ სტრუქტურას ცალ-ცალკე, რაც

საშუალებას მოგვცემს კვლევის ამ დონეზე მოვახდინოთ გარკვეული თვალსაზრისით წინადადებათა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიური სისტემების შეპირისპირება.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია გავანალიზოთ პირველ რიგში, თანმიმდევრულად ზემოთ დასახელებული სამივე სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სტრუქტურა.

§3. „შეტყობინება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა

იმისთვის, რომ რაც შეიძლება სრულად გამოიყურებოდეს მოცემული სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ლოგიკური სტრუქტურა, მივყევთ ამ სტრუქტურის იმ დახასიათებას, რომელსაც იძლევიან ზემოთ დასახელებული ავტორები და რომელიც „დაფიქსირებულია“ სეფ-ს იმ ზოგადლოგიკურ სქემაში, რომელიც განხილულ იქნა წინა პარაგრაფში.

უკვე ციტირებული ნაშრომის მიხედვით ავტორები შემდეგნაირად განიხილავენ ამ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას:

1. ჯერ იძლევიან მოცემული სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის შინაარსობრივ დახასიათებას;
2. შემდეგ მსჯელობენ ამ კომპოზიციური ფორმის ენობრივ ფორმაზე;
3. შემდეგ ლაპარაკობენ ამ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის „აგების“ აუცილებელ გრამატიკულ და ლექსიკურ საშუალებებზე;
4. და ბოლოს მსჯელობენ იმ სამეტყველო უანრებზე, რომლებსაც საფუძვლად უდევს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „შეტყობინება“.

იმისთვის, რომ „შეტყობინების“ ანალიზმა შეინარჩუნოს ლოგიკური კავშირი სეფ-ს იმ ერთიან ლოგიკურ სტრუქტურასთან, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ჩვენც გავეცნოთ იგივე ფორმისა და არსის სქემას, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე დაკონკრეტებულს „შეტყობინების“ სახით:

„სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „შეტყობინება“
 ლოგიკური ინვარიანტი და ტექსტის თვისობრიობა

კომპოზი- ციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტი		ტექსტის თვი- სობრიობა
	შინაარსის აბსტრაქტული ტიპი	ძირითადი სტრუქტურუ- ლი ელემენტები	
შეტყო- ბინება	ხდომილება	1. დროითი თანმიმდევრობა 2. რეტროსპექტიულობა 3. დროითი აკუმულაცია	დინამიკა დასრულებულობა შემჭიდროებულობა

(ibid 1976: 38)

იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ლოგიკურ სტრუქტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება წინადადებასთან მისი დაკავშირების პროცესში, დავეყრდნოთ ავტორებს იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი არა მხოლოდ ზოგადი სახით გვიჩვენებენ „შეტყობინების“ სტრუქტურულ ელემენტებს, არამედ განმარტავენ კიდევ მათ: ხსენებული განმარტება გამოიყურება შემდეგნაირად:

„სტრუქტურული ელემენტი: **დროითი თანმიმდევრობა**

ხდომილებები განიხილება რეტროსპექტულად როგორც წარსულში დასრულებული

სტრუქტურული ელემენტი: **რეტროსპექტიულობა**

შეტყობინებისთვის დამახასიათებელია ის, რომ სინამდვილეში დროთა თანმიმდევრობა ბევრად უფრო დიფერენცირებულია, ვიდრე მისი ტექსტობრივი გადმოცემა, რადგან ეს უკანასკნელი ატარებს შემაჯამებელ ხასიათს. შესაძლებელია, რომ ხდომილების მოყოლისას ადამიანი „გადაახტეს“ არა მხოლოდ საათებს და დღეებს, არამედ თვეებსაც და წლებსაც კი. თითქოსდა ხდება რეალური დროის აკუმულაცია.

სტრუქტურული ელემენტი: **დროითი აკუმულირება**

რაკი ხდება რეალური დროის აკუმულირება, შეტყობინების შინაარსის მქონე ტექსტში ლაპარაკია ბოლომდე მხოლოდ იმაზე, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია...

– სტრუქტურული ელემენტი „დროთა თანმიმდევრობა“ განაპირობებს ტექსტის ისეთ თვისობრიობას, როგორცაა დინამიურობა.

– სტრუქტურული ელემენტი „რეტროსპექტიულობა“ განაპირობებს ტექსტის ისეთ თვისობრიობას როგორცაა დასრულებულობა.

– სტრუქტურული ელემენტი „დროის აკუმულირება“ განაპირობებს ტექსტის ისეთ თვისობრიობას, როგორცაა შემჭიდროებულობა“ (ibid 1976: 38).

როგორც უკვე არა ერთხელ იქნა ჩვენს მიერ აღნიშნული, ავტორები ზოგადად სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებს და მათ შორის, რა თქმა უნდა, შეტყობინებასაც განიხილავენ ისე, რომ არ ეფუძნებიან ამ განხილვისას ექსპლიციტურად ფორმულირებულ ლინგვოსემიოტიკურ თვალსაზრისს. მაგრამ ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად ამისა, იმ ობიექტურად ანგარიშგასაწვეი ფაქტიდან გამომდინარე, რომ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები რეალურად, როგორც წესი, წარმოადგენენ **მიკროტექსტურ** ენობრივ წარმონაქმნებს, ე.ი. წარმოადგენენ ამა თუ იმ უანრობრივად განსაზღვრულ მაკროტექსტის შემადგენელ ელემენტებს, ხოლო წინადადებები კი, პირიქით, წარმოადგენენ მათ ინტეგრანტებს, განსახილველი ნაშრომის ავტორები მაინც მსჯელობენ ამ ერთეულთა ტექსტობრივად განპირობებულ ურთიერთმიმართებებზე. რამდენადაც ჩვენც მოგვიხდება ხსენებულ თემაზე მსჯელობა – თუმცა, რა თქმა უნდა, უკვე **ექსპლიციტურად ლინგვოსემიოტიკურ პლანში** – საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ მოვახდინოთ მათი ნააზრვეის ციტირება. მათი აზრით, „წინადადებათა და ტექსტის ურთიერთშეკავშირება ხდება მუდამ იმ სემანტიკურ კავშირთა შედეგად, რომლებიც არსებობენ ცალკეულ წინადადებათა და ტექსტობრივ ელემენტთა შორის, ხოლო ეს შეკავშირება რეალიზებულია სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით. ყველაზე მნიშვნელოვანი შეტყობინებისთვის არის **დროითი სტრუქტურირება**“ (ibid 1976: 34).

ავტორები შემდგენაირად აკონკრეტებენ ზემოთ ნათქვამს: „შეტყობინებით ტექსტში სინამდვილის ფაქტები წარმოდგენილნი არიან მათ დინამიკაში (განვითარებაში)“ (ibid 1976: 34), და სწორედ ამ დინამიკაზე დაყრდნობით ეხებიან ავტორები მოცემულ სკფ-სა და მასში შემავალ წინადადებათა ურთიერთმიმართებას: „წინადადებათა თანმიმდევრობა უმეტეს შემთხვევებში შეესაბამება ხლომილებათა დროით თანმიმდევრობას და რაკი ეს უკანასკნელნი დაინახებიან რეტროსპექტულად და შესაბამისად როგორც დასრულებულად, ჩვეულებრივ ხდება რეალური დროის აკუმულირება (zeitraffung - შედეგება, შეკუმშვა)“. ეს

იმას ნიშნავს, რომ ხდომილებებიდან შეარჩევენ ხოლმე მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს, რისი შედეგიცაა ინფორმაციათა შემჭიდროება" (ibid 1976: 34).

როგორც ვხედავთ, ავტორები ამ შემთხვევაშიც არა მხოლოდ მსჯელობენ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ფუნქციურ არსზე, არამედ იმ ურთიერთმართებაზეც, რომელიც არსებობს მასში შემავალ წინადადებებს შორის მხოლოდ **ზოგადლოგიკური თვალსაზრისით**. როგორც უკვე ითქვა, შევეცდებით ბოლომდე გავითვალისწინოთ ეს ზოგადლოგიკური თვალსაზრისი, მაგრამ ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი **ინტეგრირება** ლინგვოსემიოტიკურ თვალსაზრისში. სწორედ ამ კვლევათი პერსპექტივიდან გამომდინარე გვსურს დავეუროთ შემდეგი კომენტარი ციტატათა ზემო მოყვანილ კომპლექსს:

ა) ვფიქრობთ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავტორები ტერმინებს „ტექსტი“ და ტექსტობრივი ელემენტები, ხმარობენ იმის გარკვევის გარეშე, თუ კონკრეტულად რომელ ტექსტობრივ **ერთეულებთან** გვაქვს საქმე - მიკროტექსტთან, ანუ ზეფრაზობრივ ერთიანობასთან, რომელიც თავისი მოცულობით, რა თქმა უნდა, შეიძლება ემთხვეოდეს სეფ-ს, მიკროტექსტთა აბზაცურ გაერთიანებას თუ ცალკეულ წინადადებებს? მართალია, ავტორები ლაპარაკობენ „წინადადებებზეც“, მაგრამ არ ჩანს, თუ სად უნდა გაივლოს საზღვრები წინადადებასა და არაწინადადებას შორის;

ბ) ის ფაქტი, რომ ავტორები, მართალია ლაპარაკობენ წინადადებაზე (წინადადებებზე), მაგრამ იმის მხედველობაში მიღების გარეშე, თუ რომელ სემანტიკურ ტიპს შეიძლება ეს წინადადება ეკუთვნოდეს, მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ ენობრივ ფენომენტთა მათთვის დამახასიათებელ არაღინგვოსემიოტიკურ მიდგომას შეიძლება საბოლოო ანგარიშში ჰქონდეს თეორიულად ნეგატიური ასპექტი: ტექსტის როგორც ფენომენტის ანალიზი ფაქტობრივად ხდება ტექსტის საკუთრივ ლინგვისტური თეორიის გაუთვალისწინებლად;

გ) როგორც ზოგადად სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის იმ ლოგიკურმა სქემამ გვიჩვენა, რომელსაც თვითონ ავტორები აგებენ, ამ სქემაში ცენტრალური ადგილი უკავია ზმნის მიერ გამოხატულ მნიშვნელობას და, რა თქმა უნდა, ამ მნიშვნელობისთვის შესაძლო ნიუანსებს. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომი მსჯელობის ფარგლებში ზმნა მოექცევა ჩვენი ყურადღების ცენტრში.

განსახილველი ნაშრომის ავტორები გამოყოფენ აგრეთვე იმ **ლექსიკურ** და **გრამატიკულ** საშუალებებს, რომლებიც, როგორც მათ მიაჩნიათ მონაწილეობენ „შეტყობინების“ სტრუქტურირებაში. და სწორედ ამ თვალსაზრისით აღსანიშნა-

ვია შემდეგი ორი მომენტი: ლექსიკურ საშუალებებზე საუბრისას მათ მსჯელობაში წინა პლანზე გამოდის ტემპორალური სემანტიკა - მიუხედავად იმისა, საქმე ეხება ზმნებს თუ მეტყველების სხვა ნაწილებს, ანუ ყველა იმ ენობრივ საშუალებას, რომლებიც, მათი აზრით, მიეკუთვნებიან ტემპორალურობის ფუნქციურ-სემანტიკურ ველს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „შეტყობინების“ სტრუქტურირების ძირითად მორფოლოგიურ საშუალებად მათ მიაჩნიათ აწმყო დრო, ხოლო სინტაქსურ საშუალებად ძირითადად ის კონსტრუქციები, რომლებიც ემსახურებიან დროითი თანმიმდევრობის გამოხატვას (ibid 1976: 36-37).

ზემოთ ჩვენ უკვე მივუთითეთ იმ, ჩვენი აზრით, ნეგატიურ მომენტებზე, რომლებიც თან ახლავს ავტორთა კონცეფციას არა მხოლოდ ზოგად პლანში, არამედ „შეტყობინებაზე“ მსჯელობისასაც და ხაზი გავესვით ხსენებული ნეგატიურობის ძირითად „წყაროსაც“ – იმას, რა თქმა უნდა, რომ ენობრივი ფენომენების მიმართ არ ხორციელდება ლინგვოსემიოტიკური მიდგომა, მაგრამ წინსწრებით გვსურს კიდევ ერთხელ მივუთითოთ ხსენებული მეთოდოლოგიურად ნეგატიური მომენტის იმ შედეგებზე, რომლის შესახებაც ძალიან ზოგადი სახით გვქონდა ლაპარაკი ამ ნაშრომის შესავალში

§4. „აღწერა“ როგორც სამეტყველო კომპოზიციური ფორმა: „საგნის აღწერა“

როგორც უკვე ითქვა მოცემული თავის დასაწყისშივე, იმ ნაშრომის მიხედვით, რომლის ფარგლებში სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებული თეორია გადმოცემულია თითქმის მაქსიმალური სისრულით, მეორე ფუძემდებელ ასეთ ფორმად მიჩნეულია „აღწერა“. როგორც „შეტყობინების“ შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც ავტორები მიჰყვებიან ამ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის დახასიათებისას თავიდანვე შემოთავაზებულ სქემას: ჯერ იძლევიან ფორმის ლოგიკურ ინვარიანტს, შემდეგ კი ამ ინვარიანტის მიხედვით ზოგადშინაარსობრივ დახასიათებას, რომლის რეზუმირება ხდება შესაბამისი გრაფიკული სქემის სახით. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ გვსურს გავხადოთ შესაძლებელი ამ თეორიის ლინგვოსემიოტიკური ტრანსფორმაცია, საჭიროდ მიგვაჩნია „აღწერის“ განხილვა განვახორციელოთ იგივე ანალიტიკურ და კრიტიკულ თვალსაზრისზე დაყრდნობით, რომელიც გამოყენებული იყო წინა პარაგრაფში. მაგრამ, რადგანაც ხსენებულ პარაგრაფში „შეტყობინების“ თეორიის განხილვისას მოგვიხდა ამ სეფ-ს „საზღვრებს გარეთ გასვლა“ და ზოგადი სახის მოსაზრებათა

გამოთქმაც, მოცემულ პარაგრაფშიც მიყვებით კრიტიკული ანალიტიკის იგივე ლოგიკას. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამგვარი ლოგიკა მიგვიყვანს „შესავალში“ ფორმულირებული კვლევითი პროგრამის შესრულებამდე.

შეიძლება ითქვას, რომ ციტირებული ნაშრომის მიხედვით „აღწერა“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა გამოიყურება ბევრად რთულად, ვიდრე „შეტყობინება“ შემდეგი მიზეზის გამო: იგი შეიცავს ნათლად გამოკვეთილ შინაგან ტიპოლოგიას, ანუ იყოფა ორ ქვეტიპად. მაგრამ, სანამ შევეხებოდეთ ამ შინაგან ტიპოლოგიას, აუცილებელია აღვნიშნოთ ის, თუ როგორ აქვთ გაგებული ავტორებს „აღწერის“ ზოგადი შინაარსი. ვფიქრობთ, ავტორთა ნააზრვის გადმოცემის ამგვარი განხილვა საშუალებას მოგვცემს უკვე ამ ეტაპზე შევძლოთ ჩვენი ანალიტიკურ-კრიტიკული პოზიციის გამოხატვა.

როგორც „შეტყობინების“ შემთხვევაში, ისე ამ შემთხვევაშიც ავტორები მოცემული სკფ-ს შინაარსობრივი დახასიათებისას მიმართავენ არა ლინგვოსემიოტიკურ, არამედ **ზოგადლოგიკურ**, შეიძლება ითქვას - **ზოგადშემეცნებით-კრიტიკური**უმებს. მათი აზრით, „აღწერის როგორც სკფ-ს ფუძემდებელი სტრუქტურული ელემენტი წარმოდგენილია **სივრცითი** მიმართებებით, საგანთა და მოვლენათა ისეთი სივრცითი თანამოცემულობით, რომელიც ნიშნავს როგორც ამ საგანთა და მოვლენათა არსებობას, ისე მათ თანაარსებობასაც“ (ibid 1976: 60). მაგრამ, წინა პარაგრაფისგან განსხვავებით, ავტორები უკვე „აღწერის“ ამ ზოგადი შინაარსის გადმოცემისას ეყრდნობიან არა მხოლოდ ობიექტურ, არამედ სუბიექტურ კრიტერიუმსაც, რაც ნიშნავს შემდეგს: სივრცე, როგორც ფუძემდებელი სტრუქტურული ელემენტი დახასიათებულია არა მხოლოდ ობიექტურ სინამდვილეზე, არამედ – იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია ენობრივ ფენომენზე – საკომუნიკაციო აქტის სუბიექტზე, კონკრეტულად კი ადრესანტზეც დაყრდნობითაც: „სივრცე აღწერის შემთხვევაში შემოფარგლულია მეტყველი პირის (ადრესანტის) თვალთახედვით იმდენად, რამდენადაც თავად მასაც იმ სივრცის ფარგლებში, რომლიდანაც იგი დაკვირვებას ახორციელებს, გარკვეული ადგილი უკავია. ეს დაკვირვება შეიძლება ატარებდეს ფაქტობრივ, უშუალო, ან, პირიქით, მხოლოდ წარმოდგენილ და წარმოსახვით ხასიათს“ (ibid 1976: 60). სწორედ აქედან გამომდინარე ავტორები იძლევიან აღწერის შემდეგ განზოგადოებულ განმარტებას: „აღწერა წარმოადგენს სინამდვილის ფაქტთა ასახვას, შეცნობას და გამოხატვას დაკვირვების, ანუ სინამდვილის კონკრეტულ-გრძნობითი აღქმის საფუძველზე“ (ibid 1976: 60).

გვსურს უკვე ამ ეტაპზე და ჩვენი ზემოთ გამოხატული მიზანდასახულობის თანახმად გამოვთქვათ ორი მოსაზრება „აღწერის“ ამგვარ შინაარსობრივ დახასიათებასთან დაკავშირებით და მიგვაჩნია, რომ ორივე მათგანს ექნება გარკვეული მნიშვნელობა ჩვენი შემდგომი მსჯელობისთვის. ეს მოსაზრებებია: ა) მიუხედავად იმისა, რომ „აღწერის“ შემთხვევაში ისე როგორც ზოგადად სამეცნიერო-კომპოზიციურ ფორმებზე მსჯელობისას, ავტორები, როგორც წესი, მიმართავენ ზოგადლოგიკურ და შემეცნებით კრიტერიუმს და ნაკლებად ითვალისწინებენ ენობრივ ფენომენტა ლინგვოსემიოტიკურ და კომუნიკაციურ ასპექტებს, ამ შემთხვევაში მათ მაინც შემოაქვთ კომუნიკაციური კრიტერიუმისთვის დამახასიათებელი ისეთი ელემენტი, როგორცაა **ადრესანტის** სივრცითი პოზიცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორთა მსჯელობაში სრულიად არათანმიმდევრულად, მაგრამ მაინც „შემოჭრილია“ ლინგვოსემიოტიკასთან შინაგანად დაკავშირებული, თუმცა უკვე კომუნიკაციურ-პრაგმატიკული შინაარსის მქონე ელემენტი. ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას შეფასებული ლინგვოსემიოტიკურ-პრაგმატიკული ელემენტის ამგვარი „შემოჭრა“? ვფიქრობთ ფრიად არაერთგვაროვნად: ერთის მხრივ, ამგვარი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ შეუძლებელია გვერდი აუარო ლინგვისტიკას ენობრივ ფენომენტებზე მსჯელობისას, მაგრამ მეორეს მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ ლინგვისტური თვალსაზრისი მოითხოვს მის თანმიმდევრულ გატარებასაც; ბ) ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თუნდაც მათთვის ჩვეული ზოგადლოგიკურ კრიტერიუმებზე დაყრდნობისას ავტორები არ არიან თანმიმდევრულნი: თუ, როგორც ისინი ამბობენ, აღწერისთვის დამახასიათებელი დაკვირვება შეიძლება ატარებდეს არა მხოლოდ ობიექტურ, არამედ სუბიექტურ ხასიათსაც, და შესაბამისად უკავშირდებოდეს წარმოსახვით რეალობასაც, რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ სამეცნიერო-კომპოზიციურ ფორმას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს „კონკრეტული გრძნობითი აღქმა“?

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენს მიერ განსახილველი თეორიის მიხედვით „აღწერა“ შეიცავს შიდა ტიპოლოგიას, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ოპოზიციურად ურთიერთგანსხვავებულ ორ ქვეტიპს – **საგნის აღწერასა და პროცესის აღწერას**. „აღწერის“ ამ ორ ტიპს შორის განსხვავება იმდენად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, რომ როგორც ვნახავთ, მათ შინაარსობრივ სტრუქტურას ავტორები გამოხატავენ განსხვავებული გრაფიკული სქემებით.

წინა პარაგრაფში, ანუ „შეტყობინების“ განხილვისას, ჩვენს მიერ გამოთქმული იქნა თეორიული ვარაუდი, შეიძლება ითქვას – **თეორიული ჰიპოთეზა** –

რომლის მიხედვით სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებზე მსჯელობისას და, შე-
საბამისად, მათსა და წინადადებას შორის მიმართების დადგენისას ყურადღების
ცენტრში უნდა მოექცეს ზმნა და სწორედ მეტყველების ეს ნაწილი უნდა იქნას
აღქმული არა მხოლოდ წინადადების, არამედ წინადადებაზე აღმატებული
ენობრივ ერთეულთა სტრუქტურულ ცენტრად. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენს
ვერბოცენტრისტულ ჰიპოთეზას, ისე როგორც ნებისმიერ ჰიპოთეზას, სჭირდება
დასაბუთება, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს როგორც ლოგიკურ, ისე
ემპირიულ ასპექტებს.

მიგვაჩნია, რომ ავტორების მიერ შემოთავაზებული ოპოზიცია „საგნის აღ-
წერა" VS „საგნის პროცესის აღწერა" იძლევა იმის საფუძველს, რომ გადავდგათ
კიდევ ერთი და ამავე დროს სერიოზული ნაბიჯი ზემოთ ფორმულირებული
ჰიპოთეზის დასაბუთების პროცესში. მაგრამ იმისთვის, რომ დასაბუთების ეს
პროცესი რეალური აღმოჩნდეს, საჭიროდ მიგვაჩნია მივყვეთ ჯერ ავტორების მი-
ერ შემოთავაზებული თეორიის ლოგიკას.

„საგნის აღწერა" სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებული თეორიის თანახმად

განსახილველი თეორიის ავტორების აზრით, „საგანი"/„ობიექტი" როგორც
საგნის აღწერის აბსტრაქტული შინაარსობრივი ტიპი წარმოადგენს ისეთ
ცნებას, რომელიც მოიცავს რეალობათა მთელ სპექტრს. ეს კი ისეთი სპექტრია,
რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს როგორც ესა თუ ის ცალკეული
მარტივი საგანი, ისე ლანდშაფტთა ერთობლიობაც, და ამ შემთხვევაში
ლანდშაფტიც შეიძლება მიჩნეულ იქნას საგნად" (ibid 1976: 61). აქედან გამომდი-
ნარე, ავტორებს შემოჰყავთ მსჯელობაში შემდეგი „ოპოზიცია".

"1) მარტივი ობიექტები

2) რთული ობიექტები" (ibid 1976: 61).

თუმცა ამავე დროს ამბობენ შემდეგსაც: „უნდა გვახსოვდეს, რომ მუდამ არ
არის ადვილი განვასხვავოთ ერთმანეთისგან ეს ორი შინაარსობრივი ტიპი" (ibid
1976: 61). ამასთან ერთად ავტორები იმასაც აღიარებენ, რომ „სივრცის" როგორც
ლოგიკური ინვარიანტის ტექსტობრივი გადმოცემა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე
„დროის" (ibid 1976: 61). ავტორთა აზრით, „საგნის აღწერისას ადრესატს თანდა-
თანობით ეწოდება ინფორმაცია ობიექტის შესახებ, რის შედეგადაც მას ძალუძს
წარმოიდგინოს იგი რაც შეიძლება თვალნათლივ და პლასტიკურად. საგნის აღ-

წერისას გამოიყოფა ხოლმე ობიექტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიჩნეული ნიშან-თვისებები და ამ ნიშან-თვისებებს შორის არსებული მიმართებები" (ibid 1976: 61).

როგორც წინა პარაგრაფში, ამ შემთხვევაშიც ავტორთა მსჯელობაში ხდება კომუნიკაციურ-პრაგმატიკული თვალსაზრისის ისეთი „შემოჭრა“, რომელსაც აკლია მისთვის საჭირო ის თეორიული საფუძველი, რომელიც შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ექსპლიციტური სახით ფორმულირებული ლინგვოსემიოტიკურ-კომუნიკაციური თეორიის ფარგლებში. ისინი ამბობენ: „საგნის აღწერისას ობიექტები მათ სივრცით მიმართებებში წარმოდგენილნი არიან ხოლმე ისეთითქოს აღრესანტი მათ აკვირდებოდეს" (ibid 1976: 62).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, თუ როგორ აკონკრეტებენ ავტორები ზემოთ ნათქვამს, რადგან ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით იმაში, თუ რამდენად ეკლექტიკურია მათი თეორიული პოზიცია. მათი აზრით, მოცემული სეფ-ს შემთხვევაში „საგნობრივი აღწერის ობიექტები წარმოდგენილნი არიან მათი სივრცითი მიმართებების მიხედვით და ზოგადად ისე, თითქოს აღრესანტი ამ ობიექტებს რეალურად აკვირდება" (ibid 1976: 62). როგორც ვხედავთ, ავტორები იდენტური მნიშვნელობით ხმარობენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „დააკვირვებელი" და „აღრესანტი", თუმცა, როგორც უკვე ითქვა, არ უნდა იყოს თეორიული თვალსაზრისით დასაშვები მათი გაიგივება ერთი გამონათქვამის ფარგლებში. თეორიული ეკლექტიკურობის ამგვარი შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება ნათქვამის შემდგენაირად დაკონკრეტების დროს: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამეტყველო აქტი და დაკვირვების აქტი დროში ერთმანეთს ემთხვევა, ანუ რომ სამეტყველო აქტის დრო იფარება რეალური დროით" (ibid 1976: 62). როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, აქ მართლაც საქმე გვაქვს იმასთან, რასაც ჩვენ „თეორიული ეკლექტიკა" ვუწოდებთ. ჩვენი ეს კრიტიკული დამოკიდებულება იმის მიმართ, თუ როგორ აგებენ ავტორები სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიას, არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს, ჩვენი აზრით, ლინგვოსემიოტიკა (და მასთან ერთად - კომუნიკაციის თეორია) არ შეიძლება დაეყრდნოს შემეცნების ზოგადლოგიკურ თეორიას. პირიქით, მიგვაჩნია, რომ ამგვარი ზოგადლოგიკური თვალსაზრისი უნდა დაედოს საფუძვლად მთელ ჰუმანიტარულ აზროვნებას. მაგრამ ამავე დროს მუდამ აუცილებელია, ჩვენი აზრით, რომ არ უნდა მოხდეს თვალსაზრისთა აღრევა და მსჯელობისას ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რომელ თეორიულ კონტექსტში ვითარდება ჩვენი მსჯელობა. ეს ზო-

გადი მოსაზრება კი მოცემულ შემთხვევაში შეიძლება დაკონკრეტდეს შემდგენა-ირად: ლინგვისტიკის თანამედროვე პარადიგმული სიტუაცია მოითხოვს, რომ ტერმინი „ადრესანტი“ გამოყენებულ უნდა იქნას ისეთ ტერმინთან შეთანხმებულად, როგორცაა „ადრესატი“, ხოლო ორივე ეს ტერმინი კი უნდა ფიგურირებდეს დისკურსის ერთიანი თეორიის ფარგლებში. ბუნებრივია, დისკურსის თეორიაც საჭიროებს იმას, რომ მას საფუძვლად დაედოს შემეცნებითი დონის ზოგადლოგიკური თეორია და თანამედროვე ლინგვისტიკაში ასეც ხდება, თუმცა ხსენებული ზოგადლოგიკური თეორია ატარებს კოგნიტიურ ხასიათს (და ვითარდება ზოგადად გაგებულ კოგნიტივიზმის ფარგლებში) და, რაც მთავარია, გვსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ: იმ ჩვენეული კვლევითი პროგრამის შესრულება, რომელიც გულისხმობს წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის თანმიმდევრულად ერთიანი თეორიის ფარგლებში მოქცევას, სხვა თეორიულ მოთხოვნათა გვერდით გულისხმობს იმასაც, რომ მაქსიმალურად ავარიდოთ თავი ყოველგვარ თეორიულ ეკლექტიზმს და ამ გზით განვახორციელოთ ზემოთ ხსენებული ორივე თეორიის სინთეზი. მაგრამ ეს სინთეზი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ წინადადებისა და სეგ-ს ხედვა მოხდება თანმიმდევრულ ლინგვოსემიოტიკურ საფუძველზე.

ზემოთ განვითარებული თეორიული მსჯელობის შემდეგ შეგვიძლია იმის ჩვენებაც, თუ როგორ ახორციელებენ ავტორები „საგნის აღწერის“ როგორც „აღწერის“ ქვეტიპის სქემის სახით გამოხატვას.

„კომპოზიციური ფორმა „საგნის აღწერა“

ლოგიკური ინვარიანტი და ტექსტის თვისობრიობა

კომპოზიციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტი		ტექსტის თვისობრიობა
	შინაარსის აბსტრაქტული ტიპი	ძირითადი სტრუქტურული ელემენტები	
საგნის აღწერა	საგანი/ობიექტი	1. სივრცითი თანმიმდევრობა 2. დროის დაფარვა 3. დროითი გრძლიობა	წარმოსახვითობა/-პლასტიკურობა აწმყოში მოქცევა სტატიკა

“

(ibid 1976: 65)

**§5. „აღწერა“ როგორც სამეტყველო კომპოზიციური ფორმა:
„პროცესის აღწერა“**

როგორც უკვე ვიცით, კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმათა თანამედროვე თეორიაში ადგილი აქვს ერთიანი კომპოზიციური ფორმის, ანუ „აღწერის“ ორ ვარიანტს“ ანუ ორ ქვეტიპად დაყოფას – „საგნის აღწერა“ და „პროცესის აღწერა“ და როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ჩვენი მიზანია, წინადადებისა და სეფ-ს ერთიან ლინგვოსემიოტიკურ სისტემაში მოქცევა; და სწორედ აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ის, თუ როგორ ხდება ხსენებულ თეორიაში ამ ორი ქვეტიპის გამოიჯენა. როგორც ავტორები ამბობენ, ეს ორი ქვეტიპი, ანუ „საგნისა“ და „პროცესის აღწერა“ უნდა მივიჩნიოთ „ერთი და იგივე კომპოზიციური ფორმის ორ ვარიანტად“ (ibid 1976: 74); და ამასთან ერთად მიუთითებენ კიდევ იმაზე, რომ ამ ორ ქვეტიპს აერთიანებს მეტყველებაში ასახული სინამდვილის როგორც **სივრცეში თანამოცემულის** ასახვა. მეორე მათ გამაერთიანებელ ნიშნად ავტორები მიიჩნევენ შემდეგს: „პროცესის აღწერის შემთხვევაშიც ჩნდება ილუზია იმისა, რომ საქმე გვაქვს უშუალო დაკვირვებასთან“ (ibid 1976: 74). მაგრამ ამავე დროს ავტორები მიუთითებენ იმაზეც, თუ რა განასხვავებს ამ ორ ქვეტიპს – ეს არის შინაარსის აბსტრაქტული ტიპი: „პროცესის აღწერისას საქმე გვაქვს არა საგნებთან ან ობიექტებთან როგორც ასეთებთან, არა მათ ნიშან-თვისებებთან, არამედ პროცესებთან, ანუ იმასთან, თუ რა „მოსდით“ ამ „საგნებსა და ობიექტებს“ (ibid 1976: 75) ეს აზრი კონკრეტდება შემდეგნაირად: „ის რაც ხდება, უშუალოდ უკავშირდება დროის დინებას (ibid 1976: 75). ამიტომ, ამ შემთხვევაში შინაარსის აბსტრაქტულ ტიპად მიჩნეულია „პროცესი“, ხოლო სტრუქტურულ ელემენტად, რომელიც მონაწილეობს პროცესის აღწერაში, ტექსტში წარმოდგენილია „დინამიკა“.

ამ ზოგადი დახასიათების შემდეგ შეგვიძლია გამოვხატოთ მოცემული კომპოზიციური ფორმის ლოგიკური არსი, შემდეგი ავტორთა მიერ შემოთავაზებული სტრუქტურული სქემით:

**„კომპოზიციური ფორმა „პროცესის აღწერა“
ლოგიკური ინვარიანტი და ტექსტის თვისობრიობა**

კომპოზიციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტი		ტექსტის თვისობრიობა
	შინაარსის აბსტრაქტული ტიპი	ძირითადი სტრუქტურული ელემენტები	
პროცესის აღწერა	პროცესი	1. დროითი თანმიმდევრობა 2. დროის დაფარვა 3. დროითი ცვლილება	წარმოსახვითობა/ პლასტიკურობა აწმყოში მოქცევა დინამიკა

“

(ibid 1976: 79)

როგორც ვხედავთ, ავტორთა აზრით „საგნის აღწერა“ და „პროცესის აღწერა“ როგორც ერთიანი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ორი ქვეტიპი განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორ ხდება ასაღწერი სინამდვილის სივრცითი თანამოცემულობის შემთხვევაში იმ დროის გამოხატვა, რომლის ფარგლებშიც მოქცეულია ეს სინამდვილე. პირველ შემთხვევაში, ანუ „საგნის აღწერისას“ აღწერის დრო დანახულია **სტატიკურად**, მეორე შემთხვევაში კი – **დინამიკურად**.

ვფიქრობთ, „აღწერის“ როგორც ერთიანი კომპოზიციური ფორმის ორ ქვეტიპად დაყოფა შეიძლება განხილულ იქნას ორი თვალსაზრისით: პირველი თვალსაზრისი მთლიანად მიეკუთვნება თვით ამ თეორიას და, როგორც ვნახეთ, „ემსახურება“ მის შინაგან სისტემატიზაციას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მიზანი იქნება წინადადებისა და სკფ-ს ერთიან ლინგვოსემიოტიკურ სისტემაში გაერთიანება, განსხვავება ორ ხსენებულ ქვესისტემას შორის მაშინვე შეიძენს ახალ და ამ ერთიანი სისტემისთვის მნიშვნელოვან განზომილებას: ამ შემთხვევაში საჭირო იქნება იმის დადგენა, თუ რამდენად შეიძლება აისახოს ქვეტიპთა შორის განსხვავება ზმნათა შორის სემანტიკურ განსხვავებაში - რადგან, როგორც უკვე ვიცით, სწორედ ზმნა უნდა იყოს ჩვენთვის წინადადებისა და სკფ-ს ერთიან ლინგვოსემიოტიკურ სისტემაში მოქცევის ძირითადი საშუალება.

რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ მთლიანად და დეტალიზირებულად გადმოვცეთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის ის მოდელი, რომელიც ეკუთვნის ჩვენს მიერ არა ერთხელ ციტირებულ ავტორებს, რადგან ჩვენი კვლევის მიზანია არა ამ თეორიის დეტალიზაცია, არამედ მისი იმ ასპექტების გამოყოფა, რომელთა ლინგვოსემიოტიზაცია და წინადადების ლინგვოსემიოტიკურ ტიპოლოგიასთან დაკავშირება იქნება ჩვენი ძირითადი მიზანი, მაგრამ განსახილველი თეორია შეიცავს მომენტს, რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს ჩვენი ძირითადი მიზნის მიღწევის პროცესში – ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ „აღწერის“ ფარგლებში ავტორები გამოყოფენ არა მხოლოდ აღწერის სტატიკურ და დინამიკურ ვარიანტებს, არამედ ისეთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმასაც, რომელიც აღწერის" ხსენებული ქვეტიპებისგან განსხვავებით თავის დასახელებაში ანუ თავის ნომინაციურ სტრუქტურაში) არ შეიცავს ტერმინ „აღწერას“ – ესაა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „დახასიათება“, რომელსაც, რა თქმა უნდა, უკვე აღნიშნული ვითარების გამო უნდა დაეთმოს მთელი შემდეგი პარაგრაფი.

§6. „დახასიათება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა

წინა პარაგრაფის დასასრულს უკვე იქნა – რა თქმა უნდა, მხოლოდ მინიშნების სახით – ხაზგასმული ის განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც „დახასიათებას“ უკავია სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ჩვენს მიერ განსახილველ სისტემაში. ჩვენი აზრით, მართებული იქნება, თუ ხსენებულ „განსაკუთრებულ „სტატუსს“ განვმარტავთ როგორც **შინაგანად წინააღმდეგობრივს**. აქედან გამომდინარე, გვსურს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ ამ სკვ-ს განხილვა – და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა იძენდეს ყოველივე ის, რაც სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებს შეეხება, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენი საბოლოო და გადამწყვეტი თეორიული პოზიციის ადეკვატურობის საილუსტრაციოდ უნდა მივმართოთ ძირითადად ნარატიულ ტექსტობრივ მასალას, ნარატივის ფარგლებში კი, როგორც ვნახავთ, „დახასიათებას“ უკავია განსაკუთრებული სტატუსი. შესაბამისად, გვსურს მივუთითოთ იმ „შინაგანი წინააღმდეგობრიობის“ ძირითად მომენტებზე, რომელიც ზემოთ უკვე იყო ნახსენები ჩვენს მიერ. ეს მომენტებია:

ა) პირველი მომენტი უკვე იქნა ჩვენს მიერ ხაზგასმული: როგორც წინა პარაგრაფის დასასრულს ითქვა, „დახასიათება“ თავის დასახელებაში (ანუ თავის ნომინაციურ სტრუქტურაში) არ შეიცავს ტერმინ „აღწერას“ – მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა აზრით, ეს ფორმა წარმოადგენს „აღწერით ტექსტთა სპეციფიკურ ტიპს“. (ibid 1976: 85). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს შემდეგიც: სამეტყველო-კომპოზიციური ფორმებისათვის მიძღვნილ ნაშრომში ამ ფორმებით წარმოდგენილი მთელი ენობრივი სინამდვილე დაყოფილია, როგორც უკვე ვიცით, სამ ნაწილად (სამ ქვესისტემად), რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორების მიერ წარმოდგენილ სისტემაში, „დახასიათებამ“ ვერ უნდა დაიკავოს საკუთარი და დამოუკიდებელი ადგილი;

ბ) სწორედ, ზემოთ ხსენებულ შინაგან წინააღმდეგობრიობას ადასტურებს ავტორთა შემდეგი მსჯელობა: „ამ კომპოზიციურ ფორმას ბევრი რამ აქვს საერთო კომპოზიციურ ფორმა „აღწერასთან“ (ibid 1976: 85). ვფიქრობთ, ეს ციტატა განსაკუთრებული სიცხადით ავლენს „დახასიათებასთან“ დაკავშირებულ იმ სირთულეს, რომელსაც აწყდებიან ავტორები კომპოზიციურ ფორმათა სისტემატიზაციის პროცესში: ჩვენი აზრით, შეუძლებელია ვთქვათ, – როგორც ამავე ავტორები ამბობენ – რომ „ამ კომპოზიციურ ფორმას ბევრი რამ აქვს საერთო კომპოზიციურ ფორმა „აღწერასთან“ და ამავე დროს მივიჩნიოთ იგი „აღწერის“ ერთ-ერთ ქვეტიპად – თუნდაც „სპეციფიკურ ქვეტიპად“: ვფიქრობთ, იგივე წინააღმდეგობრიობა უნდა აღინიშნოს ავტორთა შემდეგ მსჯელობაში: „ისევე როგორც კომპოზიციურ ფორმა „აღწერას“, სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმა „დახასიათებას“ თავისი კონკრეტული შინაარსის სახით შეიძლება ჰქონდეს წარმოსახვა როგორც საგანთა, ადამიანთა და სივრცეთა, ისე მდგომარეობათა და პროცესთა (ibid 1976: 85-86);

გ) შინაგანი წინააღმდეგობრიობის ზემოთ ხაზგასმული მომენტები განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება მაშინ, როცა ავტორები ლაპარაკობენ „დახასიათებაზე“ იმ მიმართების თვალსაზრისით, რომლითაც ეს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა დაკავშირებულია სინამდვილესთან: „გადაამწყვეტი განსხვავება, რომელზე დაყრდნობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ კომპოზიციური ფორმის სპეციფიკურ ტიპზე, სახელდობრ კი „დახასიათებაზე“, მდგომარეობს შემდეგში: „დახასიათებისას საგნები და პროცესები არ წარმოადგენენ უშუალო დაკვირვების ობიექტებს - პირიქით, ამ საგანთა და პროცესთა დახასიათება მრავალჯერადი დაკვირვების შედეგთა გაანალიზებისა და რეზუმირების გზით

ხდება" (ibid 1976: 86). შემდეგ ციტატაში ხაზგასმულია სწორედ „დახასიათების“ თანმხლები ეს ნიშან-თვისება: „დახასიათებაში“ რეზუმირებულია საგანთა და პროცესთა ის არსებითი ნიშნები, რომლებიც გამოიყოფიან ამა თუ იმ ასპექტის მიხედვით და ხდება ხოლმე, რომ ამ შემთხვევაში ხშირად ვიღებთ განმაზოგადებელ „შეფასებებს“ (ibid 1976: 86).

საინტერესოა ისიც, თუ როგორ ასრულებენ ავტორები „დახასიათებაზე“ მიმართულ ამ მსჯელობას: „ზოგიერთ შემთხვევაში, ეს კომპოზიციური ფორმა შეიძლება განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი ერთეული“ (ibid 1976: 86). მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ გაუგებარი ხდება, თუ რატომ (ან როგორ) უნდა განვიხილოთ „დახასიათება“, ისე, როგორც ავტორები მას წარმოგვიდგენენ, ანუ როგორც „აღწერით ტექსტთა სპეციფიკურ ტიპს“:

ავტორები გამოყოფენ „დახასიათების“ სამ შინაარსობრივ ტიპს:

- 1) პირთა დახასიათება;
- 2) უსულო საგანთა დახასიათება;
- 3) პროცესთა და მდგომარეობათა დახასიათება“ (ibid 1976: 86).

ასევე დამახასიათებელია ავტორთა ზოგადთეორიული პოზიციისთვის რომ სეფ-ს „დახასიათებას“ ისინი მიიჩნევენ „გარდამავალ ფორმად კონკრეტულ-გრძნობითი აზროვნებიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე, ე.ი. მიიჩნევენ მას გრძნობითი შემეცნებიდან რაციონალურ შემეცნებაზე გადასვლის შუალედურ ფორმად, ხოლო ამავე დროს ფიქრობენ, რომ ამგვარ როლს „დახასიათება“ ასრულებს აბსტრაქციების როგორც აზროვნების ტიპის საშუალებით“ (ibid 1976: 89).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც უნდა გავიმეოროთ ის, რაც უკვე ითქვა „შეცვობინებისა“ და „აღწერის“ განხილვისას: მიუხედავად იმისა, რომ როგორც უკვე ვნახეთ, ავტორები არასისტემატურად, მაგრამ მაინც მიმართავენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ადრესანტი“, „ტექსტი“ და ა.შ., მათი მსჯელობა ძალიან შორსაა ლინგვოსემიოტიზმისაგან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებზე მსჯელობას არა აქვს რაიმე საერთო არა მხოლოდ ტექსტის ლინგვისტიკასთან, არამედ ზოგადად ლინგვისტიკასთანაც კი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ შემთხვევაში, საქმე უნდა გვეკონდეს არა ლოგიკურ, არამედ ენობრივ ერთეულებთან, და თანაც ისეთ ერთეულებთან, რომლებზეც უნდა ვმსჯელობდეთ ტექსტის ლინგვისტიკის კატეგორიულ სისტემაზე დაყრდნობით.

როგორც უკვე ითქვა, მთელი ჩვენი შემდგომი მსჯელობის ფარგლებში შევეცდებით გავიაზროთ ლინგვოსემიოტიკურად არა მხოლოდ „დახასიათება“, არამედ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა მთელი სისტემა. ამ ეტაპზე კი აუცილებლად მიგვაჩნია იმის ჩვენება, თუ როგორი ლოგიკური სქემის საშუალებით ახდენენ ავტორები „დახასიათების“ გრაფიკულ მოდელირებას.

„კომპოზიციური ფორმა „დახასიათება“

მისი ლოგიკური ინვარიანტი და ტექსტის თვისობრიობა

კომპოზიციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტი		ტექსტის თვისობრიობა
	შინაარსის აბსტრაქტული ტიპი	ძირითადი სტრუქტურული ელემენტები	
დახასიათება	საგანი პროცესი მდგომარეობა	აბსტრაქირება (ინდივიდუალურიდან ზოგადისკენ სვალა)	განზოგადოება

“

(ibid 1976: 91)

როგორც ვხედავთ, „დახასიათებაზე“ მსჯელობისას ავტორები მთლიანად იმეორებენ თავიდანვე გამომუდგენებულ და ჩვენი აზრით შინაგანად წინააღმდეგობრივ თეორიულ პოზიციას (თუმცა, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა გველაპარაკა ამგვარი პოზიციის უქონლობაზე): ისინი მსჯელობენ ენობრივ ერთეულებზე ლინგვისტიკის გარეშე და, რაც მთავარია, ტექსტის ლინგვისტურ თეორიაზე დაყრდნობის გარეშე. სწორედ ეს უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ ავტორები ლაპარაკობენ „დახასიათების“ ტექსტობრივ თვისობრიობაზე, თუმცა მსჯელობენ ამ თვისობრიობაზე, ტექსტის ლინგვისტიკის ისეთ ცენტრალურ კატეგორიაზე დაყრდნობის გარეშე, როგორიცაა კოჰეზიის კატეგორია.

შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, უფრო დეტალიზირებულად გადმოგვეცა არა მხოლოდ „დახასიათების“, არამედ ნებისმიერი სხვა სკფ-ს ნიშან-თვისებათა მთელი ის ერთობლიობა, რომელსაც ფართოდ განიხილავენ ავტორები, მაგრამ მათი თეორიის საკვანძო მომენტის განხილვა უკვე გვიჩვენებს შემდეგს: წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ერთიან ლინგვოსემიოტიკურ სისტემაში

მოქცევა შეუძლებელია მოხდეს იმ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რომელსაც გვთავაზობენ ავტორები. უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ ეს არის თანამედროვე ლინგვისტიკისგან ძალიან დაშორებული, მეორეს მხრივ კი ეკლექტიკური თეორია.

მაგრამ იმისთვის, რომ ერთის მხრივ გამოვიყენოთ ავტორების მიერ განხილული ენობრივი მასალა, მაგრამ მეორეს მხრივ კი მოვახდინოთ ამ მასალის თანმიმდევრული და ამავე დროს ლინგვოსემიოტიკური თეორიული გააზრება, აუცილებელია განვიხილოთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ის „წარმოდგენელიც“, რომელსაც ავტორები „მსჯელობას“ თუ „განმარტებას“ (Erörterung) უწოდებენ. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ არა მარტო ზოგადად და პრინციპულად შევაფასოთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა სისტემატიზაციის ავტორთა მიერ განხორციელებული მცდელობა, არამედ შევუდგეთ კიდევ ჩვენს მიერ არა ერთხელ დეკლარირებული თეორიული ამოცანის შესრულებას.

§7. სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „მსჯელობა (განმარტება)“

ავტორები შემდეგნაირად განმარტავენ ამ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას: „მსჯელობა (განმარტება) ისეთი კომპოზიციური ფორმაა, რომლის ფუნქციონალურ სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს მიზეზობრივ-შედეგობრივი მიმართება ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით“ (ibid 1976: 138), როგორც წინა შემთხვევებში, ამ შემთხვევაშიც ავტორები მიმართავენ არა ლინგვოსემიოტიკურ არგუმენტაციას, არამედ ლოგიკურ-შემეცნებით კრიტერიუმებს: „განმარტება (მსჯელობა) წარმოადგენს სინამდვილის ფაქტთა ისეთ აღქმას და გადმოცემას, როცა მთავარია მათი შინაგანი ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანპირობებულობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მთავარია აბსტრაქტული აზროვნება“ (ibid 1976: 138).

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც მოგვიხდება შეფერდეთ ამ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ძირითად ასპექტებზე და შესაბამისად, გამოვხატოთ კიდევ თეორიის, ავტორთა მიერ დაკავებული პოზიციის ჩვენი კრიტიკული შეფასება. მაგრამ სანამ გადავალთ „განმარტების“ განხილვის ამ საკუთრივ ანალიტიკურ ასპექტზე, უკვე შეგვიძლია, ალბათ, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ეს მოსაზრებები უნდა ატარებდნენ

ზემოთ ხსენებული თეორიული პოზიციის მიმართ დასმული კითხვების ფორმას (რითაც გვესურს ხაზი გავესვათ იმ გარემოებას, რომ საკუთრივ ჩვენს მიერ დაკავებული თეორიული პოზიცია უნდა წარმოადგენდეს ამ კითხვებზე გაცემულ პასუხთა ერთობლიობას). და როგორც ნათქვამიდან გამომდინარეობს, უნდა ვიგულისხმოთ ის საწყისი კითხვები, რომლებთან მიმართებაში შემდგომ დასმულ კითხვებს მიეცემა უკვე აზრობრივად მეორადი მნიშვნელობა. ეს კითხვებია:

1. როგორც უკვე ვიცით, ავტორები შემდგენაირად განმარტავენ ამ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას: „მსჯელობა (განმარტება)" ისეთი კომპოზიციური ფორმაა, რომლის ფუძემდებელ სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს მიზეზობრივ-შედევობრივი მიმართება ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით." ისმის კითხვა: უნდა მივიღოთ თუ არა ის მოსაზრება, რომლის მიხედვით მიზეზ-შედევობრივი მიმართება წარმოადგენს „განმარტების" ერთადერთ „ფუძემდებელ სტრუქტურულ ელემენტს"? თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ნებისმიერი მსჯელობისა თუ განმარტების შემთხვევაში საქმე უნდა გვექნოდეს როგორც მიზეზთან, ისე შედეგთან, ანუ ისეთ სიტუაციასთან, რომლის ფარგლებში სიტუაციის ერთი ელემენტი წარმოშობილია მეორე ელემენტის მიერ, და შესაბამისად, უკავია მის მიმართ დაქვემდებარებული ადგილი. ჩვენი ეს კითხვა, რა თქმა უნდა, ისმის იმავე ზოგადლოგიკური ფორმით, რომლითაც მიმდინარეობს ციტირებულ ავტორთა მთელი თეორიული მსჯელობა – თუმცა, აქვე უნდა ითქვას: რაც არ უნდა თავისთავად მნიშვნელოვანი იყოს ეს ზოგადლოგიკური ფორმა, ჩვენთვის მაინც გადამწყვეტი უნდა იყოს, როგორც უკვე ვიცით, პრობლემის ლინგვოსემიოტიკური ასპექტი. აქედან გამომდინარე კი ზემოთ დასმული კითხვა უნდა ტრანსფორმირდეს შემდგენაირად: ნიშნავს თუ არა მოცემული სკფ-ს ზემოთ ფორმულირებული განსაზღვრა იმას, რომ „განმარტების" საკუთრივ ენობრივი სტრუქტურა უნდა შეიცავდეს ერთის მხრივ, მიზეზის, მეორეს მხრივ კი შედეგის ამა თუ იმ ფორმით ნომინაციას? მართალია, ავტორები ლაპარაკობენ „მიზეზ-შედევობრივ მიმართებაზე სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით, მაგრამ, ჩვენი აზრით, მიზეზ-შედევობრივი მიმართება შეინარჩუნებს თავის ლოგიკურ არსს ნებისმიერ შემთხვევაში, ანუ რა სიფართოვითაც არ უნდა იქნას ის გაგებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მიერ დასმული კითხვა მთლიანად ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას;

2. ეფუძნებიან რა „განმარტების" ზემოთ ციტირებულ თავისსავე განსაზღვრას, ავტორები ამბობენ: „შესაბამისად, „განმარტება" წარმოადგენს სინამდვი-

ლისეულ ფაქტთა გადმოცემას, მათი შინაგანი ურთიერთკავშირის, ურთიერთზემოქმედების, ურთიერთგანპირობებულობის თვალსაზრისით. იგი (იგულისხმება „განმარტება“ – ლ.ო) წარმოადგენს აბსტრაქტული აზროვნების ფორმას, ხოლო კონკრეტულ-გრძნობით აზროვნებას კი, ამ შემთხვევაში, აქვს მეორადი მნიშვნელობა" (ibid 1976: 138). როგორც წინა შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც, ჩვენს მიერ დასმულ კითხვას ექნება ორი ფორმა – ზოგადლოგიკური და ლინგვოსემიოტიკური. პირველი, ანუ ზოგადლოგიკური თვალსაზრისით გვსურს ვიკითხოთ: თუ, როგორც ავტორებს მიაჩნიათ, „განმარტების“ შემთხვევაში საქმე გვაქვს „ძირითადად აბსტრაქტულ აზროვნებასთან", ხომ არ უნდა ნიშნავდეს ეს იმას, რომ აბსტრაქტული აზროვნება, როგორც წესი, იკვლევს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს და სწორედ ამგვარი მიმართებები წარმოადგენენ მის ობიექტს? მეორე, ანუ ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით კი კითხვამ, ალბათ, უნდა მიიღოს შემდეგი სახე: უნდა მივიჩნიოთ თუ არა, რომ ამ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ენობრივი სტრუქტურა უნდა შედგებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ან ძირითადად – აბსტრაქტული შინაარსის მქონე ნომინაციური ერთეულებისგან?;

3) ჩვენი მესამე კითხვა უკავშირდება ავტორთა შემდეგ გამონათქვამს: „ის ფაქტები, რომლებიც გამოიხატებიან კომპოზიციური ფორმა „განმარტებით", არ წარმოადგენენ არც განცდას და არც საგანზე ან პროცესზე დაკვირვებას – ისინი წარმოადგენენ იმ განმაზოგადებელ გამონათქვამებს, რომლებიც ეფუძნებიან განცდილი ფაქტების და დაკვირვების ობიექტებად ქცეულ საგანთა თუ პროცესთა შემეცნებას. ეს განმაზოგადებელი გამონათქვამები, რომლებიც ასახავენ სინამდვილის სხვადასხვა ასპექტებთან ჩვენს დამოკიდებულებას, წარმოადგენენ ამავე დროს სინამდვილის მიმართ დასმულ კითხვებს და, შესაბამისად, ასახავენ ჩვენი ცოდნის ფარგლებში არსებულ ხარვეზებს ანუ „პრობლემებს" (ibid 1976: 138-139).

სწორედ აქედან გამომდინარე, ავტორები დაასკვნიან: „სწორედ პრობლემა წარმოადგენს „განმარტების" აბსტრაქტულ შინაარსობრივ ტიპს" (ibid 1976: 138-139). ავტორთა აზრით, „პრობლემები შეიძლება არსებობდნენ სინამდვილის ყველა სფეროსთან მიმართებაში" (ibid 1976: 139). აქედან გამომდინარე, ისინი ასახელებენ კიდევ ამ თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავებულ პრობლემებს. ჩვენ არ გავიმეორებთ ამ დასახელებათა ერთობლიობას, თუმცა აღვნიშნავთ, რომ მთელი ეს ერთობლიობა მათი აზრით იყოფა ორ შემდეგ ძირითად კატეგორიად – „1. საზოგადოებრივი პრობლემები და 2. ცალკეულ ადამიანთა

ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემები" (ibid 1976: 139). სწორედ ეს განაპირობებს მათი აზრით, იმ განსხვავებულ მიზეზობრივ მიმართებათა არსებობის ფაქტს, რომლებიც დამახასიათებელი არიან „განმარტების“ სტრუქტურისთვის და წარმოადგენენ ამ კომპოზიციური ფორმის ლოგიკური ინვარიანტის საფუძველს.

სანამ დავაფიქსირებდეთ „განმარტების“ იმ გრაფიკულ მოდელს, რომელსაც გვთავაზობენ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის ავტორები, შევჩერდეთ განსახილველი კომპოზიციური ფორმის იმ სტრუქტურულ ასპექტებზე, რომლებსაც ავტორები „განმარტების“ კრიტერიუმებს უწოდებენ: საქმე გვაქვს, მათი აზრით, ორ შემდეგ კრიტერიუმთან:

1. როგორც წესი, „განმარტებისას“ ამოსავალ ასპექტს წარმოადგენს ესა თუ ის განმაზოგადოებელი მტკიცება, ანუ ესა თუ ის თეზისი... აზრთა განვითარება ამ შემთხვევაში ხდება ჩვეულებრივ ერთი აზრიდან მეორის გამოყვანის გზით. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთ სტრუქტურულ ელემენტთან, როგორიცაა **მიზეზობრივი მიმართებები**, ანუ **მიზეზობრიობა**;

2. ხშირად ხდება ხოლმე, რომ აზრთა გამოყვანა ფუძემდებელი აზრისგან ვრცელდება საფეხურებრივად. ამის შედეგი არის ხოლმე ის, რომ ადგილი აქვს გამონათქვამთა დანაწევრებას: ვიღებთ უფრო მაღალი და უფრო დაბალი საფეხურის ნაწილობრივ აზრებს. ამ გზით ხდება ფუძემდებელი აზრის ახსნა, დასაბუთება, დადასტურება ან უარყოფა, ანდა კეთდება ხოლმე დასკვნები. სტრუქტურულ ელემენტს, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ფუძემდებელ აზრთან **იერარქიული მიმართება**" (ibid 1976: 143).

ავტორები ორივე ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ აგრეთვე ტექსტის შესაბამის თვისობრიობაზეც. მათი აზრით, სტრუქტურული ელემენტი-მიზეზობრიობა ბადებს ტექსტის ისეთ თვისობრიობას, როგორიცაა წინადადებათა და ტექსტის სხვა ნაწილთა **ლოგიკური თანმიმდევრობა**. მეორე შემთხვევაში კი იერარქიულობა ბადებს ტექსტის ისეთ თვისობრიობას, როგორიცაა წინადადებათა და ტექსტობრივ სეგმენტთა **ფენებად დაყოფა**.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე ავტორები იძლევიან „განმარტების“ შემდეგ გრაფიკულ მოდელს:

„კომპოზიციური ფორმა „განმარტება“

მისი ლოგიკური ინვარიანტი და ტექსტის თვისობრიობა

კომპოზიციური ფორმა	ლოგიკური ინვარიანტი		ტექსტის თვისობრიობა
	შინაარსის აბსტრაქტული ტიპი	ძირითადი სტრუქტურული ელემენტები	
განმარტება	პრობლემა	1. მიზეზობრივი მიმართებები 2. ფუძემდებელ აზრთან იერარქიული მიმართებულება	ლოგიკური თანმიმდევრობა ფენებად დაყოფა

(ibid 1976: 144)

სანამ მივუთითებდეთ „განმარტების“ იმ ოთხ სახეობაზე, რომლებსაც გამოყოფენ ავტორები, გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება „განმარტების“ ზემოთ გამოყოფილი ორი კრიტერიუმის მიმართ. ამ დამოკიდებულების საფუძველს კვლავაც წარმოადგენს ის გარემოება, რომ ავტორები ან საერთოდ არ ლაპარაკობენ განსახილველი სამეცნიერო-კომპოზიციური ფორმის ენობრივ და ტექსტობრივ (ანუ ლინგვოსემიოტიკურად გააზრებულ) ასპექტებზე, ან ეკლექტიკურად ურევენ ერთმანეთში სეფ-ს ზოგადლოგიკურ და საკუთრივ ლინგვისტურ ასპექტებს. მოცემულ შემთხვევაში რატომ უნდა მივიჩნიოთ „მიზეზობრიობა“ და ფუძემდებელ აზრთან იერარქიული მიმართება სეფ-ს ლოგიკურ, ხოლო წინადადებათა ლოგიკური თანმიმდევრობა და წინადადებათა „ფენებად დაყოფა“ – ტექსტობრივ თვისობრიობად? ჩვენი აზრით, ტექსტობრივ თვისობრიობაზე „ლაპარაკი გამართლებული იქნებოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ ამ თვისობრიობაზე ვილაპარაკებდით ლინგვოსემიოტიკის, კერძოდ კი ტექსტის თეორიის ლინგვოსემიოტიკური ენით. იქნება შთაბეჭდილება, რომ ერთის მხრივ, ავტორებს ზოგადად და პრინციპულად არ სურთ დაეფუძნონ სამეცნიერო კომპოზიციურ ფორმათა კლასიფიკაციის ლინგვოსემიოტიკურ კრიტერიუმებს, მეორეს მხრივ კი ყველა იმ შემთხვევაში, როცა უხდებათ კომპოზიციურ ფორმებზე როგორც ტექსტობრივ ფაქტებზე მსჯელობა, იყენებენ ისევ და ისევ ზოგადლოგიკურ კრიტერიუმებს.

მეორე თავის დასკვნები

1. როგორც დაგვანახა მოცემული თავის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ, არსებობს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა კონცეფციის ანალიზისა და კრიტიკული შეფასების მხოლოდ ერთი საშუალება: როგორც ხსენებულ ფორმათა კონცეპტუალური შინაარსი, ისე მათი განხილვის ანალიტიკური მეთოდика უნდა დაეფუძნოს ამ კომპოზიციურ ფორმათა იმ არსებულ თეორიას, რომელსაც ერთის მხრივ აქვს იმის პრეტენზია, რომ ატარებდეს ტექსტოცენტრისტულ ხასიათს, მაგრამ რეალურად არანაირად არ უკავშირდება ტექსტის ლინგვისტიკის მიერ შემუშავებულ კონცეპტუალურ სისტემას და ანალიზის მეთოდიკას;

2. იქიდან გამომდინარე, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებს ვიკვლევთ წინადადების პრობლემასთან უშუალო კავშირში, აუცილებლად მიგვაჩნია ამ კვლევის პროცესში დავეყრდნოთ იმ ფაქტსაც, რომ ხსენებულ ენობრივ ერთეულთა კვლევის სფერო ხასიათდება – რა თქმა უნდა, წინადადებისა და კომპოზიციურ ფორმათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით – როგორც გარკვეული ასიმეტრიულობით, ისე სიმეტრიულობით:

ა) **ისტორიულად განპირობებულ ასიმეტრიულობაზე** მიუთითებს ის ფაქტი, რომ წინადადების კვლევას აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, კომპოზიციურ ფორმათა კვლევა კი ხდება მხოლოდ თანამედროვეობის ფარგლებში;

ბ) **თეორიულად განპირობებული ასიმეტრიულობა** კი მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში წინადადების კვლევა ხდება ლინგვოსემიოტიკურად, ანუ სისტემური ლინგვისტიკის ცნებით აპარატზე დაყრდნობით – სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა კვლევა კი ხდება მხოლოდ კოგნიტიური თვალსაზრისით და მათზე ჯერ არ გავრცელებულა კვლევის ლინგვოსემიოტიკური ცნებითი აპარატი;

გ) მაგრამ, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ასიმეტრიულობისა, აღსანიშნავია შემდეგი წმინდა ფორმალური ხასიათის **სიმეტრიულობა**: არსებობს როგორც წინადადებათა ტიპოლოგია და იგი ატარებს ლინგვოსემიოტიკურ ხასიათს, ასევე არსებობს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიზაცია, თუმცა იგი არ ატარებს ლინგვოსემიოტიკურ ხასიათს;

3. ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, მეორე თავში ჩატარებული კვლევის მიზანია იმ მიზნის დასახვა, რომელიც გულისხმობს წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა კვლევაში ა) ხსენებული ასიმეტრიულობის

გადალახვას და ბ) იმგვარი სიმეტრიულობის შექმნას, რომელიც როგორც წინადადებას, ისე კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიზაციას საფუძვლად დაუდებდა ერთიან ლინგვოსემიოტიკურ თვალსაზრისს და ტექსტოცენტრისტულ თვალსაზრისსაც;

4. როგორც სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თანამედროვე თეორიის კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, ამ ენობრივ ერთეულებისადმი კოგნიტიური მიდგომაც ვერ არის ბოლომდე თანმიმდევრული: ამ მიდგომის კონცეპტუალურ სტრუქტურაში თითქოსდა „შემოჭრილია“ ლინგვისტური მიდგომის ისეთი ცალკეული ელემენტები, რომლებიც სისტემურად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. შესაბამისად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა განხორციელებულიყო კოგნიტიური მეთოდის ისეთი „ლინგვოსემიოტიზაცია“, რომელიც გადალახავდა ცნებათა ამგვარი არასისტემატიზირებული გამოყენების ფაქტებს;

5. მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიციურ ფორმათა არსებული თეორია არ არის ინტეგრირებული თანამედროვე ლინგვისტურ კონტექსტში, მაინც უნდა აღინიშნოს ის პოზიტიური ასპექტიც, რომელიც თან ახლავს ამ თეორიას: ამგვარ პოზიტივად მიგვაჩნია ის ფართო კოგნიტიური კონტექსტი, რომელიც თან ახლავს კომპოზიციურ ფორმათა კვლევას ამ თეორიის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, შემდგომი კვლევის მიზანი შეიძლება ითქვას არის ამ კოგნიტიურ კონტექსტსა და საკუთრივ ლინგვისტურ კონტექსტს შორის კონცეპტუალური „ხიდის“ გადება, ანუ მათი სინთეზირება;

6. სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორიის როგორც ზოგადმა, ისე კონკრეტულ ფორმებთან დაკავშირებულმა კრიტიკულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ არსებობს წინადადებისა და კომპოზიციურ ფორმათა დამაკავშირებელი ის ენობრივი ელემენტი, რომლის დასახელება და რომლის სტატუსის კონცეპტუალური გააზრება წარმოადგენს შემდგომი კვლევის მიზანს. მეორე თავში ჩატარებული კვლევის ერთ-ერთ შედეგად მიჩნეულია ის ვარაუდი (ჰიპოთეზა), რომ ამგვარ ენობრივ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს **ზმნა**.

თაშო III
ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურა და წინადადების
სტრუქტურის კონსტრუქციული ანალიზი

§1. სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია და ტექსტის ლინგვისტური თეორია: სამეტყველო-კომპოზიციური ფორმისა და ტექსტის ცნებათა ურთიერთმიმართების პრობლემა

დავრწმუნდით, ალბათ, რომ კომპოზიციურ ფორმათა და წინადადების ურთიერთმიმართება თანამედროვე ლინგვისტიკაში ხასიათდება დიდი შინაგანი წინააღმდეგობრიობით: ერთის მხრივ, შეუძლებელია არ ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ ეს მიმართება ემპირიულად არსებობს, მეორეს მხრივ კი ასევე შეუძლებელია არ ვაღიაროთ ის ფაქტიც, რომ ემპირიულად არსებული ეს ფაქტი ჯერ-ჯერობით აბსოლუტურად არ არის თეორიულად გააზრებული. რა თქმა უნდა, თანამედროვე ლინგვისტიკაში და პირველ რიგში კი ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში ლაპარაკობენ წინადადებასა და ტექსტს შორის მიმართებაზე, განიხილავენ რა ტექსტს ენობრივი სისტემის უმაღლესი დონის ერთეულად, წინადადებას კი - მის ინტეგრანტად.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ეჭვს იწვევდეს ის ფაქტი, რომ წინადადება მართლაც არის ტექსტის ინტეგრანტი, მით უმეტეს, რომ როგორც ცნობილია, ტექსტი როგორც ენობრივი ერთეული ხშირად განისაზღვრება ხოლმე როგორც „თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, ერთობლიობა ან ჯაჭვი“.

რა თქმა უნდა, წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართება უნდა მივიჩნიოთ მრავალასპექტოვან პრობლემად და ჩვენ, ალბათ, დავრწმუნდით ამაში წინა თავებში ჩატარებული კვლევის შედეგად. მაგრამ ის, რაც ითქვა ზემოთ, ანუ მოცემული პარაგრაფის დასაწყისში, საშუალებას გვაძლევს, ჩვენი აზრით, მთელი ამ მრავალასპექტოვანი პრობლემატიკიდან გამოვეყოთ მისი ძირითადი ასპექტი, ანუ ის ცენტრალური და ფუძემდებელი პრობლემა, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი ამოცანა. ვფიქრობთ, ეს ცენტრალური პრობლემა უკვე საკმარისად გამოიკვეთა ჩვენს მიერ აქამდე განხორციელებული კვლევის შედეგად, მაგრამ ჩვენ მას კიდევ ერთხელ დავსვამთ ექსპლიციტური სახით და ამით დავუდებთ კიდევ საფუძველს ჩვენი ნაშრომის დამასრულებელ თავში გან-

სახორციელებელ კვლევას. შესაბამისად მოვახდინოთ ჯერ ხსენებული პრობლემის ფორმულირება, შემდეგ კი კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ამოცანათა ერთობლიობასაც, რომელთა დასახვა და შესრულება აუცილებლად მიგვაჩნია ხსენებული პრობლემის გადაჭრისთვის.

ჩვენი აზრით, ხსენებული ცენტრალური პრობლემა მნიშვნელოვანია ერთდროულად ისეთი სამი ენობრივი ერთეულისთვის, როგორცაა **წინადადება, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა და ტექსტი**, და მიგვაჩნია, რომ ჩვენი ეს აზრი ნათლად დადასტურდება უკვე მისი ამ (პრობლემის) ფორმულირებით: თანამედროვე ტექსტის თეორიის ის თეზისი, რომ წინადადება წარმოადგენს ტექსტის ინტეგრანტს და შესაბამისად, ტექსტი უნდა გაგებულ იქნას როგორც წინადადებათა ერთობლიობა, ვერ ჩაითვლება თეორიული თვალსაზრისით დადასტურებულად და დასაბუთებულად მანამ, სანამ ექსპლიციტური სახით არ იქნება განსაზღვრული მიმართება წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის, რადგან თვით ამგვარ ფორმათა არსებობა გვაფიქრებინებს: წინადადება უნდა მივიჩნიოთ არა ტექსტის (ამ ტერმინის დღეისთვის მიღებული გაგებით), არამედ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის უშუალო ინტეგრანტად. ამის საპასუხოდ შეიძლება გვითხრან: განა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები თავად არ წარმოადგენენ ტექსტობრივ ერთეულებს? და თუ წინადადებას განვიხილავთ მათ უშუალო ინტეგრანტად, განა ეს უკვე არ ნიშნავს იმას, რომ ამით კიდევ ერთხელ დადასტურდება ტექსტის ლინგვისტიკის ზემოთ ხსენებული თეზისი, ის რომ წინადადება არის ტექსტის ინტეგრანტი?

მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ჩვენთვის მიუღებელია სწორედ ეს კონტრარგუმენტი შემდეგი მიზეზის გამო: სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია არსებობს, ფუნქციონირებს და ვითარდება ტექსტის ლინგვისტიკისგან დამოუკიდებლად, ეს დამოუკიდებლობა აისახება უკვე შემდეგ ფაქტში: როგორც დავრწმუნდით, კომპოზიციურ ფორმათა როგორც ფუნქციური, ისე სტრუქტურული განხილვისას არ გამოიყენება ტექსტის თანამედროვე ლინგვისტური თეორიის მიერ შემუშავებული პრინციპები, კატეგორიები და ზოგადად მთელი ის ცნებითი აპარატი, რომელიც შემუშავებული აქვს ტექსტის ლინგვისტიკას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე თავში ჩატარებულმა კვლევამ დაგვარწმუნა არა მხოლოდ იმაში, რომ, როგორც ითქვა, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები, როგორც წესი, განიხილებიან ტექსტის ლინგვისტიკასთან კავშირის გარეშე, არამედ დაგვარწმუნა შემდეგშიც: თუ მათი (კომპოზიციური ფორმების)

განხილვა მოხდება ისე და მხოლოდ ისე, როგორც ეს ჯერ კიდევ დღეისთვის ხდება, ანუ მხოლოდ ზოგადლოგიკურ და ზოგადშემეცნებით დონეზე, მაშინ ტექსტის ლინგვისტიკის მიერ შემუშავებული პრინციპებისა და კატეგორიების გამოყენება არც უნდა იყოს აუცილებელი. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, სწორედ ფაქტობრივი სიტუაციის ამგვარი ხედვა ხდება თეორიულად მიუღებელი: თუ კომპოზიციურ ფორმებს მივიჩნევთ ენობრივ ფორმებად და, თუ მათ განვიხილავთ როგორც **მეტყველებისთვის** ანუ დისკურსისთვის დამახასიათებელ მოვლენად (სხვანაირად შეუძლებელიც იქნებოდა გველაპარაკა "**სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებზე**") შეუძლებელი და მიუღებელი უნდა იყოს არ გავიაზროთ ისინი თანამედროვე ლინგვისტიკაზე და ტექსტის ლინგვისტურ თეორიაზე დაყრდნობით.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ნათქვამით გამოიხატა – რა თქმა უნდა, ძალიან ზოგადი სახით – ის კვლევითი მიზანი, რომლის მიღწევას მთელი თავისი სტრუქტურითა და შინაარსით უნდა მიეძღვნას ჩვენი ნაშრომის მესამე და ამავე დროს დამასრულებელი თავი და, ბუნებრივია, თავიდანვე ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რა **გზით** უნდა იქნას მიღწეული ხსენებული მიზანი, ანუ როგორი უნდა იყოს წინა თავებში განხორციელებული მსჯელობის შემდეგ იმ მიმართების დადგენის **მეთოდოლოგია**, რომლის არსს საბოლოოდ დაადგენს და გამოავლენს წინამდებარე მესამე თავი?

სანამ დასმულ კითხვაზე გავცემდეთ ისეთ პასუხს, რომელიც გამართლებული იქნება როგორც ჩვენს მიერ დასმული პრობლემის მთელი შინაგანი თავისებურებით, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისთვის დამახასიათებელი, ანუ **ზოგადლინგვისტური** მეთოდოლოგიით, საჭიროდ მიგვაჩნია რეტროსპექტულად „შევაგლოთ თვალი“ ჩვენს მიერ განვლილ კვლევით გზას, ანუ მესამე თავით ნაგულისხმევი პრობლემატიკის თვალსაზრისით განვსაზღვროთ განვლილი გზის ეტაპობრივი სტრუქტურა. მიგვაჩნია, რომ ამგვარ რეტროსპექციას მნიშვნელობა ექნება მოცემული თავის იმ მეთოდოლოგიური სტრუქტურის განსაზღვრისათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ზემოთ კიდევ ერთხელ ფორმულირებული პრობლემის ადეკვატური გზით გადაჭრა.

ზემოთ ფორმულირებული რეტროსპექციული ამოცანა გულისხმობს პირველ რიგში იმ მიმართების დადგენას, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა აკავშირებდეს ერთმანეთთან ერთის მხრივ, ნაშრომის შესავალსა და მის მომდევნო პირველ და მეორე თავებს, მეორეს მხრივ კი ნაშრომის დასახელებულ მონაკვე-

თებსა და დამასრულებელ მესამე თავს. არ იქნება, ალბათ, ძნელი იმის ერთმნიშვნელოვნად თქმა, თუ როგორ უნდა განისაზღვროს მიმართება ნაშრომის შესავალსა და მოცემულ, ანუ მესამე თავს შორის: მესამე თავმა უნდა გადაჭრას ის პრობლემა, რომელიც დაისმა შესავალში. ეს, რა თქმა უნდა, სწორედ ის მიმართებაა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ასახავს ჩვენი კვლევის შინაგან სპეციფიკას იქიდან გამომდინარე, რომ, ალბათ, ასეთი უნდა იყოს ზოგადად მიმართება ნებისმიერი ნაშრომის შესავალსა და დამასრულებელ თავს შორის. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ჩვენს მიერ განვლილი გზის მთელი სპეციფიკა, ანუ ის შინაარსობრივი სტრუქტურა, რომელიც ავლენს, ერთის მხრივ, ჩვენს მიერ დასმული პრობლემის აქტუალურობას, მეორეს მხრივ კი ამ პრობლემასთან დაკავშირებულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ სირთულეს, უნდა დანახულ იქნას წინათავების (გულისხმობთ პირველ და მეორე თავს) ურთიერთშეფარდებაში. ამიტომ, თუ გვსურს ბოლომდე და ადეკვატურად განვსაზღვროთ ის, რასაც მესამე თავის **მეთოდოლოგიური სტრუქტურა** ვუწოდეთ, განვსაზღვროთ ნაშრომის ხსენებულ თავთა შინაარსობრივ-ლოგიკური ურთიერთმიმართება.

ვფიქრობთ, ეს ურთიერთმიმართება უნდა განისაზღვროს ერთდროულად ორ მომენტზე დაყრდნობით: ა) პირველი მომენტის მიხედვით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის პირველი და მეორე თავი შინაარსობრივად მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს: პირველი თავი მთლიანად მიექდვნა **წინადადებას** – მის ფუნქციურ არსს, მის სტრუქტურასა და როგორც ამ არსთან, ასევე სტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას; მეორე თავი კი პირველის საპირისპიროდ მთლიანად მიექდვნა **სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას** – ბუნებრივია, ფუნქციური არსის, სტრუქტურისა და შესაბამისი პრობლემატიკის განხილვით;

ბ) ზემოთ ხსენებული მეორე მომენტის მიხედვით კი შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ გადასაჭრელი პრობლემის თვალსაზრისით და ამავე დროს წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით ეს ორი თავი **იდენტურნი** არიან. და რას გულისხმობს ეს იდენტურობა? იმას, რომ ამ ორ თავში ერთი მეორისგან დამოუკიდებლად განხილულია იმ **სინთეზური მთლიანის** ორი სტრუქტურული ასპექტი, რომლის არსებობასაც გულისხმობს ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზა და რომლის შინაგანად ერთიანი სტრუქტურა უნდა იქნას ჩვენს მიერ დადგენილი. ხსენებული „**სინთეზური მთლიანი**“ – ეს არის სწორედ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ის ფუნქციურ-სტრუქტურული განუყოფლობა, რომელიც

უნდა გამოვლინდეს და დადგინდეს ჩვენი კვლევით. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ასეთია ჩვენი ამოსავალი ჰიპოთეზა, წინადადება და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა განვიხილეთ ერთი მეორისგან რამდენადმე მოწყვეტით, ანუ იმ სახით, რომლითაც ეს ორი ენობრივი ერთეული დღეისთვის არსებობს და ფუნქციონირებს თანამედროვე ლინგვისტიკაში – ფუნქციონირებს ისე, რომ არ იხმის – ყოველ შემთხვევაში ექსპლიციტურად, კითხვა მათი ურთიერთმიმართების თაობაზე. რას უნდა ნიშნავდეს ჩვენს მიერ განვლილი გზის ამგვარი სტრუქტურა, თუ ნაშრომის შესავალში სწორედ ექსპლიციტურად იქნა ფორმულირებული ზემოთ დასახელებული ჰიპოთეზა?

მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა ატარებდეს ზოგადლოგიკურ შინაარსს და ამავე დროს ისეთ შინაარსს, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა უნდა იქონიოს მოცემული თავის მეთოდოლოგიურ სტრუქტურაზე. თვით ეს პასუხი კი უნდა ქდერდეს შემდეგნაირად: ჩვენს მიერ როგორც განვლილი ისე გასავლელი გზა, მის მთლიანობაში ზოგადლოგიკური თვალსაზრისით, შინაარსობრივად ემთხვევა იმ სახის მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ სტრუქტურას, რომელიც იწყება ისეთი ჰიპოთეზის წამოყენებით, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ სახის ფუნქციური სტრუქტურული მთლიანის არსებობას, რომელსაც ვერ ხედავს არსებული მეცნიერული კვლევა. შესაბამისად, კვლევის დასაწყისში ხდება – ზუსტად ისე, როგორც ეს მოხდა ჩვენს შესავალში – იმ ჰიპოთეტური მთლიანის ფორმულირება, რომლის არსებობა უნდა იქნას დასაბუთებულად ნაჩვენები კვლევის დამასრულებელ ეტაპზე. ამგვარი ჰიპოთეზის ფორმულირების შემდეგ კი ჰიპოთეზით ნაგულისხმევი მთლიანი ისევე „შლება“ შემადგენელ „ნაწილებად“ და განიხილება ერთი მეორისგან იზოლირებულად – ერთი შეხედვით ზუსტად ისე, როგორც ეს ხდება არსებულ კვლევაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, დასაწყისში ნაგულისხმევი სინთეზს მოსდევს ანალიზი - ის ანალიზი, რომელმაც კვლევის დამასრულებელ ეტაპზე კვლავ ადგილი უნდა დაუთმოს სინთეზს, მაგრამ უკვე არა ჰიპოთეტურს, არამედ უკვე დასაბუთებულსა და კონცეპტუალური სახით დემონსტრირებულს.

თუმცა ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამი უნდა „შეივსოს“ შემდეგი მომენტის ხაზგასმით: ნაშრომის პირველ და, შესაბამისად, მეორე თავში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გაანალიზებული იყო ჯერ წინადადებასთან, შემდეგ კი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმასთან დაკავშირებული პრობლემატიკა; და ამ გაგებით, როგორც ზემოთ ითქვა, მართლაც საქმე გვექონ-

და „შესავალში“ ფორმულირებული ჰიპოთეტური მთლიანის ანალიტიკურად განხილვასთან, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველ ასეთ განხილვას თან ახლდა კომენტარი, რომლის ფარგლებში ლინგვოსემიოტიკურ და კომუნიკაციურ-ლინგვისტურ თვალსაზრისზე დაყრდნობით ვამტკიცებდით წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის შინაგანი განუყოფლობის თეორიულ აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მესამე დამასრელებელ თავში მთლიანად უნდა იქნას გასაგები ის არგუმენტაცია, რომელიც კრიტიკული შენიშვნების სახით ფიგურირებდა წინა თავებში და რომლის მიზანი იყო ორი, დღემდე ცალკე არსებული თეორიის ერთ სინთეზურ თეორიის ფარგლებში მოქცევა და როგორი უნდა იყოს მოცემული თავის კვლევითი სტრუქტურა, ანუ რომელ თანმიმდევრულ ეტაპებს უნდა გულისხმობდეს ეს კვლევა, თუ გათვალისწინებული იქნება ზემოთ განვითარებული მთელი ჩვენი მსჯელობა? პირველ რიგში, ჩვენი აზრით, ჩვენი მიზანი უნდა იყოს იმის განხილვა და დადგენა, თუ როგორ არის – ან როგორ უნდა იყოს – ფორმულირებული ტექსტის თანამედროვე ლინგვისტური თეორია და, შესაბამისად, როგორ უნდა განისაზღვროს ამ თეორიის ერთის მხრივ, ლინგვოსემიოტიკური, მეორეს მხრივ კი ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური საფუძვლები. არ უნდა დაგვავიწყდეს ორი შემდეგი ფაქტი: ერთის მხრივ, საყოველთაოდ აღიარებულია წინადადების როგორც ტექსტის ინტეგრანტის სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ენობრივი სისტემის უმაღლესი დონის ერთეულად მიჩნეულია უკვე არა როგორც წინადადება, არამედ ტექსტი; მეორეს მხრივ კი როგორც ლინგვოსემიოტიკური, ისე ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური თვალსაზრისით, თანამედროვე ლინგვისტიკის მთელი პარადიგმული კონტექსტიდან მოწყვეტილად (რომ არა ვთქვათ „ამოგდებულად“) ფუნქციონირებს სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თეორია. „კონტექსტიდან მოწყვეტილობა“ კი გამოიხატება შემდეგით: კომპოზიციური ფორმები სახელდებიან როგორც ენობრივი ერთეულები და უფრო მეტიც – მათი განხილვა ფორმალურად ხდება ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში – მაგრამ სწორედ ტექსტის ლინგვისტიკასთან ყოველგვარი ექსპლიციტურად ფორმულირებული კონცეპტუალური კავშირის გარეშე. ეს კონცეპტუალური კავშირი კი იმ შემთხვევაში, თუ იგი ბოლომდე იქნება ექსპლიციტირებული, უნდა გულისხმობდეს – და თანაც პირველ რიგში, იმ მიმართების დადგენას, რომელიც არსებობს წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის, რადგან, როგორც უკვე ითქვა,

საყოველთაოდ აღიარებულია წინადადების როგორც ტექსტის ინტეგრანტის სტატუსი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულმა, ანუ მესამე თავმა შინაარსობრივად უნდა გააერთიანოს თავის თავში კვლევითი ლოგიკის შემდეგი ორი მომენტი: ა) ის მომენტი, რომელიც თავიდანვე საფუძვლად დაედო მთელს ჩვენს კვლევას და რომელიც გულისხმობს ტექსტოცენტრიზმზე დაყრდნობით უნდა გამოვლინდეს და დადგინდეს წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართება; ბ) და მეორე მომენტი, რომელიც გამომდინარეობს ჩვენს მიერ განხორციელებული მსჯელობის ლოგიკური სტრუქტურიდან: ჯერ წამოვაცენეთ იმ სინთეზური მთლიანის ჰიპოთეტური იდეა, რომელიც გულისხმობს ხსენებული ორი ენობრივი ერთეულის ამ პლანში გაერთიანებას, შემდეგ კი თითქოსდა „დავშალოთ“ ხსენებული მთლიანი ისე, რომ ანალიტიკურად მივუდევოთ ჯერ ერთ, შემდეგ კი მეორე ერთეულს; ამ ეტაპზე კი გვსურს, როგორც ზემოთ ითქვა ადვადგინოთ „შესავალში“ ფორმულირებული მთლიანი. შესაბამისად, მოცემული თავის შინაარსობრივი სტრუქტურა უნდა გულისხმობდეს (რა თქმა უნდა, შესაბამისი პარაგრაფების გამოყოფის გზით) შემდეგ კვლევით ეტაპებს:

1) უნდა მიეთითოს ტექსტის ლინგვისტური თეორიის იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებსაც უნდა დავეყრდნოთ ჩვენი ცენტრალური პრობლემის გადაჭრისას. ძირითად პრინციპებზე კონცენტრაცია კი, ბუნებრივია, გარდუვალად უნდა გულისხმობდეს ტექსტის ლინგვისტიკის ცნებითი აპარატის გათვალისწინებასაც;

2) ერთის მხრივ, ტექსტის ლინგვისტიკაზე, მეორეს მხრივ კი ლინგვოსემიოტიკის პრინციპებზე დაყრდნობით ახლებურად რომ დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას გააზრებული შინაგანი კავშირი ისეთ ორ ლინგვისტურ ტიპოლოგიას შორის, როგორცაა ერთის მხრივ წინადადების ლინგვოსემიოტიკური ტიპოლოგია, მეორეს მხრივ კი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა დღეისთვის არსებული და **ლინგვოსემიოტიკურად ჯერ არ გააზრებული** ტიპოლოგია;

3) იმის შემდეგ, როცა გაცემული იქნება თეორიული პასუხი წინა ეტაპებზე დასმულ კითხვებზე, აუცილებელი იქნება – ახლა უკვე ემპირიულ (ენობრივ) მასალაზე დაყრდნობით – მიღებულ თეორიულ გადაწყვეტილებათა

ადეკვატურობის დადასტურება უკვე ცალკეულად განხილულ სამეცნიერო-კომპოზიციურ ფორმებთან კავშირში.

ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ მესამე თავის დასკვნებში ამავე დროს, უნდა მოხდეს მთელი კვლევის შედეგთა განზოგადება.

§2. ტექსტის ლინგვისტური თეორია: პრინციპები და ფუნდამენტური ცნებები

როგორც უკვე არა ერთხელ იქნა აღნიშნული, თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების პარადიგმული სიტუაცია სრულიად ახლებურად განსაზღვრავს ისეთი ფუნდამენტური ენობრივი ერთეულის სტატუსს, როგორცაა წინადადება, მეორეს მხრივ კი იგივე პარადიგმული სიტუაციის ფარგლებში გამოიკვეთა პრინციპი: ფუნქციურ-სტრუქტურული კავშირი ენობრივ ერთეულებს შორის უნდა დადგინდეს **ტექსტოცენტრისტულად**, ანუ იმისდა მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ეს ერთეულები ტექსტის როგორც უმაღლესი კომუნიკაციური ერთეულის კონსტიტუირებაში. შესაბამისად, აუცილებელი ხდება, რომ კვლევის ამ ეტაპზე სქემატური სახით მაინც მოვახდინოთ ყურადღების კონცენტრირება ტექსტის ლინგვისტიკის იმ პრინციპებზე და ცნებებზე, რომლებსაც შემდგომ არა ერთხელ დაგუბრუნდებით კვლევის პროცესში.

როგორც კ. ბრინკერი აღნიშნავს, „ტექსტის ლინგვისტიკაში არსებობს ტექსტის სხვადასხვანაირად განსაზღვრის ცდები და ამავე დროს საკითხავია ისიც, თუ რამდენად არის შესაძლებელი არსებობდეს ტექსტის საყოველთაოდ აღიარებული ერთიანი განსაზღვრა“ (Brinker 1992: 12). მაგრამ, მიუხედავად ტექსტის ცნების განსაზღვრის ამ სირთულისა, ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ავტორი ეყრდნობა ერთი მხრივ ენის როგორც ფენომენის ცნობილ დიქტომიას (ენა როგორც სისტემა და ენა როგორც დისკურსი) და მეორეს მხრივ კი თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობის ფაქტს (სისტემური ლინგვისტიკა→კომუნიკაციური ლინგვისტიკა). და სწორედ ამ ორ კრიტერიუმზე დაყრდნობით იგი მიიჩნევს, რომ ტექსტის ცნება შეიძლება განსაზღვრულ იქნას ორი ერთმანეთისგან განსხვავებული თვალსაზრისით; კონკრეტულად კი ორ დონეზე – ა) სისტემურ დონეზე და ბ) კომუნიკაციურ დონეზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, პირველ შემთხვევაში თეორიულ საყრდენად უნდა გამოყენებულ იქნას ენობრივი სისტემის ის დონეებრივი მოდელი, რომელიც შე-

იმუშავა სისტემურ-სემიოტიკურმა პარადიგმამ. მეორე შემთხვევაში კი უკვე ან-თროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმით ნაგულისხმევი კრიტერიუმით განსაზღვრის მიმართ. ამ მომენტის ხაზგასმა ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ როგორც ცნობილია, ტექსტის თანამედროვე ლინგვისტურ თეორიას აქვს მრავალასპექტოვანი ხასიათი და ჩვენი კვლევითი კონტექსტის გათვალისწინებით შეუძლებელი უნდა იყოს ყველა ამ ასპექტის სრულად გათვალისწინება. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის საგნის დეფინიცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ ამ საგნის ობიექტურ ნიშანთვისებებზე – ამ დეფინიციის ხასიათი დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, ანუ როგორია მკვლევართა მიზნები“ (ibid 1992: 12). ვფიქრობთ, ავტორის ეს მოსაზრება ყურადსაღებია ჩვენთვისაც: იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტის თეორია ჩვენ გვჭირდება წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის მიმართების გამოვლენისთვის, ჩვენც შევეცდებით ტექსტთან დაკავშირებულ იმ თეორიულ ასპექტთა ხაზგასმას, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ ან არაპირდაპირ, მაგრამ სიღრმისეულად უკავშირდებიან ჩვენს კვლევით მიზნებს და თუ ეს ასეა, რომელ ასპექტებზე უნდა შევაჩეროთ პირველ რიგში ჩვენი ყურადღება? ეს ასპექტებია:

ა) პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს სწორედ ის თვალსაზრისი, რომელიც უკვე ხაზგასმულ იქნა პარაგრაფის დასაწყისში – თუ როგორ არის გაგებული ტექსტი, ერთის მხრივ, სისტემურ, მეორეს მხრივ კი დისკურსულ, ანუ კომუნიკაციურ დონეზე;

ბ) როგორც პირველ, ანუ სისტემური კრიტერიუმის გამოყენების შემთხვევაში, ისე მეორე, ანუ დისკურსულ-კომუნიკაციურ კრიტერიუმზე დაყრდნობის შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ განსხვავების გათვალისწინება, რომელიც უნდა არსებობდეს ტექსტის ცნების ფუნქციურ და სტრუქტურულ დეფინიციებს შორის;

გ) ჩვენთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია ტექსტის ფენომენის ის ტიპოლოგიური ხედვა, რომელიც უკავშირდება ტექსტის დაყოფას იმ სტრუქტურული სემანტების გათვალისწინებით, რომლებისგანაც შეიძლება შედგებოდეს ტექსტი (რა თქმა უნდა, თუ აღვიქვამთ ამ ფენომენს ლინგვისტურად);

დ) მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ტექსტის ტიპოლოგიური ხედვა იმ თვალსაზრისითაც, რომლის მიხედვით უნდა არსებობდეს გარკვეული კავშირი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებსა და დის-

კურსის იმ ტიპებს შორის, რომლის შემადგენლობაშიც ფუნქციონირებს ტექსტი. ამ თვალსაზრისით აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ჩვენთვის უკვე ცნობილი ტიპები განსხვავებული „დატვირთვით“ უნდა განაწილდნენ ისეთ დისკურსთა შორის, როგორცაა, მაგალითად, ყოველდღიური, მეცნიერული, ჟურნალისტური და ა.შ. დისკურსები. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შესაძლო კვლევის ისეთ მასშტაბთან, რომელსაც „ვერ დაიტევს“ ჩვენი კვლევითი კონტექსტი, მაგრამ, როგორც ითქვა, ჩვენი მიზნებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს თვით ხსენებული ტიპოლოგიური კრიტერიუმის გათვალისწინების იდეაც.

ზემოთ ჩვენს მიერ მითითებულ იქნა ტექსტის ფენომენტან დაკავშირებული ის ასპექტები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად გამოკვლეულია როგორც ტექსტის ლინგვისტიკაში, ისე დისკურსის თეორიაში. თუმცა, რა თქმა უნდა, უნდა შეგვერჩია ეს ასპექტები ჩვენი კვლევითი მიზნების გათვალისწინებით. მაგრამ უკვე შეგვიძლია იმის თქმაც, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული ჩვენს მიერ გამოყენებული იქნება შემდეგი მიზნით: ტექსტის მიმართ ინტეგრალური, ანუ ერთდროულად როგორც ლინგვისტიკური, ისე კომუნიკაციური მიდგომის საფუძველზე გვსურს წამოვაყენოთ ტექსტის ინვარიანტული სტრუქტურის ისეთი კონცეფცია, რომელზე დაყრდნობით პრინციპული გადაჭრა უნდა მოიპოვოს წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების პრობლემა.

ზემოთ ნათქვამის საფუძველზე ციტირებული მონოგრაფიის ავტორი მიიჩნევს, რომ ტექსტის თანამედროვე ლინგვისტიკური თეორია ეფუძნება ამ ერთეულის (ანუ ტექსტის) ორ განსხვავებულ ცნებას – ტექსტის იმ ცნებას, რომელიც უკავშირდება **ენობრივი სისტემის თეორიას** და ტექსტის იმ ცნებას, რომელიც უკავშირდება **კომუნიკაციის თეორიას**. როგორც ჩვენს მიერ აქამდე განხორციელებულმა მსჯელობამ გვიჩვენა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ორივე ეს თვალსაზრისი, რადგან, როგორც გვახსოვს, თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა წარმართეთ, ერთის მხრივ, ენის **დონეებრივ მოდელზე** დაყრდნობით, მეორეს მხრივ კი ხაზი გაუვსვით ჩვენი კვლევის **ტექსტოცენტრისტულ** მიმართულებას – ანუ იმ მიმართულებას, რომელიც მთლიანად უკავშირდება ენის კომუნიკაციურ თეორიას. აქედან გამომდინარე სქემატურად მაინც შევჩერდებით იმაზე, თუ რას ამბობს ბრინკერი, ტექსტის ცნების ორივე ამ თვალსაზრისით განმარტების შესახებ:

ა) ტექსტის ცნება ენობრივი სისტემის თეორიაზე დაყრდნობით

რამდენადაც, როგორც უკვე არა ერთხელ იქნა აღნიშნული, ჩვენი მიზანი, ანუ წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის მიმართების დადგენა გულისხმობს ამ უკანასკნელის, ანუ კომპოზიციური ფორმის ტექსტო-ცენტრისტულად გააზრებას და ამავე დროს მივიჩნევთ, რომ ეს გააზრება ექსპლიციტური ფორმით ჯერ არ მომხდარა, ჩვენთვის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს შემდეგ ფაქტს: ტექსტის ლინგვისტური თეორიის დამკვიდრებას ავტორი ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების ისეთ ეტაპებს, როგორიცაა **სტრუქტურალიზმი**, **გენერაციული გრამატიკა** და ბოლოს კი თავად **ტექსტის ლინგვისტიკა**. გადამწყვეტი კი ის არის, რომ, მისი აზრით, ამ ეტაპთა გავლა ავტორის აზრით უშუალოდ უკავშირდებოდა ერთსა და იმავე ვექტორს: ჯერ ხდებოდა წინადადების როგორც უმაღლესი ენობრივი დონის ერთეულის სტატუსის ხაზგასმა, შემდეგ კი იმის აღიარება, რომ ასეთი სტატუსი უნდა მიენიჭოს ტექსტს, ხოლო წინადადება კი უნდა აღქმულ იქნას ტექსტის ინტეგრანტად. სწორედ დასახელებულ ვექტორთან დაკავშირებით ავტორი გამოჰყოფს შემდეგ სამ ეტაპს – სტრუქტურალისტურს, გენერაციული გრამატიკის ეტაპს და ტექსტის ლინგვისტიკის ეტაპს. კონკრეტულად კი იგი ამბობს: „სტრუქტურალისტური ლინგვისტიკა თითქმის მთლიანად კონცენტრირდება წინადადების სტრუქტურის ანალიზსა და აღწერაზე. ძირითადად კი იმის გამორკვევაზე, თუ როგორ უნდა იქნან სემანტიკურულნი და კლასიფიცირებულნი ენობრივი ერთეულები წინადადების ფარგლებში“ (ibid 1992: 13). და თუმცა შემდგომი ეტაპი – გენერაციული გრამატიკა, როგორც ცნობილია, თვისობრივად განსხვავდებოდა სტრუქტურალისტური ეტაპისგან, მისი ყურადღების ცენტრში მაინც იმყოფებოდა კვლავ წინადადება: „გენერაციულ-გრანსფორმაციული გრამატიკა განსაზღვრავს თავის საგანს, ანუ ენობრივ კომპეტენციას როგორც ამა თუ იმ ენის წარმომადგენლის უნარს, წარმოქმნას და გაიგოს წინადადებათა ნებისმიერად დიდი რაოდენობა“ (ibid 1992: 13). მესამე, ანუ ტექსტის ლინგვისტიკის ეტაპი კი ავტორის მიხედვით წარმომადგენს სწორედ „იმ ეტაპს, როცა ხდება მთლიანად წინადადების სფეროზე კონცენტრირებული ლინგვისტური კვლევის კრიტიკა. მკვიდრდება პრინციპი, რომ რაზეც უმაღლესი ენობრივი ერთეული არის არა წინადადება, არამედ „ტექსტი“ (ibid 1992: 13-14). და როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ ახალი პრინციპის დამკვიდრება სულაც არ ნიშნავდა წინადადების როგორც ერთეულის მნიშვნელობის იგნორირებას: „წინადადებისა და

ტექსტის ურთიერთმიმართება ნათლად გამოიხატება იმით, რომ ტექსტი განისაზღვრება როგორც წინადადებათა კოჰერენტული თანმიმდევრობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინადადება აღიქმება უკვე არა როგორც ენობრივ ერთეულთა იერარქიის უმაღლესი საფეხურის ერთეული, არამედ როგორც ტექსტის სტრუქტურული ელემენტი" (ibid 1992: 13-14). ჩვენი აზრით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის დასკვნაც, რომელსაც ავტორი აკეთებს ტექსტის ცნების სისტემური ვარიანტის განხილვის ბოლოს: „ამ კონცეფციის უმთავრესი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტექსტის ლინგვისტიკისთვის ცენტრალური ცნება, ანუ ტექსტობრივი კოჰერენტულობის ცნება, უნდა გააზრებულ იქნას ხაზგასმით გრამატიკულად. ტექსტობრივი კვლევის ამ მიმართულების ფარგლებში ეს ცნება მიუთითებს მხოლოდ და მხოლოდ წინადადებებზე ან, შესაბამისად ენობრივ ელემენტებზე (სიტყვებს, სიტყვათა ჯგუფებს შორის არსებულ სინტაქსურ და სემანტიკურ მიმართებებზე)". (ibid 1992: 13-14). რატომ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ეს ავტორისეული დასკვნა ჩვენი კვლევისთვის? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხით ჩვენ უკვე ტექსტის ლინგვისტიკის ტერმინოლოგიის გამოყენებით ვაკონკრეტებთ იმ იდეას, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენთვის ცენტრალური პრობლემის გააზრებას: თუ გვსურს ტექსტოცენტრისტულად მივუდგეთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას და, შესაბამისად, ამგვარ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დავადგინოთ მასსა და წინადადებას შორის არსებული მიმართების არსი, მაშინ ხსენებული მიმართება უნდა გავიაზროთ სინტაქსურ-სემანტიკურად. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საბოლოო ანგარიშში ეს მიმართება უნდა დაეფუძნოს ისეთი ტექსტობრივი კატეგორიის ცნებას, როგორიცაა **კოჰეზია** – კოჰერენტულობა (რაც შეეხება იმ განსხვავებას, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ ორი ამ ისეთი ტერმინის მნიშვნელობებს შორის, როგორიცაა „კოჰეზია“ და „კოჰერენცია“, მასზე ჩვენ შევხერდებით კვლევის იმ ეტაპზე, როცა უფრო დაკონკრეტებულად მივიჩნევთ ჩვენს კვლევას).

ბ) ტექსტის ცნება კომუნიკაციის თეორიაზე დაყრდნობით

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ტექსტის ცნების ამ მეორე ვარიანტის განხილვას ავტორი იწყებს ორ მიმართულებას შორის არსებული პოლემიკის განხილვით. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: ტექსტის ლინგვისტიკის ეს მეორე მიმართულება დაიწყო (XX ს. 70-იანი წლებში) პირველი ვარიანტისადმი მიმართული საყვედურით; ეს საყვედური კი ნიშნავდა შემდეგს: „ენობრივ სისტემა-

ზე ორიენტირებულმა თეორიამ ტექსტები წარმოიდგინა მეტისმეტად იდეალიზირებულ ობიექტებად – სახელდობრ კი ისეთ ობიექტებად, რომლებიც ატარებენ სტატიკურ ხასიათს. ეს კი მოხდა იმიტომ, რომ არ იქნა გათვალისწინებული შემდეგი გარემოება: ტექსტები მუდამ „ჩართულნი“ არიან ამა თუ იმ კომუნიკაციურ სიტუაციაში და წარმოადგენენ ისეთ საკომუნიკაციო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებში მეტყველი პირი და მსმენელი, ან თუნდაც ავტორი და მკითხველი მუდამ არიან ამა თუ იმ სოციალური და სიტუაციური წინაპირობებით დატვირთულნი და ეს წინაპირობები წარმოადგენენ ტექსტისთვის უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორებს" (ibid 1992: 15).

თუ ტექსტის ლინგვისტიკის პირველი მიმართულების განხილვამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტექსტის კვლევისას მთავარი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მის ინტეგრანტებს შორის არსებულ სემანტიკურ და სინტაქსურ მიმართებებს და, შესაბამისად, ჩვენც მოგვეცა იმის საშუალება, რომ სწორედ კოჰეზიის კატეგორიაზე დაყრდნობით დაგვეკონკრეტებინა ჩვენი კვლევის მიზანი, მეორე მიმართულების განხილვას ავტორი იწყებს სრულიად განსხვავებული თეზისით: „კომუნიკაციის თეორიაზე ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკა ვითარდება ლინგვისტური პრაგმატიკის ფონზე, ანუ იმ კატეგორიის ფონზე, რომელიც მოწოდებულია აღწეროს და ახსნას კომუნიკაციის მონაწილეთა შორის არსებული ურთიერთგაგების წინაპირობები" (ibid 1992: 15). აქედან გამომდინარე ავტორი ამბობს: „ამგვარი, ანუ პრაგმატიკული პერსპექტივის თანახმად ტექსტი წარმოგვიდგება უკვე არა როგორც გრამატიკულად ურთიერთდაკავშირებული წინადადებათა ჯაჭვი, არამედ როგორც ის რთული ენობრივი ქმედება, რისი საშუალებითაც ის, ვინც მეტყველებს ან წერს, გარკვეულ კომუნიკაციურ მიმართებას ამყარებს მასთან, ვინც უსმენს ან კითხულობს" (ibid 1992: 15).

რამდენადაც ცნობილია, ლინგვისტური პრაგმატიკა წარმოადგენს არა მხოლოდ ტექსტის ლინგვისტიკის, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელი თანამედროვე ლინგვისტიკის ცენტრალურ პარადიგმულ ტენდენციას, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ანთროპოცენტრიზმი, ანუ ადამიანზე კვლევითი ორიენტაცია უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების წამყვან პრინციპად. ამიტომ, თუ გვსურს ჩვენს კვლევით მიზნებს, პირველ რიგში კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ადეკვატურ ინტერპრეტაციას საფუძვლად დავუდოთ ტექსტის თეორია, მაშინ ინტერესით უნდა მოვეკიდოთ იმასაც, თუ ციტირებული ავტორის აზრით, რომელი პრაგმატიკული ცნებები უნდა იყოს ფუძემ-

დებელი, პრაგმატიკულად ორიენტირებული ტექსტის თეორიისთვის. ბრინკერის აზრით, ტექსტის კომუნიკაციის თეორიაზე ორიენტირებული ლინგვისტიკა ინტერესდება პირველ რიგში იმ მიზნებით, რომელთა მიხედვით ტექსტები ჩართულია საკომუნიკაციო სიტუაციაში" (ibid 1992: 15).

როგორც ვნახეთ, ტექსტის თანამედროვე ლინგვისტური თეორია წარმოდგენილია ამ თეორიის ორი „ვარიანტით“ – ვარიანტით, რომელიც ორიენტირებულია ენობრივი სისტემის სტრატეგიკაციულ მოდელზე და იმ ვარიანტით, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაციის თეორიაზე. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, ჩვენი კვლევითი ინტერესი მიმართულია არა უშუალოდ ტექსტის ლინგვისტიკაზე, არამედ გვსურს **ტექსტის ლინგვისტიკის გამოყენებით** ჩვენთვის საინტერესო ერთეულთა ურთიერთმიმართების დადგენა, მაგრამ, მეორეს მხრივ ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც უკვე ვიცით პირველხარისხოვნად მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის, აუცილებლად მიგვაჩნია ექსპლიციტური ფორმით განსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება ციტირებული ავტორის თეორიული პოზიციის მიმართ. როგორი უნდა იყოს ეს დამოკიდებულება, თუ ჩვენი კვლევითი ჩანაფიქრის მიხედვით, ტექსტის თეორიამ უნდა შეგვიქმნას ბაზა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ექსპლიციტურად და ხაზგასმით **ტექსტოცენტრისტული** ინტერპრეტაციისთვის? ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ პუნქტობრივად და ეს პუნქტებია:

ა) რაც შეეხება ყოველივე იმას, რასაც ავტორი გვეუბნება სისტემატურად ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკის შესახებ: მისაღებია, რა თქმა უნდა, ის აზრი, რომ მიმართებები ტექსტის კომპონენტებს შორის და პირველ რიგში წინადადებებს შორის უნდა დანახულ იქნან სინტაქსურ-სემანტიკურად და, შესაბამისად, ტექსტის ცენტრალურ კატეგორიად მიჩნეულ უნდა იყოს **კოჰეზია-კოჰერენტულობა**, მაგრამ გვსურს სწორედ ამ თვალსაზრისით ხაზი გაუუსვათ სწორედ ტექსტობრივ კოჰეზიასთან დაკავშირებულ შემდეგ მომენტს: როცა ვმსჯელობთ ტექსტთან დაკავშირებულ სინტაქსზე და სემანტიკაზე და გვსურს, რომ ეს მსჯელობა ორიენტირებულ იყოს ენის სტრატეგიკაციულ მოდელზე, არ უნდა დაგვავიწყდეს შემდეგი ფაქტი: თვით სტრატეგიკაციული მოდელი ეფუძნება ენის **სემიოტიკურ** კონცეფციას, და შესაბამისად, სტრატეგიკაციული მოდელით ნაგულისხმევი ყოველი ენობრივი დონე წარმოდგენილი უნდა იყოს იერარქიაში შემავალი ენის გარკვეული ნიშნობრივი ერთეულით (ფონემა, მორფემა, სიტყვა და ა.შ.). მაგრამ, ამავე დროს ყოველი დონის ნიშნობრივი ერთეული უნდა ხასიათ-

დებოდეს თავისი სიგნიფიკანტით. ბუნებრივია, ჩვენ აქ ვერ შევალთ ამ მოდელის ყველა დეტალის განხილვაში, მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში ჩვენს კვლევით ინტერესებს, აუცილებლად მიგვაჩნია ვთქვათ შემდეგი: ლაპარაკი ტექსტის დონეზე სინტაქსურ-სემანტიკური მიმართებების არსებობის შესახებ, დაკარგავს თავის მნიშვნელობას, თუ არ დაისმის კითხვა თავად ტექსტის როგორც ნიშნობრივი ერთეულის სიგნიფიკანტის შესახებ. ჩვენი აზრით, სწორედ ამ კითხვის დაუსმელობა უნდა იქნას მიჩნეული მნიშვნელოვან ხარვეზად ბრინკერისეულ მსჯელობაში. ჩვენ კი მოგვიხდება ამ კითხვის დასმაც და მასზე პასუხის გაცემა იქიდან გამომდინარე, რომ გვსურს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ტექსტოცენტრისტული ინტერპრეტაცია, ეს ინტერპრეტაცია კი როგორც უკვე არა ერთხელ ითქვა, უნდა ატარებდეს **ლინგვისემიოტიკურ** ხასიათს;

ბ) მსგავსი ხასიათისა უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება კომუნიკაციის თეორიაზე ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკის მიმართ - თუ, რა თქმა უნდა, ტექსტის ლინგვისტიკის ამ ვარიანტსაც განვიხილავთ ბრინკერის მიხედვით. ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, უნდა მისაღები იყოს ის აზრი, რომ ტექსტის ამგვარად ორიენტირებული თეორია უნდა ატარებდეს **პრაგმატიკულ** ხასიათს, ე.ი. უნდა ეფუძნებოდეს **ლინგვისტურ პრაგმატიკას**. ასევე მისაღები უნდა იყოს, ჩვენი აზრით, რომ ამ შემთხვევაში ენა უნდა განიხილებოდეს როგორც **ქმედება** და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი უნდა იყოს კომუნიკაციის **მიზნობრივი ასპექტი**. მაგრამ გვსურს ამ შემთხვევაშიც ხაზი გავუსვათ ბრინკერისეული მსჯელობის შემდეგ ხარვეზს. თუ გვსურს, რომ კომუნიკაციურად ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკა იყოს დაფუძნებული ანთროპოცენტრისტულად, სრულიად არ არის საკმარისი ვილაპარაკოთ მხოლოდ ენობრივი ქმედების მიზნებზე: მთავარია ითქვას, რომ თავად ენობრივი ქმედება წარმოადგენს ინტერსუბიექტურად სტრუქტურირებულ **დისკურსს** და თვით ხსენებული მიზნებიც უნდა გაგებულნი იქნან ინტერსუბიექტურად;

გ) მაგრამ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ტექსტის ლინგვისტიკის ბრინკერისეული პრევენტაციის მიმართ მის მთლიანობაში? ერთის მხრივ კრიტიკული, მეორეს მხრივ კი ისეთი, რომელიც უნდა ნიშნავდეს ტექსტის ლინგვისტიკის ორივე ვარიანტის **სინთეზურად გააზრებას**. მაგრამ ამისთვის, რა თქმა უნდა, მოგვიხდება სწორედ სინთეზის განხორციელებისას იმ კორექტირების შეტანა, რომელთა აუცილებლობაც იგულისხმებოდა მაშინ, როცა ვლაპარაკობდით „ხარვეზებზე“.

§3. ტექსტი: მისი ლინგვოსემიოტიკა და კომუნიკაციური სტრუქტურა

სანამ ბრინკერის ზემოთ წარმოდგენილი პოზიციისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამოსატვის შემდეგ განვახორციელებდეთ მის მიერ წარმოდგენილ პრინციპთა სინთეზს, აუცილებლად მიგვაჩნია იმის თქმა, თუ როგორი უნდა იყოს ამგვარი სინთეზის ლინგვოსემიოტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატიკული საფუძვლები. შესაბამისად მივყვეთ წინა პარაგრაფში ეტაპობრივად დასახელებულ პუნქტებს და მივუთითოთ ლინგვოსემიოტიკისა და ლინგვისტური პრაგმატიკის იმ კონცეპტუალურ ასპექტებზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი უნდა იყოს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმებისადმი ლინგვოსემიოტიკურ-კომუნიკაციური მიდგომის განსახორციელებლად.

ტექსტის ლინგვოსემიოტიკა და მისი კომუნიკაციური ასპექტები

როგორც „შესავალშიც“ და „პირველ თავშიც“ აღინიშნა, ჩვენი კვლევითი მიზნის მიღწევა აუცილებლად გულისხმობს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის ფორმულირებასა და გადაჭრასაც, როგორცაა ორი ტიპოლოგიის – წინადადების სემანტიკური ტიპოლოგიისა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებული ტიპოლოგიის – შეპირისპირება და ამ შეპირისპირების საფუძველზე, შინაგანად ერთიან ტიპოლოგიის თუნდაც სქემატური სახით მინიშნება.

მაგრამ, ამავე დროს დავრწმუნდით იმაშიც, რომ ამ ორ არსებულ ტიპოლოგიას შორის არ არსებობს არავითარი კონცეპტუალური შესაბამისობა: ერთის მხრივ, თეორიული თვალსაზრისით ცხადია, რომ წინადადების ვერბოცენტრისტული კონცეფციის თანახმად, ამ ენობრივი ერთეულის სემანტიკა, ანუ სიგნიფიკატი უნდა შეესაბამებოდეს იმ ზმნის სემანტიკას, რომლის ვალენტობის რეალიზაციას ეს წინადადება უნდა წარმოადგენდეს; მაგრამ ასევე ცხადია ისიც, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებული თეორია ატარებს, როგორც აღნიშნულ იქნა ჩვენი ნაშრომის მეორე თავში, წმინდა კოგნიტიურ ხასიათს – მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, ელემენტარული ლოგიკის მიხედვით, უნდა წარმოადგენდეს ტექსტობრივ წარმონაქმნს და ამ თვალსაზრისით უნდა საჭიროებდეს პირველ რიგში ისეთსავე ლინგვოსემიოტიკურ ხედვას, რომელიც ხორციელდება წინადადების შემთხვევაში.

სწორედ ზემოთ ნათქვამის საფუძველზე გვსურს მივუთითოთ ტექსტის ზოგადსემანტიკური გააზრების, ანუ მისი სიგნიფიკატის განსაზღვრის იმ თეორიულ საფუძველებზე, რომლებიც არსებობს თანამედროვე ლინგვისტიკაში. პირველ რიგში კი ჩვენი აზრით, უნდა მივუთითოთ ენობრივ ნიშანთა ვერტიკალურ და, შესაბამისად, იერარქიულ კლასიფიკაციაზე, რომელიც უნდა იძლეოდეს წინადადებისა და ტექსტის ერთობლივი სემანტიკური ხედვის საფუძველს. იქიდან გამომდინარე, რომ, ერთის მხრივ, ზემოთ დასახელებული მიზნის მიღწევა გულისხმობს სწორედ წინადადებისა და ტექსტის ერთიან სემანტიკურ სისტემაში მოქცევას, მეორეს მხრივ კი იმის გათვალისწინებით, რომ ბრინკერის ზემოთ განხილულ კონცეფციაში არც იყო დასმული ამგვარი ამოცანა, საჭიროდ მიგვაჩნია ჯერ მივუთითოთ ამ ამოცანის დასახვის ზოგადთეორიულ საფუძველზე, შემდეგ კი – რა თქმა უნდა, ამ საფუძველზე დაყრდნობით – შევეცადოთ თვით ამოცანის გადაჭრას.

ზემოთ, როცა მსჯელობა გვქონდა წინადადების სემანტიკური ხედვის პრობლემაზე და ამ ხედვის საფუძველზე განვიხილეთ წინადადების სემანტიკური ტიპოლოგია, აღნიშნულ იქნა, რომ წინადადებისადმი ამგვარი, ანუ ლინგვოსემიოტიკური მიდგომა შესაძლებელი გახდა იმ უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა თანამედროვე ლინგვისტიკაში: იმის შემდეგ, რაც ენა მის მთლიანობაში განისაზღვრა როგორც ნიშანთა სისტემა, „ნიშნის“ ცნებამ სიტყვათა (ლექსემათა) დონიდან მოახდინა „ექსპანსია“ წინადადების დონეზეც, რის შედეგად არა მხოლოდ სიტყვა, არამედ წინადადებაც აღქმულ იქნა, როგორც ნიშანი. კონცეპტუალური ფორმით ხსენებული „ექსპანსია“ გამოიყურება შემდეგნაირად: „ნიშნის ცნების ექსპანსიამ შექმნა ნიშანთა იერარქიული (ვერტიკალური) ტიპოლოგია, როცა ჰორიზონტალური ტიპოლოგიიდან განსხვავებით, ნიშნის ერთი ტიპი რაღაც თვალსაზრისით აღემატება მეორეს: სრული ნიშანი → არასრული ნიშანი ანუ ის, რაც უნდა იყოს სრული ნიშნის ინტეგრანტი“ (ღებანიძე 2004: 144).

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ნიშნის ცნების ამგვარი „ექსპანსიის“ ფაქტს, არამედ კითხვას: რამდენად გავრცელდა ეს ექსპანსია წინადადების დონიდან ტექსტის დონეზე და რამდენად შეიძლება იქცეს ნიშნის ცნების ტექსტისადმი „მისადაგების“ ფაქტი სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ლინგვოსემიოტიკის გააზრების ერთ-ერთ საფუძველად? ნათქვამთან დაკავშირებით ზემოთ

ციტირებულ ნაშრომში ვკითხულობთ: „ეს ცნებები (ავტორი გულისხმობს სრული და არასრული ნიშნების ზემოთ ხსენებულ ცნებებს – ლ.ო.) არ არის აბსოლუტური ნიშანი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სრულად ერთი თვალსაზრისით, შეიძლება აღმოჩნდეს არასრულად სხვა თვალსაზრისით: თუ წინადადებას მივიღებთ სრულ ნიშნად – სიტყვა იქნება არასრული, ხოლო თუ ტექსტსაც ჩავთვლით ნიშნად, მაშინ წინადადება გამოვა არასრული ნიშნის როლში. როდესაც ვლაპარაკობთ წინადადებაზე, უნდა დავუმატოთ, ნიშანთა რომელ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ იგი – სრულს თუ არასრულს“ (ibid 2004: 144).

ყოველივე ზემოთ ნათქვამი კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აუცილებელია ტექსტი როგორც სტრუქტურულად წინადადებას აღმატებული **სრული ნიშანი**", ისევე იყოს განსაზღვრული მისი სიგნიფიკატის მიხედვით, როგორც წინადადება. მაგრამ ამავე დროს ცხადია შემდეგიც: რაკი წინადადება ნებისმიერ შემთხვევაში მოიაზრება ტექსტის ინტეგრანტად, ეს ორი სიგნიფიკატი – წინადადებისა და ტექსტის სიგნიფიკატები – კონცეპტუალურად უნდა იყვნენ ერთმანეთთან ლოგიკურ ურთიერთკავშირში. ამის გათვალისწინებით კვლავ მივმართოთ ზემოთ ციტირებულ ნაშრომს და ვნახოთ, თუ როგორ ხდება მის ფარგლებში, ერთის მხრივ, წინადადების სიგნიფიკატის განსაზღვრა, მეორეს მხრივ კი – როგორ არის დანახული **ტექსტის** სიგნიფიკატის განსაზღვრის პერსპექტივა. რაც შეეხება წინადადების სემანტიკურ ხედვას, მის შესახებ ნათქვამია: „წინადადება უნდა დავახასიათოთ, პირველ რიგში, იმის მიხედვით, თუ სინამდვილის რომელი ასპექტია ასახული მის აღსანიშნში სინამდვილის იმ ასპექტისგან განსხვავებით, რომლებიც აისახება სიტყვისა და ტექსტის აღსანიშნში. რა განსხვავებაა წინადადებას როგორც ნიშანსა და სიტყვას როგორც ნიშანს შორის? წინადადება როგორც სინტაქსური ნიშანი განსხვავდება სიტყვისაგან როგორც ლექსიკური ნიშნისაგან იმით, რომ იგი აღნიშნავს სინამდვილის არა იზოლირებულ ფაქტებს – იქნება ეს საგანი, ფენომენი თუ თვისება – არამედ მთლიან (მთლიანურ) სიტუაციებს“ (ibid 2004: 145) და სწორედ ნათქვამის საფუძველზე შემდეგნაირად განისაზღვრება წინადადების სიგნიფიკატი: „წინადადებაში საგნები და თვისებები მოქცეულია სინამდვილის ახალ განზომილებაში, რომელსაც **სიტუაცია** ეწოდება: სიტუაცია თავის თავში ამთლიანებს საგნებს, თვისებებს, ფენომენებს“ (ibid 2004: 145).

როგორც ვხედავთ, წინადადების სიგნიფიკატად ციტირებულ ნაშრომში მიჩნეულია **სიტუაცია**, რომელიც ავტორის მიხედვით „თავის თავში ამთლიანებს

საგნებს, თვისებებს, ფენომენებს“. თუმცა აუცილებელია მიეთითოს იმ ფაქტზეც, რომ არა მხოლოდ იგივე ნაშრომის, არამედ იგივე პარაგრაფის ფარგლებში ამგვარ სიგნიფიკატად მიჩნეულია ერთდროულად როგორც სიტუაცია, ისე „ხდომილება“, „წინადადება არის სიტუაციის (ხდომილების) აღმნიშვნელი ენობრივი ნიშანი, რომელიც სრული ნიშნის როლს ასრულებს სიტყვის მიმართ და არასრული ნიშნის როლს ტექსტის მიმართ“ (ibid 2004: 145).

რატომ ხდება ასეთი ცვლილება? რატომ ხდება, რომ სიტუაცია რჩება წინადადების სიგნიფიკატად, მაგრამ მას (სიტუაციას) უჩნდება კონცეპტუალური სინონიმი, ანუ სინონიმი „ხდომილების“ სახით? ამ კითხვაზე ავტორი იძლევა პასუხს, რომელსაც, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, არა მხოლოდ წინადადების, არამედ ზოგადად ტექსტის, კერძოდ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სემანტიკური გააზრებისათვის, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი სიგნიფიკატის განსაზღვრისათვის და, საბოლოო ანგარიშში ლინგვოსემიოტიკური გააზრებისთვის. როგორც შესაბამისი ციტატის მიხედვით გამოჩნდება, **სიტუაციასა და ხდომილებას** შორის კონცეპტუალური სინონიმურობის დანახვის საფუძვლად გვევლინება მეტყველების ისეთი ნაწილი, როგორიცაა **ზმნა** და რაკი ამ მომენტს ასეთ მნიშვნელობას ვანიჭებთ, საჭიროდ მიგვაჩნია შესაბამისი ციტატის მოყვანაც: „როგორც სიტყვა არის წინადადების ინტეგრანტი, ისე წინადადება არის ტექსტის ინტეგრანტი. თუ წინადადება აღნიშნავს სიტუაციას, ტექსტი აღნიშნავს წინადადებათა ერთობლიობას. მაგრამ თუ ჩვენ გვსურს დავინახოთ ეს განსხვავება, არ უნდა დავივიწყოთ მისი ფარდობითობაც – ის, რომ ამ განსხვავებებს არა აქვს და ვერც ექნება აბსოლუტური ხასიათი. საქმე ისაა, რომ სიტყვათა შორის გვაქვს ისეთი სიტყვა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ყველა სხვა სიტყვისაგან და რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია მეტყველების ნაწილთა შორის. ესაა **ზმნა**, თანამედროვე გაგებით ცენტრალური, მეტყველების ნაწილთა შორის. რატომ არის იგი ცენტრალური? თავისი მნიშვნელობით იგი სიტყვათა შორის ყველაზე მეტად უახლოვდება წინადადებას, უახლოვდება იმდენად, რომ შეიძლება ითქვას, „ყოველი წინადადება – ეს არის გაშლილი ზმნა, ყოველი ზმნა – ეს არის შეკუმშული წინადადება. ზღვარი იმას შორის, რასაც აღნიშნავს ზმნა და რასაც აღნიშნავს წინადადება, ცხადია არის, მაგრამ იგი უსასრულოდ მცირდება: ზმნა არის წინადადების სემანტიკური და სტრუქტურული ცენტრი“ (ibid 2004: 145-146).

მოსაზრებათა მთელი იმ ერთობლიობის რეზუმირებას, რომელიც ზემოთ იქნა წარმოდგენილი, ავტორი ახდენს შემდეგნაირად: „როგორც უკვე ითქვა, წინადადება – ეს არის ნიშანი, რომელიც სიტყვისაგან განსხვავებით აღნიშნავს არა სინამდვილის ცალკეულ იზოლირებულ სეგმენტს, არამედ მთლიანურ სიტუაცია-ხდომილებას, ხოლო ტექსტისგან განსხვავებით აქვს ტენდენცია აღნიშნოს ერთი ცალკეულად აღებული სიტუაცია-ხდომილება და არა მათი თანამიმდევრობა. ამრიგად: სიტყვა აღნიშნავს სინამდვილის ერთ რომელიმე სეგმენტს, წინადადება – სიტუაცია-ხდომილებას, ხოლო ტექსტი – სიტუაცია-ხდომილებათა თანამიმდევრობას, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, წინადადება აღნიშნავს რეფერენტულ სიტუაციას, ტექსტი – რეფერენტულ სივრცეს“ (ibid 2004: 145-146).

მაგრამ, ამავე დროს აღსანიშნავია შემდეგი: ტექსტის ლინგვოსემიოტიკური გაგებისთვის და, კერძოდ, მისი სიგნიფიკატის კიდევ უფრო ზუსტი განსაზღვრისათვის აუცილებლად მიგვაჩნია იმის ხაზგასმაც, რომ უკვე ციტირებულ ნაშრომში ლაპარაკია ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების ორ გაგებაზე – **ფუნქციურ** და **სტრუქტურულ** გაგებაზე. შესაბამისად კი მოვიყვანო შემდეგ ორ ციტატას:

ა) რაც შეეხება ტექსტის **ფუნქციურ** გაგებას: „ფუნქციური გაგება უფრო სრულად და უფრო უშუალოდ ასახავს ტექსტის ცნების თეორიულ ასპექტს, ვიდრე სტრუქტურული, ფუნქციური თვალსაზრისით, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა სტრუქტურული შემადგენლობისაა ის ენობრივი წარმონაქმნი, რომელსაც ჩვენ ლინგვისტური გაგებით „ტექსტს“ ვუწოდებთ. ეს წარმონაქმნი თავისი მოცულობით (სტრუქტურული შემადგენლობით) შეიძლება უდრიდეს ერთ სიტყვას, შეიძლება შედგებოდეს წინადადებათა მთელი თანამიმდევრობისაგან – ამ მხარეს მნიშვნელობა არა აქვს; თუ ენობრივი წარმონაქმნი **ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას** და ასრულებს ისე, რომ პასუხობს კომუნიკაციის ცნების იმ შინაარსს, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, მაშინ ეს ენობრივი წარმონაქმნი წარმოადგენს **ტექსტს**. ტექსტი შეიძლება პოულობდეს რეალიზაციას თუნდაც ერთი წინადადების სახით – თუნდაც ამ ერთ წინადადებას ჰქონდეს მინიმალური – ერთი სიტყვის - მოცულობა“ (ibid 2004: 277-278).

ბ) და რაც შეეხება ტექსტის **სტრუქტურულ** გაგებას: „ფუნქციურ თვალსაზრისს უპირისპირდება **სტრუქტურული თვალსაზრისი**. უნდა ითქვას,

რომ ტექსტის ფუნქციური გაგება მოგვიანებით გაფორმდა – მაშინ, როცა შინაგანი გაფორმება „დაიწყო“ იმან, რასაც ჩვენ კომუნიკაციური პარადიგმა ვუწოდებთ. ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა და ლინგვისტურ კვლევაში მეტი ხვედრითი წონა მოიპოვა ტექსტის სტრუქტურულმა გაგებამ. ეს გაგება, ასე ვთქვათ, უფრო „რეალისტურია“, მართალია ტექსტი შეიძლება შედგებოდეს ერთი წინადადებისგან, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში იგი შედგება ერთზე მეტი წინადადებისგან. ამ შემთხვევაში ტექსტის ლინგვისტური ცნების გენეტიკური ასპექტი თავის გამართლებას პოულობს. მაგრამ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ტექსტზე როგორც წინადადებათა თანამიმდევრობაზე, ამით ფაქტიურად გარკვეულ განუსაზღვრელობას ვანიჭებთ ტექსტის ლინგვისტურ ცნებას“ (ibid 2004: 279). ტექსტის ამგვარი, ანუ სტრუქტურაზე ორიენტირებული გაგების საფუძველზე კი ავტორი იძლევა ტექსტის შემდეგ განსაზღვრას: „ტექსტად ლინგვისტური თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს **თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანამიმდევრობა**: ის, რაც წინადადებათა თანამიმდევრობას აქცევს ტექსტად, ეს არის სწორედ თემატიკური ურთიერთკავშირი ანუ ტექსტის წინადადებებში ასახული თემის ერთიანობა“ (ibid 2004: 279).

სანამ უფრო საფუძვლიანად შევეხებოდეთ ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხს – სახელდობრ საკითხს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის კონცეპტუალური ინტეგრირება ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში, დავსვამთ არანაკლებ ფუნდამენტური მნიშვნელობის შემდეგ კითხვას: საბოლოო ანგარიშში რა უნდა მივიჩნიოთ ტექსტის, როგორც ენობრივი ერთეულის სიგნიფიკატად იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთ ნათქვამს? პასუხი ამ კითხვაზე, ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ შემდეგი: მივიდეთ მხედველობაში ის, რომ უკვე წინადადების დონეზე წინადადების სიგნიფიკატი გამოიყურებოდა უფრო რთულად, ვიდრე სიტყვის დონეზე, რადგან ამგვარ სიგნიფიკატად ერთნაირად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც **სიტუაცია**, ისე **ხდომილება**. შესაბამისად: ტექსტის დონეზე სიგნიფიკატად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც **სიტუაციათა ერთობლიობა**, ისე **ხდომილებათა ერთობლიობაც** და ბოლოს ტექსტობრივი **თემაც**. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვის დონიდან წინადადების დონეზე, შემდეგ კი – წინადადების დონიდან ტექსტის დონეზე „გადანაცვლებისას“ საქმე გვაქვს სიგნიფიკატთა არა უბრალოდ

„მომრავლებასთან“, არამედ იმის აუცილებლობასთან, რომ ერთი და იგივე ერთეულის (ჯერ – წინადადების, შემდეგ კი – ტექსტის) სიგნიფიკატი დანახულ უნდა იქნას **მრავალსპექტოვნად**: როცა ლაპარაკია ტექსტზე, და როცა ტექსტი გაგებულია სტრუქტურულად, მაშინ სიგნიფიკატის სამივე ზემოთ დასახელებული „ვარიანტი“ უნდა იყოს გასაგებიც და მისაღებიც: სიგნიფიკატად შეიძლება მივიჩნიოთ „**სიტუაციათა ერთობლიობა**“ იმდენად, რამდენადაც ტექსტი შედგება წინადადებებისაგან, ყოველი მისი ინტეგრანტი წინადადება კი მიუთითებს **სიტუაციაზე**; ტექსტი შეიძლება მივიჩნიოთ „**ხდომილებათა ერთობლიობად**“, რადგან როგორც ვიცით, ყოველი წინადადება წარმოადგენს მისი სტრუქტურული ბირთვის, ე.ი. ზმნის ვალენტობის აქტუალიზაციას; მაგრამ ამავე დროს დავინახეთ ისიც, რომ ტექსტის სტრუქტურული დეფინიციისას აუცილებელია მივმართოთ **თემის** ცნებას და მივიჩნიოთ: ტექსტის, როგორც მთლიანის სემანტიკა – ეს არის სწორედ ის, რაზეც „ლაპარაკია“ ტექსტში (თუმცა ისიც ვიცით, რომ ტექსტის შინაარსს აქვს კომუნიკაციური, ანუ თემა-რემატული სტრუქტურა). ამ ბოლო შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ორი თვალსაზრისი – საკუთრივ სემანტიკური და კომუნიკაციური – ერთმანეთს გადაკვეთს და, შესაბამისად, ტექსტის სიგნიფიკატიც დაინახება ამ ორი თვალსაზრისის ურთიერთგადაკვეთის „წერტილში“.

უკვე შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის სიგნიფიკატის როგორც ცნების ამგვარი განმარტებით, შევქმენით კონცეპტუალური საფუძველი იმისთვის, რომ დავსვათ ჩვენთვის გადამჭრელი მნიშვნელობის კითხვა: როგორღა უნდა განისაზღვროს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სიგნიფიკატი, თუ, ერთის მხრივ, მხედველობაში მივიღებთ ყოველივე იმას, რაც მოცემულ პარაგრაფში ითქვა ტექსტის სიგნიფიკატის შესახებ, მეორეს მხრივ კი ასევე გავითვალისწინებთ იმასაც, რაც სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა არსებულ თეორიაში ნათქვამია ამ ერთეულებზე **კოგნიტიური** თვალსაზრისით.

მაგრამ, სანამ შევუდგებით ამ ჩვენთვის გადამწყვეტი ამოცანის გადაჭრას, შევეხოთ ტექსტთა წმინდა **სტრუქტურულ-იერარქიულ ტიპოლოგიას**, რადგან შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ საკითხსაც აქვს მნიშვნელობა ჩვენი კვლევის მიზნისთვის. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, ზემოთ უკვე ციტირებულ ნაშრომში ნათქვამია: „თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა ახდენს ტექსტის ცნების თავდაპირველ, ასე ვთქვათ, ამოსავალ დიქტომოზაციას, გამიჯნავს ერთმანეთისგან ტექსტის ორ ძირითად სახეობას – მაკროტექსტსა და

მიკროტექსტს. **მაკროტექსტი** არის თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ყოველი თანამიმდებრობა, თუნდაც „დათა თუთაშხია“. რაც შეეხება **მიკროტექსტს** – ეს არის წინადადებათა ისეთი თანამიმდევრობა, რომელიც ეფუძნება რომელიმე ერთი შემაკავშირებელი თემის არსებობას. მიკროტექსტი გვაქვს მაშინ, როცა საქმე გვაქვს ერთ თემასთან და ამ ერთი თემის ამსახველ წინადადებათა თანამიმდევრობასთან“ (ibid 2004: 279-280).

§4. ვერბოცენტრიზმი როგორც პრინციპი და ტექსტის დიქტომიური

სტრუქტურა: ტექსტის თემა და ტექსტის კომპოზიცია

ვფიქრობთ, წინა პარაგრაფში განხორციელებული მსჯელობა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მიუვითოთ იმ კონცეპტუალურ საფუძველზე, რომელიც ერთის მხრივ, მოგვცემდა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ტექსტის თეორიაში ინტეგრირების, მეორეს მხრივ კი წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმისთვის ერთიანი კონცეპტუალური საფუძვლის განსაზღვრის საშუალებას. ჩვენი გადაწყვეტილება მდგომარეობს შემდგომში: ასეთ ერთიან კონცეპტუალურ საფუძველად უნდა მივიჩნიოთ **ვერბოცენტრიზმი**. მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენი ეს გადაწყვეტილება გასაგები გახდეს, აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი განმარტების მოცემა:

როგორც ცნობილია, **ვერბოცენტრიზმი** წარმოადგენს თანამედროვე სინტაქსის თეორიულ საფუძველს: **ზმნა** მიჩნეულია წინადადების სტრუქტურულ ცენტრად, ყოველი წინადადება კი განიხილება შესაბამისი ზმნის აქტუალიზაციის შედეგად, ანუ ამ ზმნის ვალენტობის რეალიზაციად (თანახმად ფორმულისა: ყოველი ზმნა არის პოტენციური წინადადება, ყოველი წინადადება კი აქტუალიზირებული ზმნა). ვერბოცენტრიზმის უშუალო შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ წინადადების სიგნიფიკატის ის დეფინიცია, რომლის მიხედვით წინადადების სიგნიფიკატად მოვიაზრებთ **ხდომილებას** (რადგან ზმნა არის მეტყველების სწორედ ის ნაწილი, რომელიც არსებითი სახელისგან განსხვავებით მიუთითებს არა ამა თუ იმ სუბსტანციაზე, არამედ ხდომილებაზე), მაგრამ, როგორც გვახსოვს, წინადადების სიგნიფიკატად მივიჩნიეთ არა მხოლოდ ხდომილება, არამედ **სიტუაცია**. თვით სიტუაცია გაგებულ იქნა როგორც წინადადების მიერ აღნიშნული რეალობის ის ასპექტი, რომელიც „თავის თავში ამთლიანებს საგნებს, თვისებებს, ფენომენებს.“ მაგრამ რა

მიმართებაშია წინადადების მნიშვნელობის (სიგნიფიკატის) ეს ასპექტი იმ ასპექტთან, რომელიც უკავშირდება ზმნას და რომლის საფუძველზე წინადადების სიგნიფიკატად მივიჩნიეთ ხდომილება? ვფიქრობთ, ამ მიმართების განსაზღვრა შეგვიძლია ზმნის ვალენტობაზე დაყრდნობით: თუ სიტუაცია აერთიანებს საგნებს და, შესაბამისად ამ საგანთა თვისებებსაც ერთ მთლიანობაში, ეს გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა ზმნის ვალენტობის გარეშე: სიტუაციაში გაერთიანებული საგნები, სინტაქსური თვალსაზრისით წარმოადგენენ **აქტანტებს**, აქტანტები კი თავისი რაოდენობითა და სემანტიკით დამოკიდებული არიან ზმნის ვალენტობაზე.

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს წინა აბზაცში განხორციელებული მსჯელობის საფუძველზე? ის დასკვნა, რომ ორივე შემთხვევაში, ანუ განვსაზღვრავთ წინადადების სიგნიფიკატს როგორც **ხდომილებას**, თუ როგორც **სიტუაციას**, წინადადების ლინგვოსემიოტიკურად გაგებულ ცენტრად, და შესაბამისად, მისი სიგნიფიკატის განმსაზღვრელ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ ზმნა. ამიტომ, გამართლებული იქნება თუ ვიტყვით: **ვერბოცენტრიზმი** უნდა მივიჩნიოთ წინადადების სიგნიფიკატის განმსაზღვრელ პრინციპად ნებისმიერ შემთხვევაში – სულ ერთია, განვსაზღვრავთ ამ სიგნიფიკატს როგორც სიტუაციას, თუ როგორც ხდომილებას.

მაგრამ, ამავე დროს ზმნა შეიძლება მივიჩნიოთ არა მხოლოდ წინადადების, არამედ ნებისმიერი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სიგნიფიკატის განმსაზღვრელადაც, რადგან, როგორც ვიცით, "შეტყობინებაც", "აღწერაც" და "განმარტებაც" შეიძლება გამოხატული იქნას როგორც ერთი რომელიმე ცალკეული წინადადების, ისე წინადადებათა ამა თუ იმ ჯაჭვის მიერ, მაგრამ ერთი პირობით – შეუძლებელია, რომ ამ ჯაჭვში შემაჯავალ რომელიმე წინადადებაში ზმნა თავისი სემანტიკით არ მიუთითებდეს ან შეტყობინებაზე, ან აღწერაზე, ან განმარტებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერბოცენტრიზმი ისევე უნდა მივიჩნიოთ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სტრუქტურულ ცენტრად და მისი სიგნიფიკატის განმსაზღვრელ პრინციპად, როგორც ეს ხდება წინადადების შემთხვევაში.

იმისათვის, რომ ბოლომდე მისაღები იყოს ეს ბოლო ჩვენი თეზისი, მივმართოთ შემდეგ მეტაფორას: როგორც ცნობილია, კონცენტრულ წრეებად იწოდება ისეთი წრეები, რომელთა რადიუსები განუსაზღვრელად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, მაგრამ რომლებსაც, მიუხედავად ამისა აქვთ

ერთი და იგივე ცენტრი. ზუსტად ასევე უნდა მივიჩნიოთ, რომ წინადადებასა და იმ კომპოზიციურ ფორმას, რომლის შემადგენლობაში ეს წინადადება შედის, უნდა ჰქონდეთ ერთი და იგივე კატეგორიული თვალსაზრისით მსგავს ზმნათა ერთობლიობა.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენი მსჯელობა ეფუძნება არა იმდენად კონკრეტულ ტექსტობრივ-ენობრივი მასალის ანალიზს, არამედ, ერთის მხრივ ლოგიკას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მეორეს მხრივ კი თანამედროვე ლინგვისტიკის მიერ შექმნილ თეორიულ გამოცდილებას – სახელდობრ იმ გამოცდილებას, რომელიც პუნქტობრივად შეიძლება დაყვანილ იქნას შემდეგ თეზისთა ერთობლიობამდე:

ა) ნებისმიერ შემთხვევაში, გვექნება საქმე ცალკე აღებულ წინადადებასთან თუ ისეთ წინადადებასთან, რომელიც ფუნქციონირებს ამა თუ იმ ტექსტის ინტეგრანტად, წინადადების სტრუქტურა განისაზღვრება **ვერბოცენტრისტულად**, რაც ნიშნავს შემდეგს – მის სტრუქტურულ ცენტრს წარმოადგენს ამა თუ იმ სემანტიკური კატეგორიის **ზმნა**;

ბ) იმისდა მიხედვით, თუ რომელი სემანტიკური კატეგორიის ზმნა გვევლინება წინადადების სტრუქტურულ ცენტრად, წინადადების სემანტიკური ტიპიც განისაზღვრება ხსენებული ზმნით;

გ) მაგრამ, ამავე დროს, ასევე ცნობილია, რომ ადამიანის მეტყველება და, შესაბამისად, ტექსტის ნებისმიერი მონაკვეთი უნდა მიეკუთვნებოდეს ამა თუ იმ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას, რაც შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ვარიანტების სახით: 1) მოცემული ტექსტი შეიძლება **მთლიანად** წარმოადგენდეს ამა თუ იმ კომპოზიციურ ფორმას – „შეტყობინებას“, „აღწერას“ ან „განმარტებას“ (რაც შეეხება „დახასიათებას“, მისი სტატუსი, როგორც ვიცით, კითხვის ქვეშაა, მაგრამ ეს მოსაზრება არაფრით ეწინააღმდეგება მოცემულ თეზისს); 2) მოცემული ტექსტი შეიძლება წარმოადგენდეს განსხვავებულ კომპოზიციურ ფორმათა ერთობლიობას, რაც აგრეთვე ადასტურებს ამ ჩვენი თეზისის ადეკვატურობას; 3) მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ მთელი ტექსტი ზღვრულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენილ იქნას მხოლოდ ერთი წინადადებით. ამ შემთხვევაში ხსენებული ერთი წინადადება ერთდროულად უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ კომპოზიციურ ფორმას – სხვანაირად დაირღვეოდა პრინციპი, რომლის მიხედვით შეუძლებელია ტექსტის ესა თუ ის მონაკვეთი არ მიეკუთვნებოდეს რომელიმე კომპოზიციურ ფორმას;

დ) ამავე დროს გასათვალისწინებელია ის პრინციპული შესაძლებლობაც, რომელიც **ზმნის** სტატუსის მიხედვით შეიძლება განასხვავებდეს წინადადებას და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას: იმ შემთხვევაში, როცა წინადადება გვევლინება ამა თუ იმ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტად და, შესაბამისად, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა შედგება ორი ან ორზე მეტი წინადადებისგან, ასევე შესაძლებელია საქმე გვექონდეს შემდეგ ვარიანტებთან: ა) შესაძლებელია, რომ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმაში შემავალი ერთი რომელიმე წინადადების ზმნა, რომელიც გვევლინება ამ წინადადების სტრუქტურულ ცენტრად, თავისი სემანტიკით მოიცავს ამავე სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმაში შემავალ სხვა წინადადებათა ზმნებს და ამ შემთხვევაში ამ ზმნის სემანტიკა იქნება უფრო ფართო მოცულობის, მაგრამ იგივე სემანტიკური კატეგორიისა, რომელსაც ეკუთვნის სხვა ხსენებული ზმნები. მოცემული თეზისის შედარებით უფრო მეტი შინაარსობრივი სირთულის გამო, საჭიროდ მიგვაჩნია მისი ადეკვატურობის შემდგენაირად განმარტება: მსგავს შემთხვევაში სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა შეიძლება, მაგალითად, იწყებოდეს წინადადებით, რომლის ზმნა მიუთითებს გარკვეულ ხდომილებაზე, ეს ხდომილება კი წარმოადგენს შეტყობინების საგანს. ამ შემთხვევაში მომდევნო წინადადებათა ზმნები დააკონკრეტებენ ხსენებულ ხდომილებას (მაგალითად, The people arrived in the Capital City: First they visited the City Museum, then they went to the Opera House და ა.შ.); 2) მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა მოცემულ ტექსტში არ ხდება განსხვავებულ წინადადებათა ზმნების მიერ რომელიღაც ერთი წინადადების ზმნის მიერ ხდომილებისა და სიტუაციის დაკონკრეტება. მსგავს შემთხვევაში მოცემული სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა წინადადებათა ზმნები მაინც უნდა მიეკუთვნებოდნენ ერთი და იგივე სემანტიკური კატეგორიის ზმნათა ერთობლიობას (მაგალითად, It is raining. The wind is blowing. The people are running home და ა.შ.). ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ხდებოდეს რომელიმე ზმნის მიერ აღნიშნული ხდომილებისა თუ სიტუაციის დაკონკრეტება, მაგრამ სამაგიეროდ დასახელებული ზმნები ეკუთვნიან ერთი და იგივე ზმნურ კატეგორიას, სახელდობრ პროცესუალურს.

კიდევ ერთხელ გვსურს იმის ხაზგასმა, რომ ზემოთ ფორმულირებულ თეზისთა ერთობლიობა, თავისი შინაარსით ატარებს მკვეთრად გამოხატულ ლოგიკურ ხასიათს და ეფუძნება თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიულ გამოცდილებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, თეზისთა ეს ერთობლიობა ლოგიკური

თვალსაზრისით ატარებს მკვეთრად გამოხატულ **დედუქციურ** ხასიათს და, ბუნებრივია, საჭიროებს ინდუქციურ ვერიფიკაციას, რომელსაც ჩვენ ამა თუ იმ სახით განვახორციელებთ.

ვფიქრობთ, მოცემულ პარაგრაფში განხორციელებულმა ჩვენმა მსჯელობამ დაგვანახა – თუმცა ძალიან ზოგადი სახით – ის მიმართება, რომელიც უნდა არსებობდეს წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის. წინადადება წარმოადგენს ტექსტის ინტეგრანტს, მაგრამ პირდაპირ და უშუალოდ მისი ამგვარი სტატუსი ვლინდება იმით, რომ იგი (წინადადება) გვევლინება ან კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტად, ან თვით კომპოზიციური ფორმის რედუცირებულ (სტრუქტურულად მინიმუმამდე დაყვანილ) ერთეულად. შესაბამისად ვერბოცენტრიზმის პრინციპი გავავრცელებთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმაზეც.

მაგრამ, რაც არ უნდა დიდი იყოს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის „კუთვნილი წონა“ ტექსტის სტრუქტურაში, ტექსტის მის მიერ განსაზღვრულ სტრუქტურას (ანუ კომპოზიციურ სტრუქტურას) ვერ მივიჩნევთ ტექსტის სტრუქტურად მის მთლიანობაში. გარდა ტექსტის **კომპოზიციური** სტრუქტურისა, ანუ იმ სტრუქტურისა, რომლის არსებობას განაპირობებს ესა თუ ის კომპოზიციური ფორმა – ანუ ამგვარ ფორმათა ერთობლიობა –, ნებისმიერ ტექსტს აქვს სტრუქტურა მეორე გაგებითაც, ანუ ის სტრუქტურა, რომელსაც განსაზღვრავს ტექსტის **თემა**. ზემოთ შევეცადეთ იმის ჩვენებას, რომ ტექსტის ლინგვოსემიოტიკური ასპექტი, ანუ მისი სემანტიკა ერთნაირად შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც ხდომილება, სიტუაცია ან თემა. დავრწმუნდით იმაშიც, რომ ტექსტის სემანტიკას სულ ერთია განსაზღვრავთ მას როგორც ხდომილებას თუ როგორც სიტუაციას – განაპირობებს ზმნა ან ზმნათა გარკვეული სემანტიკის მქონე ჯაჭვი. მაგრამ ისმის კითხვა: რაღა განაპირობებს ტექსტის სემანტიკას იმ შემთხვევაში, თუ ამ სემანტიკას მივიჩნევთ არა ხდომილებად ან სიტუაციად, არამედ თემად?

სხვანაირად დავსვათ იგივე კითხვა: რა განსაზღვრავს (რა განაპირობებს) ტექსტის თემატურ სტრუქტურას? იმისათვის, რომ გავცეთ ზოგადი პასუხი ამ კითხვას, განვახორციელოთ შემდეგი ექსპერიმენტი: ზემოთ მოყვანილი ჩვენი მარტივი მაგალითი – The people arrived in the Capital City: First they visited the City Museum, then they went to the Opera House გარდავქმნათ შემდეგნაირად: The people consist of the adults and the children.

როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტის შედეგად მივიღეთ განსხვავებული კომპოზიციური ფორმა – უკვე „აღწერა“ და არა „შეტყობინება“. რამ მოახდინა ეს ცვლილება? იმან რომ შეიცვალა ზმნა თავისი გრამატიკული ფორმით. მაგრამ ამავე დროს თემა დარჩა იგივე. ამ თემას წარმოადგენს the people. მოვიყვანოთ კიდევ ერთი ექსპერიმენტი: წინადადება "The army of one country are attacking another country's army" შევცვალოთ წინადადებით "Our country's football team are attacking another country's team". რა შეიცვალა და რა დარჩა უცვლელი? აქ არ შეცვლილია სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, ანუ რაც იგივეა არ შეცვლილია ტექსტის ხდომილებრივ-სიტუაციებრივ ასპექტი, მაგრამ შეიცვალა თემა: თუ პირველ შემთხვევაში ტექსტის (მისი რედუცირებული ფორმის) თემას წარმოადგენდა „ორ ქვეყანას შორის საომარი მოქმედება“, მეორე შემთხვევაში თემას წარმოადგენს „ორი საფეხბურთო გუნდის შეხვედრა“. ცხადია, რომ ამ ცვლილებას ვერ გამოიწვევდა ზმნა, რადგან იგი უცვლელი დარჩა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ცვლილება გამოიწვია წინადადების სუბიექტის როლის შემსრულებელ არსებით სახელთა ცვლილებამ.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ზემოთ განხორციელებული ექსპერიმენტებისგან? ჩვენი აზრით, დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ შემდეგი: ვერ ვიტყვით რომ ტექსტს აქვს ორი სტრუქტურა, რადგან სტრუქტურა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ტექსტის სტრუქტურას აქვს ორი განზომილება: თემატური და ხდომილებრივ-სიტუაციური. უკვე ვიცით, რომ ტექსტის სტრუქტურის ხდომილებრივ განზომილებას განაპირობებს **ზმნა**; შესაბამისად უნდა იყოს, რომ ტექსტის **თემატურ** სტრუქტურას კი – ხდომილებრივ-სიტუაციური სტრუქტურისგან განსხვავებით – განაპირობებს არსებითი სახელი, უფრო ზუსტად კი – იმ სახელთა ერთობლიობა, რომლებიც შედიან ტექსტში როგორც მისი ელემენტები.

დასკვნის სახით კი უნდა ითქვას: ნებისმიერი ტექსტის სტრუქტურას აქვს ორი განზომილება – თემატური და ხდომილებრივ-სიტუაციური. ამ ორი განზომილების აქტუალიზაციას კი ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელებენ ენის მეტყველების ნაწილთა სისტემის ორი პოლარულად განსხვავებული წევრი – **ზმნა** და **სახელი**. აქედან გამომდინარე ზემოთ განხორციელებული ანალიზით არა მხოლოდ განვსაზღვრეთ მიმართება ენის ისეთ ერთეულებს შორის, როგორცაა წინადადება და კომპოზიციური ფორმა და არა მხოლოდ მოვახდინეთ ტექსტის სტრუქტურის დიქტომიზაცია, არამედ

აღმოვაჩინეთ და დავადგინეთ სიღმისეული კავშირი ერთის მხრივ ენის როგორც ფენომენის ისეთ ორ ასპექტს შორის, როგორცაა ერთი მხრივ ტექსტის სტრუქტურა, მეორეს მხრივ კი მეტყველების ნაწილთა სისტემის სტრუქტურა. ორივე შემთხვევაში გვაქვს ორი უადრესად მნიშვნელოვანი მომენტი: ა) ორივე სტრუქტურა დიქტომიურია, ანუ შინაგანად დაყოფილია ორ პოლუსად; ბ) და, რაც მთავარია, ამ ორ დიქტომიურ სტრუქტურას შორის გვაქვს სიღმისეული კავშირი: ტექსტის დიქტომიური სტრუქტურა ვერ შედგებოდა ენის სისტემაში არსებული დიქტომიის გარეშე.

◆ ◆ ◆

ნაშრომის დედუქციურ-თეორიულ ნაწილში შევეცადეთ დავყრდნობოდით თანამედროვე ლინგვისტიკის, როგორც ლინგოსემიოტიკურ, ისე კომუნიკაციურ (ტექსტოცენტრისტულ) პარადიგმებს და დავგვედგინა წინადადებისა და კომპოზიციურ ფორმათა შორის მიმართება. როგორც ვნახეთ, საბოლოო ანგარიშში ამ მიმართების დადგენის პროცესმა მიგვიყვანა ტექსტის თეორიისათვის მნიშვნელოვან დასკვნამდე: ნებისმიერი ტექსტის სტრუქტურა ატარებს დიქტომიურ ხასიათს და გულისხმობს თემატურ და კომპოზიციურ სტრუქტურათა ერთიანობას.

რა თქმა უნდა, ტექსტის სტრუქტურა და ამ სტრუქტურის ფარგლებში წინადადების და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმოქმედება შეიძლება განხილულ იქნას ნებისმიერი ტიპის ტექსტის საფუძველზე. მაგრამ მივიჩნით, რომ ასეთი განხილვა უკეთესია მოხდეს მხატვრული ნარატიული ტექსტის მასალაზე, რადგან ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი ტექსტი მოიცავს ენობრივ ერთეულთა შორის არსებულ მიმართულებათა მთელ შესაძლო სპექტრს. საანალიზო მასალად გამოვიყენეთ ჯ. გოლსუორთის მოთხრობა “The Apple Tree”. შევეცდებით ჩვენთვის საინტერესო ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართება განვიხილოთ აბზაცობრივად. იმ შემხვევაში კი, როცა შესაბამისი აბზაცი აღმოჩნდება ანალიზისთვის მეტისმეტად დიდი მოცულობისა, ანალიზს განვახორციელებთ ამგვარი აბზაცის შინაარსობრივ ბლოკებად დაყოფის გზით.

ანალიზის გარეშე ვტოვებთ პერსონაჟთა შორის დიალოგებს, რადგან ჩვენი მიზანი არ ყოფილა დიალოგური მეტყველების კვლევა.

გაბმული ტექსტის, ანუ მაკროტექსტის სტრუქტურაში (მხედველობაში გვაქვს ნარატიული ტექსტი მის მთლიანობაში) სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ურთიერთგანლაგება შეიძლება იყოს რეალიზებული შემდგენიარად (თუმცა გასათვალისწინებელია ამავე დროს ის ფაქტიც, რომ ამგვარი ტექსტი, როგორც წესი, დაყოფილია აბზაცებად და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები როგორც შესაბამისი მიკროტექსტები ფიგურირებენ აბზაცის შიგნით):

1) სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები შეიძლება განლაგებულნი იყვნენ ლინიალურად, ანუ ერთიმეორის მიყოლებით;

2) მაგრამ განსხვავებულ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ურთიერთგანლაგება შეიძლება ატარებდეს არაღინიანურ ხასიათსაც – როცა ერთი კომპოზიციური ფორმა „ჩართულია“ მეორის სტრუქტურაში. მაგრამ კომპოზიციურ ფორმათა შორის განსხვავება ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებს თავის ტექსტობრივ ფუნქციას.

• (1) On their silver-wedding day Ashurst and his wife were motoring along the outskirts of the moor, intending to crown the festival by stopping the night at Torquay, where they (2) had first met. (3) This was the idea of Stella Ashurst, whose character (4) contained a streak of sentiment. If she had long lost the blue-eyed, flower-like charm, the cool slim purity of face and form, the apple-blossom colouring, which had so swiftly and so oddly affected Ashurst twenty-six years ago, she (5) was still at forty-three a comely and faithful companion, whose cheeks were faintly mottled, and whose grey-blue eyes had acquired a certain fullness.

როგორც ვხედავთ, მოცემული აბზაცი თავის სტრუქტურაში აერთიანებს შემდეგ კომპოზიციურ ფორმებს:

(1) პროცესის აღწერა; (2) შეტყობინება; (3) შეტყობინება; (4) საგნის აღწერა. (თხრობის ამგვარად დაწყება განპირობებულია იმით, რომ ავტორს სურს დაიწყოს თხრობა ექსპოზიციით, ანუ იმის აღწერით, თუ როგორ გამოიყურებიან მოქმედი გმირები).

განვიხილოთ ამ აბზაცში შემავალი კომპოზიციური ფორმები ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი კვლევის მიზანთა ერთობლიობა. როგორც ვხედავთ, ისეთი კომპოზიციური ფორმის მოცემულობა, როგორიც არის „აღწერა“, ამ შემთხვევაში განპირობებულია ზმნით – to motor, რომელიც მოცემულია Past Continuous-ში. რადგან მოცემულ ზმნას თან არ ახლავს არავითარი ობიექტი, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს პროცესთან ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში „პროცესი“

თავისი მოცულობით ემთხვევა იმ წინადადებას, რომლის ხლომილებრივ-სიტუაციურ სტრუქტურას განსაზღვრავს პროცესუალური სემანტიკის ზმნა – to motor. მაგრამ როგორც ვიცით, ტექსტი შეიძლება წარმოადგენდეს – თუ, რა თქმა უნდა, ამას მოითხოვს თხრობის ლოგიკა – განსხვავებულ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ერთიანობასაც და სწორედ ამიტომ, ამ შემთხვევაში „აღწერას“ გადაკვეთს „შეტყობინება“. მის სტრუქტურულ ცენტრს წარმოადგენს ზმნა to meet Past Perfect-ში, მას მოჰყვება კიდევ ერთი „შეტყობინება“, რომელიც წარმოგენილია ზმნით – to be-Past Simple-ში, ხოლო მას მოსდებს ზმნათა ერთობლიობა აღწერის ერთიანი სტრუქტურით.

მთლიანობაში კი შეიძლება ითქვას, რომ მოთხრობის მოცემული ფრაგმენტი მთლიანად ადასტურებს ჩვენს თეორიულ დასკვნათა ადეკვატურობას: მართალია ტექსტი უშუალოდ შედგება სამეტყველო-კომპოზიციური ფორმებისგან, მაგრამ ამ ფორმათა სტრუქტურულ ცენტრს წარმოადგენს ესა თუ ის წინადადება.

